# არსენალი

13/2

№ 6 (23). ივნისი. 2006. „კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი



ირანის ბირთვული პოტენციალის შექმნის საიდუმლო

რუსული სადესანტო გემი სოხუმის სანაპიროსთან

1425/2
2006

## აღლუმი

როგორ მოიპარეს გერმანელებმა ბრიტანული STEN-ი

მისი უდიდებულესობის სამეფო-საზღვაო ქვეითები



ფოტორეპორტაჟი
ალლუმი
6



„გლოკის“
ღირსეული
მეტოქე
54



არც ცისაა,
არც წყლისა...
24

ზარბაზნების მეფე
— კრუპის
„სამი რგოლის“
საძმო
30





მისი
უდიდებულესობის
სამეფო-
საზღვაო
ქვეითები
34



ბობტეილი
— ნიჭიერი
შემსრულებელი
22

# სარჩევი


კალეიდოსკოპი

4 უცხოეთის ამბები

ფოტორეპორტაჟი

6 აღლუმი

მოსაზრება

8 სუამი – ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია დიდი ამბიციებითა და მცირე შესაძლებლობებით

კალეიდოსკოპი

9 მოკლე ინფორმაციები

ფოტორეპორტაჟი პოლიგონიდან

10 ამერიკელი სპეციალისტები ქართველ კოლეგებს ტერაქტების გახსნას ასწავლიან

მკითხველის გვერდი

11 კალაშნიკოვის ახალი ქმნილებები

საწარმოო შპიონაჟი

12 როგორ მოიპარეს გერმანელებმა ბრიტანული **STEN**-ი

სპეცსამსახურები

14 ირანის ბირთვული პოტენციალის საიდუმლო

უხერხული პოზა

19 ასეც ხდება...

კინოლაფსუსი

20 ილუზიონისტი რემბო

კომპანიონი

22 „ჭადრაკის მოყვარული", რომელიც არაფერს თაკილობს

იარაღი

24 „სრუტეების რისხვა" ჰაერბალიშიანი „ზუბრი"

მეიარაღე

30 ზარბაზნების მეფე

პროფესიონალები

34 **SBS** მისი უდიდებულესობის სამეფო-საზღვაო ქვეითები

საქართველოს ისტორია

40 ფრანგული ესკადრის ოპერაციები საქართველოს სანაპიროსთან

ფლოტი

44 აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალები **NATO**-ში შესვლის შემდეგ

კროსვორდი

47 არსენალკვორდი

ისტორიული ექსკურსი

48 „არსენალის" თვის კალენდარი

სუპერმობილი

50 ჩინური „სასწაული"

„არსენალის" იარაღის მაღაზია

54 მრისხანე **STEYR M-A1**


## რედაქტორის სვეტი

„არსენალი" ორი წლის გახდა. ეს არ არის ის თარიღი, რომ დიდი პომპეზურობით აღნიშნო, თუმცა ჩვენთვის, „არსენალის" შემქმნელებისთვის, ეს ორი წელიც ძალიან ბევრს ნიშნავდა.

„არსენალის" პირველი ნომრები 2004 წლის 26 მაისის სამხედრო აღლუმზე დავარიგეთ. მას შემდეგ ყველაფერი იყო: პრეზიდენტის მიერ „არსენალის" მოწონება, თავდაცვის სამინისტროსგან ჯერ თანამშრომლობის შემოთავაზება და შემდეგ კი თითქმის მტრად აღიარება...

რა ვიზამთ, ვინმეს საამებელი სტატიების წერას არც შემდგომში ვაპირებთ. ჩვენი მიზანია საზოგადოებასა და არმიას შორის ჩატეხილი ხიდი აღვადგინოთ და ჩვენი მკითხველიც უფრო გავაცნობიეროთ სამხედრო საკითხებში. სხვა თუ არაფერი, „არსენალი" ხომ პირველი ქართული ფერადი სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალია!

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

ყურადღება!
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40


რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია


ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში


გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, აკურის ქუჩა №8. (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: 38-37-47
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალმა წყალქვეშა ნავმა გამოცდა გაიარა



ახალმა ამერიკულმა წყალქვეშა ატომურმა ნავმა SSN 775 Texas-მა პირველი გამოცდა გაიარა. ტესტირება ჩაუტარდა ნავის სისტემებს, კომპონენტებსა და ნაკვეთურებს. ნავი პირველად ჩავიდა წყალქვეშ, მერე კი მაქსიმალური სიჩქარით გაცურა როგორც წყლის ზედაპირზე, ასევე წყალქვეშ. SSN 775 Texas-ი Virginia-ს კლასის მეორე წყალქვეშა ნავია, მისი გადაცემა სამხედრო-საზღვაო ძალებისთვის 2006 წლის ივნისშია დაგეგმილი.

პირველ ათ წყალქვეშა ნავს Northrop Grumman Newport News-ი General Dynamics Electric Boat-თან ერთობლივად აშენებს. აშშ-ს ამ კლასის 30 წყალქვეშა ნავის აგება აქვს განზრახული.

Virginia-ს კლასის პირველი წყალქვეშა ნავი, ნიშნით SSN 774, მწყობრში 2004 წელს ჩადგა. Texas-ის აგება 2002 წელს დაიწყო, წყალში კი 2004 წლის ივლისში ჩაუშვეს. მისი სიგრძე 114,91 მ-ია, სიგანე – 10,36 მ და წყალწყვა – 7,9 ტონა. ნავს ენერგიით ერთი ატომური რეაქტორი კვებავს და მოძრაობაში ერთ ხრახნს მოჰყავს. ნავის მაქსიმალური სიჩქარე 46,3 კმ/სთ-ია. ეკიპაჟი 134 მატროსისა და ოფიცრისგან შედგება.

წყალქვეშა ნავის შეიარაღებაშია რაკეტა „ტომაჰავკები", ტორპედო Mk 48-ები, რომელთა გასაშვებად გათვალისწინებულია ოთხი სატორპედო-აპარატი. SSN 775-ს ბორტზე ასევე არის ნაღმები და ავტონომიური წყალქვეშა აპარატი.

# აშშ-ს არ სჭირდება მუდმივი ბაზები შუა აზიაში

„ბუშის ადმინისტრაცია არ აპირებს შუა აზიაში, მათ შორის ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე, მუდმივი ამერიკული სამხედრო ბაზების განთავსებას", – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის მოადგილემ სამხრეთ და შუა აზიის საკითხებში რიჩარდ ბაუჩერმა.

„ვერ ვიტყვი, ამა თუ იმ ოპერაციას რამდენი დრო დასჭირდება, – მაგალითად, – ბიშკეკის აეროპორტში, ბაზა „მანასში" ამერიკული სამხედრო ძალების ყოფნა აუცილებელია ავღანეთში ოპერაციის მხარდასაჭერად. ავღანეთში დავყოფთ მანამ, სანამ ქვეყანა პრობლემებს არ გადაჭრის. ამ ხნის განმავლობაში იქნება თუ არა საჭირო ჩვენი ყოფნა „მანასში", ვერ გეტყვით. ამის თაობაზე გადაწყვეტილებას ჩვენი სამხედროები მიიღებენ ყირგიზეთის მთავრობასთან კონსულტაციების შემდეგ, – განაცხადა დიპლომატმა, – მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ მსოფლიოს ამ ნაწილში მუდმივი სამხედრო ბაზების განთავსებას...

# რუსული არმიის გადაიარაღება დაიწყო



„მიმდინარე წელს რუსეთის სახმელეთო ჯარებისთვის შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის მასშტაბური მიწოდება დაიწყება", – განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბელოუსოვმა.

ჯარები შეიარაღებაში მიიღებენ 30 ახალ ტანკ Т-90-ს და 180 მოდერნიზებულ Т-72-სა და Т-80-ს. მოდერნიზებული ტანკები, რომლებიც აღჭურვილია 1250 მძლავრი დიზელით, ცეცხლის მართვის ახალი სისტემით, მოდერნიზებული 125-მილიმეტრიანი ქვემეხით, პრაქტიკულად არაფრით ჩამოუვარდება Т-90-ებს და უცხოური წარმოების საუკეთესო ტანკების უკანასკნელ ვარიანტებს, ისეთებს, როგორებიცაა LECLERC, M1A2 ABRAMS CHELLENGER-2, LEOPARD 2A6 და MERKAVA-3.

სახმელეთო ჯარები მიიღებენ 150 БМП-სა და БТР-ს, 420 ერთეულზე მეტი БМП და БТР მოდერნიზებას გაივლის, მათ შორის საბრძოლო მოდულდანადგარიანი „კლივერი". თავდაცვის სამინისტრო შეიძენს 4,5 ათასზე მეტ სატვირთო ავტომობილსა და რამდენიმე ათას მსუბუქ ყველგანმავალს. შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შესყიდული ნიმუშების უმეტესობა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდშია წარმოებული, მაგრამ მაღალი სამოდერნიზაციო პოტენციალის წყალობით თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

გაგრძელდება ასევე სამხედრო-საჰაერო საავიაციო პარკის მოდერნიზაცია. სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები მიიღებენ კიდევ ერთ პოლკს, რომელიც აღჭურვილი იქნება მობილური ვარიანტის Тополь-М-ებით.

# ჩინეთმა F-22-ის აღმოჩენა ისწავლა

„ჩინელმა სამხედროებმა შექმნეს ტექნოლოგია, რომელიც ამერიკული გამანადგურებელ-უჩინარის F-22-ის აღმოჩენის საშუალებას იძლევა“, — წერს გაზეთი „ვორლდ ტრიბუნი“.



F-22 აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების უახლესი გამანადგურებელი-უჩინარია. ადრე შექმნილ სტრატეგიულ ბომბდამშენ B-2-სა და გამანადგურებელ-ბომბდამშენ F-117-თან ერთად, ის „სტელსის“ ტექნოლოგიის გამოყენებით აიგო, რაც უზრუნველყოფს მანქანის რადიოლოკაციური შემჩნევადობის დაქვეითებას გამანადგურებლის კონსტრუქციაში რადიოჩამხშობი მასალების გამოყენებისა და პლანერის განსაკუთრებული ფორმის (რადარის სხივებს ანტენა-მიმღებისგან განაგდებს) წყალობით.

ჩინელი სამხედრო ექსპერტების თქმით, „სტელსის“ კონცეფციის ნაკლია, რომ ის ამჟამად არსებული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების საპირწონედ შეიქმნა, თვითმფრინავ-უჩინარის შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული ახალი საშუალებები კი „სტელს“-ტექნოლოგიაზე ძლიერია.

ჩინელი სამხედროები თვითმფრინავ-უჩინარ F-22-ს აღმოაჩენენ სივრცეში გაფანტული უამრავი რადიოლოკაციური ანტენით, რომლებიც მართვის ერთიან პოსტს ინფორმაციას გადასცემენ და თვითმფრინავის ზუსტ ადგილმდებარეობას მიუთითებენ. აღსანიშნავია, რომ ამ ტექნოლოგიაზე, როგორც F-22-ის აღმომჩენის საშუალებაზე, რუსი სამხედრო ექსპერტები ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ლაპარაკობდნენ.

# ესპანეთმა, უნგრეთმა და დანიამ უარი განაცხადეს

როგორც ევროკომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, ესპანეთმა და უნგრეთმა უკვე აცნობეს ევროკავშირის მთავარ აღმასრულებელ ორგანოს, რომ არ აპირებენ იარაღის ეროვნულ ბაზრებზე რამის შეცვლას. პროგრამაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა დანიამაც, რომელიც აქამდე ევროპული სამხედრო თანამშრომლობის პროგრამათა უმრავლესობის აქტიური მონაწილე იყო. ევროკავშირის წევრი 25 ქვეყნიდან 22-მა მიიღო ევროკომისიის წინადადება ევროკავშირის ქვეყნების თავდაცვით დაწესებულებებში სამხედრო შეკვეთების თავისუფალი განაწილების შესახებ. ამ პროგრამის ყველა წევრი ქვეყანა ივლისიდან დაიწყებს 1 მლნ ევროზე მეტად ღირებული სამხედრო შეკვეთების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას. მთავარი მიზანი, რომელიც ევროკომისიამ დაისახა, ევროპული იარაღის ბაზრებზე კონკურენციის დონის გაზრდაა. ეს აამაღლებს ევროკავშირის ქვეყნების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსების პროდუქციის ხარისხსა და გაზრდის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე. შეიარაღების ევროპული ბაზრის მოცულობა წელიწადში 30 მლრდ ევროს აღწევს.

# ამერიკელმა პილოტმა რეკორდი დაამყარა



აშშ-ის საზღვაო ქვეითთა პილოტმა ცაში თვითმფრინავ F/A-18C Hornet-ით თავისი კარიერის მანძილზე (1988 წლიდან) 5 ათასი საათი გაატარა. რეკორდსმენი აშშ-ის საზღვაო ქვეითთა მეოთხე საჰაერო ფრთის 46-ე ავიაჯგუფის გამანადგურებელთა 134-ე დამრტყმელი ესკადრილიის ერთ-ერთი მეთაური გარი კონსტანტი გახდა (კარიერის განმავლობაში, რომელიც ჩვეულებრივ 8-9 წელიწადს გრძელდება, „ჰორნეტის“ პილოტს 100-დან 2000-მდე საათის გატარება შეუძლია ცაში). კომპანია „ბოინგის“ წარმომადგენელმა რეკორდსმენს გადასცა სერტიფიკატი და სამხედრო სამოსზე დასაკერებელი შავ-ყვითელი ქსოვილი, რომლის შუაგულში გამოსახულია თვითმფრინავი „ჰორნეტი“, წარწერითურთ, ქვემოთ კი ამოქარგულია „5000 საათი“. აშშ-ის არმიაში კონსტანტამდე მხოლოდ ერთმა პილოტმა, როჯერ უელჩმა გაატარა ცაში 5000 საათი, ახლა ის ფლოტში მსახურობს.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

# აღლუმი









მესამე წელია საქართველოს ახალგაზრდა ხელისუფლება ერთმანეთზე უფრო გრანდიოზული მასშტაბის სამხედრო აღლუმებს აწყობს 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.

წელსაც ასე იყო – რუსთაველის პროსპექტზე თავდაცვის სამინისტროს 13 ათასზე მეტმა სამხედრო მოსამსახურემ, 5 ათასამდე რეზერვისტმა და შსს-ის საგანგებო დავალებათა სამმართველოს 400-მა სამხედრომ ჩაიარეს.

წლევანდელ აღლუმზე აქცენტი პირადი შემადგენლობის რიცხვზე გაკეთდა, განსხვავებით 2004 წლისგან, როდესაც ასევე შთამბეჭდავი იყო აღლუმში მონაწილე საბრძოლო ტექნიკის რაოდენობაც.

ამჯერად საბრძოლო ტექნიკიდან მხოლოდ БТР-80 ტიპის ჯავშანტრანსპორტიორები და ჩეხოსლოვაკიური წარმოების 152მმ კალიბრიანი თვითმავალი საარტილერიო დანადგარები DANA-ები გამოიყვანეს.

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ამას იმით ხსნიდნენ, რომ მუხლუხებიანი მძიმე ტექნიკა – ტანკები და ქვეითთა საბრძოლო მანქანები ქალაქის ცენტრში ასფლატს გააფუჭებდნენ. აღლუმის გასამრავალფეროვნებლად ალბათ სჯობდა 120-მდე სატვირთო „კამაზთან“ ერთად (რომელზეც 30-30 რეზერვისტი იჯდა, თუმცა ერთმა „კამაზმა“ რატომღაც სულ ცარიელმა ჩაუარა პრეზიდენტს) ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები БМ-21 Град-ები და ჩეხოსლოვაკიური RM-70-ები ჩაეტარებინათ. ისინიც ხომ ისეთივე ბორბლებზე დგანან, როგორც БТР-80-ები და DANA-ები და ასფალტს არ გააფუჭებდნენ.

საბრძოლო ტექნიკის შედარებითი მრავალფეროვნება ცოტათი მაინც გაფანტავდა იმ მონოტონურობის შეგრძნებას, რომელიც მაყურებელთა უმრავლესობას 18 ათასი კაცის საათნახევრიანი ჩავლის დროს გაუჩნდა.

წლევანდელი აღლუმის მთავარ ღირსშესანიშნაობად საჰაერო აღლუმი იქცა. მასში მონაწილეობა 42-მა საფრენმა აპარატმა მიიღო, რაც დღემდე უცხო ხილი იყო თბილისის ცისთვის.

თავდაპირველად რუსთაველის პროსპექტზე, დაახლოებით 150 მ-ის სიმაღლეზე,

შვეულმფრენები გამოჩნდნენ. 33-მა შვეულმფრენმა სტარტი ალექსეევკის აეროდრომიდან (თბილისის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია) აიღო.

პარლამენტის თავზე ჯერ ექვსმა ამერიკულმა UH-1H „იროკეზმა“ გადაიფრინა, მათ კუდში მიჰყვებოდათ ორი ამფიბია-შვეულმფრენი Ми-14, 16 ცალი სხვადასხვა მოდიფიკაციის Ми-8 ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო და 9 ცალი Ми-24 ტიპის საბრძოლო შვეულმფრენი.

შვეულმფრენების გაფრენის შემდეგ რუსთაველის პროსპექტს გამაყრუებელი გუგუნით, 250-300მ სიმაღლეზე, ცხრა რეაქტიულმა მოიერიშე Су-25-მა გადაუფრინა. მათ გადაფრენა რამდენიმე წუთში კიდევ გაიმეორეს. ბოლო სამი მოიერიშე უკან ქართული სახელმწიფო დროშის ფერის კვამლს ტოვებდა.

მისანიშნებელია ის ფაქტიც, რომ გასული აღლუმის შემდეგ საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების Ми-24 საბრძოლო შვეულმფრენების რიცხვი სამით, ხოლო მოიერიშე Су-25-ის რაოდენობა კი ორით გაიზარდა, თანაც 9 ქართველი მოიერიშიდან 4 „მიმინოა“. სწორედ ეს სახელი დაერქვა თავდაცვის სამინისტროს შეკვეთით „თბილავიამშენში“ აგებულ Су-25KM „სკორპიონის“ ტიპის მოდერნიზებულ თვითმფრინავებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, გრანდიოზულმა სამხედრო აღლუმმა სიხარულისა და უძლეველობის ეიფორიაში ჩააგდო როგორც პრეზიდენტი და მისი ხელისუფლება, ისე საზოგადოების დიდი ნაწილიც და ეს მოსალოდნელიც იყო, მაგრამ ეიფორიამ არ უნდა დაჩრდილოს სალი აზრი.

სამხედრო აღლუმი, თუნდაც გრანდიოზული, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ არმიას ნებისმიერი საბრძოლო დავალების შესრულება შეუძლია — სამხედრო აღლუმი სხვაა, ხოლო რეალური საბრძოლო მოქმედება კი სხვა.

*ირაკლი ალადაშვილი*












სამშვიდობო ბატალიონის საშტატო განრიგი და ანტიტერორისტული სწავლების პროექტები. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ სამხედრო პროექტი, თუნდაც ვირტუალური ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ცენტრის სახით, უკვე არსებობს სუამში. სხვათა შორის, შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ სუამის ისტორიული სამიტის დასრულებას დაემთხვა ცნობილი ქართველი კრიმინალური ავტორიტეტის, ტარიელ ფოცხვერიას ექსტრადიცია საქართველოში, რაც პირველი სერიოზული ქულაა ქართველი და უკრაინელი სამართალდამცველების აქტივში.

რუსეთი ანგარიშგასაწევი ქვეყანაა უკრაინისათვის, სადაც აწ უკვე საერთაშორისო სუამის შტაბბინა დაიდებს ბინას და აზერბაიჯანისათვის, რომელმაც სუამისთვის ფინანსური ზურგი უნდა უზრუნველყოს. ამიტომაც იყო, რომ ერთობლივ პრესკონფერენციაზე კიევში, ვიქტორ იუშჩენკომ დელიკატურად შეაჩერა საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც ცდილობდა ეპასუხა ქართველი ჟურნალისტის შეკითხვაზე, რატომ დუმდნენ სხვა ქვეყნის პრეზიდენტები მაშინ, როცა საქართველოს ლიდერი რუსეთს აკრიტიკებდა.

მიხეილ სააკაშვილს პრესკონფერენციაზე მხარი მოლდავეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ ვორონინმაც აუბა, რომელმაც გაიხსენა, როგორ გაანადგურეს რუსეთში მოლდავური ღვინოები და დასძინა, რომ „პოლიტიკაში უფროსი ძმების პერიოდი დამთავრდა“.

ყოფილი „უფროსი ძმა“ რუსეთი სუამის საერთაშორისო ორგანიზაციად ტრანსფორმაციას თავშეკავებით შეხვდა. მხოლოდ პრეზიდენტ პუტინის თანაშემწემ მოდესტ კოლეროვმა უწოდა მას „ლატაკების კავშირი“. ამასთან, საქართველოს რუსეთმა კიდევ ერთი სიურპრიზი გაუკეთა — სწორედ კიევის ისტორიული სამიტის დღეს გახდა ცნობილი, რომ საქართველოს უშიშროების ექსმინისტრი იგორ გიორგაძე რუსეთში მოღვაწეობს და მას რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ ყველა ბრალდება გააუქმა. არავინ იცის, კიდევ რა სიურპრიზს უმზადებს რუსეთი სუამის წევრ ქვეყნებს, რომლებსაც დიდი ამბიციები, მაგრამ საკმაოდ მწირი ეკონომიკური შესაძლებლობები აქვთ თავიანთი გეგმების სარეალიზაციოდ.

**კობა ლიკლიკაძე**

---

## პრობლემის გამოკვლევა დასრულდა

დამოუკიდებელი ბრიტანული ორგანიზაცია „Saferworld“-ის წარმომადგენელთა თქმით, კვლევის მიზანი იყო რეგიონის გავლით იარაღის საერთაშორისო გადაზიდვების სქემის შედგენა, ასევე ხელისუფლების უკონტროლო ტერიტორიებზე იარაღის თავმოყრის საფრთხის დონის განსაზღვრა.

ორგანიზაციის წარმომადგენელთა აზრით, გამოკვლევა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ხელს შეუწყობს იარაღის გავრცელების პრობლემის გადასაჭრელი პოლიტიკის შემუშავებაში.

„Saferworld“-ის აზრით, აუცილებელია საქართველოში აღდგეს მსუბუქი შეიარაღების მაკონტროლებელი კომისიის მუშაობა, რომელიც 2003 წლის ივნისიდან ნოემბრამდე მუშაობდა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში. სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით კომისია თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა და მალე მუშაობა შეწყვიტა.

„Saferworld“-ს განზრახული აქვს მიმართოს საქართველოს პარლამენტს, რომ იარაღის გავრცელების პრობლემაზე მუშაობა დაიწყოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ არის მოუგვარებელი კონფლიქტები, უკონტროლო შეიარაღება ადამიანის უფლებების შელახვაა.

## კონფერენცია იარაღით უკანონო ვაჭრობის შესახებ

9-10 ივნისს თბილისში, საქართველოს პარლამენტისა და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია „პარლამენტარების გლობალური მოქმედებებისათვის“ ეგიდით ჩატარდება იარაღით უკანონო ვაჭრობის პრობლემისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაზე მიწვეულნი არიან ევროპის პარლამენტების, დსთ-ისა და ბალტისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლები.

სემინარის მიზანია მონაწილეთა ყურადღება მიაპყროს ეროვნული უსაფრთხოების ინსტიტუტების როლზე იარაღით უკანონოდ ვაჭრობის, კონტროლის გამკაცრებისა და მსუბუქი შეიარაღების გავრცელების შეზღუდვის საქმეში.

კონფერენციაზე განიხილავენ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩატარებული სამუშაოების შედეგებსა და გაეროსა და ეუთოს ფარგლებში სახელმწიფოთა ვალდებულებებს.

## როტაცია ცხინვალის რეგიონში

23-27 მაისს სამშვიდობო შერეულმა ძალებმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსული სამშვიდობო ბატალიონის გეგმური როტაცია ჩაატარეს.

როგორც სამშვიდობო ძალების მეთაურმა მარატ კულახმეტოვმა განაცხადა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა სამშვიდობო ძალების მეთაურობას მიმართა წერილით, სადაც ნათქვამია, რომ ქართული მხარე რუსული სამშვიდობო ბატალიონის როტაციის მომხრე არ არის.

„სუხიტაშვილს რანგის მიხედვით როტაციის გაპროტესტება არ შეუძლია“, — აღნიშნა პასუხად კულახმეტოვმა.

საქართველოს თავდავის სამინისტროში ჯერჯერობით ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებენ.



ამერიკელი სამხედრო სპეციალისტები



აფეთქების ტალღამ მანქანას სახურავი ახადა

# ამერიკელი სპეციალისტები ქართველ კოლეგებს ტერაქტების გახსნას ასწავლიან

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ალკოჰოლის, თამბაქოს, ცეცხლსასროლი იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების ბიუროს (ATF) წარმომადგენლები ბოლო ორ კვირას თბილისის ახლოს, ნორიო-მარტყოფის გზასთან ავტომანქანებს აფეთქებდნენ INL-ის, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ნარკოტიკებისა და კანონის განმტკიცების ბიუროს დაკვეთით. სცენარის მიხედვით, აფეთქების ადგილზე 26 ქართველ გამომძიებელსა და სასამართლო ექსპერტიზის სპეციალისტს უნდა შეეგროვებინა სამხილები, აღედგინათ ასაფეთქებელი მოწყობილობისა და ასაფეთქებელი ნივთიერების პარამეტრები და ამით დახმარებოდნენ გამოძიებას „ტერორისტების“ პოვნაში.



„ვაზ-2106“-ის აფეთქების მომენტი

ამერიკელმა სპეციალისტებმა ორი „ჟიგულისა“ და ერთი „მოსკვიჩის“ აფეთქებისას გამოიყენეს ის ხელწერა, რასაც ერაყსა და ავღანეთში საერთაშორისო ტერორისტები იყენებენ.

ქართველმა სპეციალისტებმა დასახულ ამოცანას თავი წარმატებით გაართვეს, რაც არც არის გასაკვირი, რადგან მათ დღემდე ათობით მსგავსი რეალური ტერორისტული აფეთქება აქვთ გამოძიებული, მათ შორის გორის ტერაქტიც.



ქართველმა სპეციალისტებმა აფეთქების ადგილი შემოფარგლეს და გამოკვლევებს იწყებენ






პოლიციის ექსპერტმა კოზა ანდრიაძემ აფეთქების მთავარ სამხილს მიაგნო

„ვენესუელა რუსეთისგან 100 ათასი მე-100 სერიის „კალაშნიკოვის“ შეძენას აპირებს. გთხოვთ აგვიხსნათ რითი განსხვავდებიან მე-100 სერიის ავტომატები ჩვეულებრივ, „კალაშნიკოვებისგან“?

*სოსო ჩიმაკაძე*





# კალაშნიკოვის ახალი ქმნილებები

მოქმედების პრინციპით და კონსტრუქციული სქემით ახალი „კალაშნიკოვები“ ძველებისგან არაფრით გამოირჩევიან, თუმცა მათი დამზადების დროს გამოყენებულია უფრო თანამედროვე მასალები.

მე-100 სერიის „კალაშნიკოვებში“ ვეღარ ნახავთ ხის დეტალებს, ისინი შავი ფერის, გამძლე პლასტმასითაა შეცვლილი. ამ ცვლილებამ გააუმჯობესა ავტომატების წარმოების ტექნოლოგია და შეამცირა მათი თვითღირებულება, ისევე როგორც თავად ავტომატების მასა. ამასთან, ხის დეტალების მოცილების შემდეგ აღარ არსებობს კონდახების მღრღნელების მიერ გაფუჭების შესაძლებლობა.

ყველა ახალ ავტომატს დასაკეცი პლასტმასის კონდახები აქვს, ოღონდ არა ისეთი, როგორც АКС-74-სა თუ АКС-74У-ს ჰქონდათ. ამ პლასტმასის კონდახებში თავსდება იარაღის საწმენდი ხელსაწყოების პენალი, რაც ძველ სადესანტო „კალაშნიკოვებში“ შეუძლებელი იყო.

ამასთან, ყველა ახალ „კალაშნიკოვს“ მარცხენა მხარეზე დატანებული აქვს ოპეაციალური რელსი, რომელზეც ოპტიკური და ღამის ხედვის ხელსაწყოები მაგრდება. ადრე ასეთი რელსები მხოლოდ АК-74Н-ებს (Н-ი „Ночной“ ნიშნავს) ჰქონდათ, რომელთა რაოდენობა ჯარებში ძალზე შეზღუდული იყო.

მე-100 სერიის „კალაშნიკოვები“ ასევე უფრო გამძლეები არიან თავიანთ წინამორბედებზე. საქარხნო გამოცდების დროს ამ სერიის ავტომატიდან 15 ათასი ტყვია გაისროლეს და მხოლოდ იმიტომ გაჩერდნენ, რომ ლულა მთლიანად გაცვდა, თავად ავტომატის დეტალებს კი არაფერი მოსვლიათ.

დღეისთვის სულ ხუთი მოდიფიკაციის მე-100 სერიის „კალაშნიკოვია“ გამოშვებული.

АК-101-ი NATO-ს კალიბრის 5,56მმ ვაზნებზეა გათვლილი და იგი ისევე, როგორც АК-102 (მას ლულა აქვს დამოკლებული) ძირითად დასავლეთის ქვეყნებში გასაყიდად დამზადდა.

АК-103 და АК-104 (დამოკლებული ლულით) იგივე ვაზნას მოიხმარენ, როგორსაც პირველი კალაშნიკოვები და АКМ.

АК-105 კი შიდა ბაზარზე იყიდება, რადგან მისი საშუალებით მხოლოდ საბჭოთა 5,45მმ კალიბრის ტყვიების სროლა შეიძლება.

*ირაკლი ალადაშვილი*



АК-104



АК-105





# როგორ მოიპარეს გერმანელებმა ბრიტანული STEN-ი

**მეიარაღეთა გამოგონებებისა და ქმნილებების პატენტით დაცვა ერთობ რთული საქმეა, რაც უნდა მოინდომოს ფირმამ, თუნდაც სახელმწიფომ, მაინც გამოჩნდება ვინმე პლაგიატი, რომელიც უბოდიშოდ გადაიღებს რომელიმე დეტალს ან მთლიან კვანძს და საკუთარ მიგნებად გამოაცხადებს. ომიანობის დროს კი, როცა „ზარბაზნები ქუხან და მუზები დუმან", მორალი ღობის ძირას აგდია და ყველაფერი ნებადართულია, დეტალისა და კვანძის კი არა, მთლიანად იარაღის მითვისება და სერიული წარმოებაცაა შესაძლებელი.**

ეს ამბავი გერმანიაში, მეორე მსოფლიო ომის მიწურულს მოხდა. 1944 წლის ოქტომბრის ერთ ჩვეულებრივ დღეს გერმანიის ერთ-ერთმა ყველაზე მსხვილმა იარაღის მწარმოებელმა კომპანიამ „მაუზერ-ვერკე"-მ (Mauser-Werke A.G.) იდუმალი გეგმის („პროექტ V.7081"-ის) განხორციელება დაიწყო. სახელგანთქმული ფირმის საამქროებში ახალი, „შურისმაძიებელი იარაღის" წარმოებისთვის მზადებას შეუდგნენ. გაკეთდა ნახაზები, შედგა სპეციფიკაციები, მომზადდა ინსტრუმენტები. ყოველივე ჩვეულებრივ რეჟიმში მიმდინარეობდა, მხოლოდ რამდენიმე უჩვეულო დეტალი არ თავსდებოდა ჩვეულ გარემოებათა მდინარებაში. პირველი შემკვეთი იყო არა ვერმახტის ხელმძღვანელობა, არა „ლუფტვაფე" (სამხედრო-საჰაერო ძალები), არც არტილერიის ტექნიკური მომარაგების სამმართველო, არამედ იმპერიის უშიშროების მთავარი სამმართველო, რომელსაც ერნსტ კალტენბრუნერი ხელმძღვანელობდა. გასაოცარი უფრო ის იყო, რომ საიდუმლო და სასწრაფო საგანგებო დავალება ინგლისურ 9-მილიმეტრიან პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის სერიულ წარმოებას ითვალისწინებდა. ამ უცნაური შეკვეთის მოტივი (1945 წლისთვის 25 ათასი ცალი STEN MkII დამზადდა) დიდხანს ბურუსით იყო მოსილი.

საიდუმლოს ფარდა ოდნავ ახადა მესამე რაიხის „ადამიანი-ლეგენდის", ოტო სკორცენის ომისშემდგომმა მემუარებმა. იგი სადაზვერვო-სადივერსიო საქმიანობის დიდოსტატი იყო, მას თვით ფიურერი მფარველობდა. თავის მოგონებებში ის ყურადღებას ამახვილებს ინგლისურ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევზე: „დავინახე თუ არა ეს იარაღი, მაშინვე გამაოცა მისი კონსტრუქციის უბრალოებამ და სიმარტივემ, რაც მისი საიმედოობისა და სწრაფად და ადვილად დამზადების გარანტი უნდა ყოფილიყო". ფაშისტური გერმანიის „№1 დივერსანტის" აზრით, რიგი სპეციფიკური მაჩვენებლებით ინგლისური იარაღი ბევრად ჯობდა გერმანული არმიის საშტატო პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს. სკორცენის აზრით, თანამედროვე ავტომატური იარაღი უნდა ყოფილიყო მარტივი, იაფი, ამავე დროს მძლავრი და გამძლე. ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა STEN MkII „მე წამოვაყენე წინადადება, რომ ინგლისური ავტომატის კოპირება მოგვეხდინა – იარაღი ძალიან მარტივია და ამავე დროს საიმედო. ეს ავტომატი შეგიძლია ტალახში ჩააგდო, ფეხითაც გათელო, შემდეგ აიღო და ჩვეულებრივად გამოიყენო – ამ იარაღით ჩვენი არმიის შეიარაღება დადებით ეფექტს მოგვცემდა"... მართლაც, ზედმეტი არაფერი ყოფილა სკორცენისეულ შეჯამებაში. ბრიტანული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი STEN MkII 1941 წელს ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე დაამუშავა ინგლისის სამეფო გვარდიის მაიორმა რეჯინალდ ვერნონ შეპარდმა, რომელიც ამავე დროს ბირმინგემის საიარაღო ქარხნის დირექტორიც იყო, ავტომატის შექმნაში მონაწილეობდა სამეფო ცეცხლსასროლი იარაღის ფაბრიკის კონსტრუქტორი ჰაროლდ ჯონ თერპინი. ყბადაღებული ავტომატი 47 მარტივად დასამუშავებელი ნაწილისგან შედგებოდა, მისი თვითღირებულება კი მხოლოდ 5 დოლარსა და 20 ცენტს შეადგენდა. შესაძლებელია სწორედ ამის გამო გახდა იგი არა მარტო ბრიტანეთის, არამედ მთელი ბრიტანული თანამეგობრობის ქვეყნების არმიების მთავარი იარაღი.

ომის განმავლობაში დიდი ბრიტანეთის ხუთი სამხედრო ქარხნის, კანადისა და ახალი ზელანდიის სამხედრო ქარხნების კონვეიერებიდან ორ მილიონზე მეტი (მეორე მოდიფიკაციის) STEN MkII-I ჩამოვიდა, საერთოდ კი (ყველა თერთმეტი



მოდიფიკაცია) 3,75 მილიონი ეგზემპლარი დამზადდა, რაც ამ იარაღის ღირსებებზე მეტყველებს — შედარებით მსუბუქი, „პარაბელუმის“ 32-ვაზნიანი მჭიდი და არაერთხელ ნახსენები საცემ-სასხლეტი მექანიზმის სიმარტივე, ტრადიციული სროლის რეჟიმის შესაცვლელი ღილაკი და თავისუფალი სარაზის სასურველი მუშაობა და, რა თქმა უნდა, საოცრად მარტივი ტექნოლოგიურობა დეტალების დამზადებისას, რომლებიც ერთმანეთთან ზოგი — შედუღების, ზოგი — მიხრახნვა-ჩაჭედების მეთოდითაა მორგებული. ყოველგვარი დაზგური დანადგარის გარეშე მზადდებოდა საკეტის ცილინდრული კოლოფი (როგორც ზოგიერთი ამტკიცებდა, წყალგაყვანილობის მილისაგან). სწორი კოლოფისებრი მჭიდი — თხელი ფოლადის ფურცლისგან, ლითონის მილისებრი კონდახი (ისევ სანტექნიკა) და საცემ-სასხლეტი მექანიზმის დაშტამპული სარქველი, ეს იყო და ეს. გარდა ამისა, იარაღი ისე იყო კონსტრუირებული, რომ საველე პირობებში მის დაშლა-აწყობას არავითარი ინსტრუმენტი არ სჭირდებოდა. რაც მთავარია, იგი საბრძოლო თვისებებითაც გამოირჩეოდა. ლულის სიგრძე 197 მილიმეტრს შეადგენდა, 9 მილიმეტრის კალიბრის ტყვიის სიჩქარე 365 მეტრი წამში იყო, კინეტიკური ენერგია კი 533 ჯოულს უდრიდა. ეს მონაცემები იარაღს 200 მეტრის მანძილზე დამიზნებითი ბრძოლის საშუალებას აძლევდა. ავტომატური რეჟიმის დროს განუწყვეტელი სროლის ტემპი 550 გასროლას შეადგენდა წუთში.

საკონტაქტო ბრძოლებისთვის ავტომატის ლულას გრძელი, ნემსისმაგვარი ხიშტი უკეთდებოდა. საჭიროების შემთხვევაში, მალულად გადასატანად იარაღი სამ კომპაქტურ ნაწილად იშლებოდა: ეხსნებოდა მჭიდი და ლითონის კონდახი. შეიძლებოდა ლულის მოხსნაც. ყველა ამ თვისების გამო ბრიტანული ავტომატი, საგანგებო ნაწილების, მზვერავების, დივერსანტებისა და პარტიზანების შეუცვლელ თანამგზავრად იქცა.

ცნობილი ფაქტია, — ომის დროს დაახლოებით ნახევარი მილიონი ინგლისური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი ევროპის ოკუპირებული ქვეყნების წინააღმდეგობის მე-


„სტენის“ სრული დაშლა

ბრძოლებისთვის თვითმფრინავებიდან ჩაუშვეს. მათი ნაწილი აუცილებლად მოხვდებოდა გერმანელების ხელში. როგორ წარმოიდგენდნენ ინგლისელი მეიარაღეები, რომ მათი შექმნილი ავტომატი მტერსაც გაუწევდა სამსახურს. როგორც ზემოთ ვთქვით, 1944 წელს „მაუზერ-ვერკეს“ ქარხნებში დაიწყო STEN MkII პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების ზუსტი ასლების სერიული წარმოება (ავტომატებს ორიგინალურ ინგლისურ მარკირებას უკეთებდნენ. საგამოცდო დამღა და ფირმის ნიშნებიც ინგლისურ ენაზე იყო, როგორც ორიგინალზე). დეკემბრამდე 5300 ეგზემპლარის გამოშვება მოხერხდა, ერთი თვის შემდეგ კი დამატებით კიდევ 5100 ერთეულის. ასლებს საიდუმლო პირობითი სახელი „პოტსდამის ხელსაწყო“ (Potsdam Great) უწოდეს. როგორც ამბობენ, გერმანელებს ეს „ეშმაკობა“ უზარმაზარი თანხა დაუჯდათ, თითო ერთეული 1800 რაიხსმარკა, რაც ოცდაათჯერ აღემატებოდა ინგლისურ თვითღირებულებას. იქნებ უღირდათ ამ პროექტის ავტორებს ამხელა თანხის დახარჯვა, მაშ რატომ მოევლინა ამ ქვეყანას „პოტსდამი“? ეს წყალწაღებულის ხავსზე მოჭიდებას ჰგავდა — ომი თითქმის წაგებული იყო, გერმანული დივერსიული ჯგუფების უმრავლესობა მტრის ზურგში იბრძოდა, მათი ნაწილი ინგლისურ სამხედრო სამოსში იყო გადაცმული და როგორც გერმანული სარდლობა ვარაუდობდა, თუ რუსები ან ამერიკელები მათ წინააღმდეგ მებრძოლ „ინგლისელებს“ ინგლისური იარაღით შეიარაღებულებს დააფიქსირებდნენ, ეს საერთაშორისო სკანდალს გამოიწვევდა და მოკავშირეთა შორის უნდობლობას დათესდა (SS-ის საგანგებო ბრიგადები, ოტო სკორცენის ხელმძღვანელობით, ინგლისურ სამხედრო სამოსში გამოწყობილნი, ინგლისური საომარი ტექნიკით მოქმედებდნენ ამერიკული ნაწილების ზურგში). როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ყველაფერი ეს ვარაუდია, სინამდვილეში, რა მიზანს ისახავდა „პოტსდამის“ შექმნა, დღემდე უცნობია. როგორც ამბობენ, მათ თავიანთი ინგლისელი ტყუპისცალების ბედი გაიზიარეს — გერმანელები ომის დასასრულს პარტიზანული ომის საწარმოებლად პარაშუტებით უყრიდნენ თვითმფრინავებიდან „პოტსდამებით“ სავსე კონტეინერებს თავიანთ ფრონტის მიღმა დარჩენილ თანამოძმეებს. ომის დამთავრების შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში შეიძლებოდა წასწყდომოდი ახალთახალ, ჯერ კიდევ უხმარი ინგლისური ავტომატებით სავსე ყუთებს ავსტრიის, საფრანგეთის და გერმანიის ტყეებში, მთებსა და ტბების სანაპიროებზე. ვისი ნახელავი იყო ეს იარაღი, ინგლისელებისა თუ გერმანელების, ამის გარჩევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ასე კეთილსინდისიერად შეასრულა დაკვეთა ბერლინში, პირნც-ალბერტშტრასე 8-ში მდებარე სახელგანთქმულმა „მაუზერის“ ფირმამ.







# ირანის ბირთვული პოტენციალის შექმნის საიდუმლო





ისლამური რევოლუციისა და ირანის შაჰის, რეზა ფეჰლევის გაქცევის შემდეგ აშშ-ის ადმინისტრაცია ირანს ყოველთვის განიხილავდა როგორც ქვეყანას, საიდანაც ტერორიზმის მთავარი საფრთხე მოდიოდა. თავის მხრივ, ირანის სასულიერო ლიდერები და სამოქალაქო ხელისუფლება ამერიკას სატანას უწოდებდნენ და არც მალავდნენ, რომ მუსლიმან ტერორისტებს ფულითა და იარაღით ეხმარებოდნენ. ამ ქვეყნის ტერიტორია კარგი მოსამზადებელი ბაზა იყო აშშ-ის, ისრაელისა და მათ მოკავშირეთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოსამზადებლად. სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო აშშ-ის ხელისუფლებამ დროულად ვერ შეძლო, ხელი შეეშალა ირანის ბირთვული ამბიციებისათვის და დღეს მსოფლიო მწვავე ბირთვული კრიზისის მოწმეა, რაც შესაძლებელია ატომურ კონფლიქტშიც კი გადაიზარდოს.

ირანის ბირთვული პროგრამის (საიდანაც უკვე ერთი ნაბიჯია ატომური იარაღის წარმოებამდე) განხორციელება შესაძლებელი გახდა ორი ფაქტორის თანხვედრის შედეგად. პირველი ფაქტორი ობიექტურია და ირანის ბუნებრივ რესურსებს უკავშირდება. ნავთობისა და ბუნებრივი გაზის რესურსების რეალიზაციის შედეგად მიღებულ თანხებს მთლიანად ირანის ავტორიტარული ხელისუფლება განკარგავს და საით წარმართავს ამ უზარმაზარ „ფინანსურ იარაღს“, ეს მხოლოდ მის კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. თუმცა ბირთვული იარაღის შესაქმნელად მხოლოდ ფული საკმარისი არ არის. საჭიროა შესაბამისი ტექნოლოგიები და სამეცნიერო კადრები, რაც ირანს არ გააჩნდა.

სწორედ მეორე ფაქტორის – სპეცსამსახურების ამოქმედებით შეძლო ირანის ხელისუფლებამ ბირთვული პოტენციალის ამ აუცილებელი კომპონენტების მოპოვება, რის შემდეგაც ეს ქვეყანა 21-ე საუკუნის დასაწყისის მსოფლიოს ყველაზე დიდ თავსატეხად იქცა.

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ირანის სპეცსამსახურების მიზანმიმართული ოპერატიულ-აგენტურული მუშაობა და ზოგიერთი ქვეყნის ფარული დახმარება იყო ის გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც ირანის დღევანდელ ხელისუფლებას საშუალებას აძლევს აშკარად დაემუქროს ისრაელსა და აშშ-ს. ასე რომ, თამამად შეიძლება განვაცხადოთ – ირანის სამხედრო და ბირთვული პროგრამების შემოქმედი ირანის სპეცსამსახურები არიან.

ირანის ისლამური რესპუბლიკის რეჟიმი ამჟამად შემდეგ სპეცსამსახურებს ემყარება:

1. ინფორმაციის სამინისტრო (1979 წლამდე ამ ფუნქციებს „სავაკი“ – დაზვერვისა და უშიშროების ორგანიზაცია ასრულებდა);
2. სპეციალური ოპერაციების გაერთიანებული კომიტეტი;
3. დაზვერვისა და უშიშროების სამინისტრო;
4. ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი;
5. სამხედრო დაზვერვა.

სპეცსამსახურების ამგვარი სიმრავლე, რაც ხშირად ოპერატიული საქმიანობის დუბლირებას იწვევს, ირანის რეჟიმის შინაპოლიტიკური მდგომარეობითა და ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და რელიგიური ძალების დაპირისპირებითაა გამოწვეული.

ირანმა სპეცსამსახურების რეორგანიზაცია თანამედროვე ფორმით მხოლოდ 20-ე საუკუნის მეორე ნახევარში დაასრულა, როცა 1956 წელს „სავაკი“ შეიქმნა.

მანამდე კი, 1953 წელს, ცსს-მ და მი-6-მა დაგეგმეს და ჩაატარეს ამერიკულ-ინგლისური საიდუმლო ოპერაცია „აიაქსი“, რის შედეგადაც ირანის მემარცხენე პროსაბჭოთა მთავრობა პრემიერ-მინისტრ მოჰამედ მოსადიკის მეთაურობით დაემხო და ქვეყანაში რეზა ფეჰლევი დაბრუნდა. ამ ოპერაციას ქერმით რუზველტი, 1901-10 წლებში აშშ-ის პრეზიდენტ თეოდორ რუზველტის შვილიშვილი ხელმძღვანელობდა. სახელმწიფო გადატრიალებაში აქტიურად მონაწილეობდა შაჰის პირადი დაცვის უფროსი, პოლკოვნიკი ნემათოლა ნასირი, რომელიც შემდგომ წლებში „სავაკს“ ხელმძღვანელობდა. ირანის სპეცსამსახურების ფორმირების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ აშშ-ის ცსს, დიდი ბრიტანეთის მი-6 და ისრაელის „მოსადი“. თავიდანვე ეს სპეცსამსახური ირანის შაჰის მუჰამედ რეზა ფეჰლევის რეჟიმის საიდუმლო პოლიციად და შინაპოლიტიკური რეპრესიების ინსტრუმენტად იქცა.

იმ პერიოდში „სავაკის“ მთავარი ფუნქცია ირანის განვითარებულ, ცივილიზებულ და ისლამური ფუნდამენტალიზმისგან თავისუფალ ქვეყნად გარდაქმნისთვის ხელშეწყობა იყო. თურქეთის მაგალითი, სადაც სამხედრო ძალები და სპეცსამსახურები აკონტროლებდნენ დასავლური განვითარების გზაზე მდგომ ქვეყანას, ირანის შაჰისთვის ძალზე მიმზიდველი იყო.

უნდა ითქვას, რომ „სავაკი“ კანონის დაცვას დიდად არ დაგიდევდათ და 1956-79 წლებ-

ში შაჰის მტრები და ირანის მთელი მოსახლეობა დიდად შევიწროებული ჰყავდა. მიუხედავად ამისა, „სავაკმა“ მაინც ვერ იხსნა შაჰის რეჟიმი დამხობისაგან.

70-იანი წლების დამდეგს „სავაკში“ 5000 ოფიციალური თანამშრომელი და ოცჯერ მეტი აგენტი და ინფორმატორი ირიცხებოდა. ქვეყანაში აქტიურ კონტრდაზვერვით სამუშაოს ასრულებდნენ როგორც საბჭოთა დაზვერვისა და შაჰის ოპოზიციის წინააღმდეგ, ასევე უყურადღებოდ არ ტოვებდნენ აშშ-ის დაზვერვასაც. ქვეყნის გარეთ „სავაკის“ ძირითადი სამიზნე ეგვიპტის, სირიისა და საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურები იყვნენ. 1979 წლის თებერვალში ირანის ისლამურმა ასამბლეამ დაშალა „სავაკი“, ხოლო ნასირი და კიდევ 19 მაღალჩინოსანი ოფიცერი დახვრიტეს. საფრანგეთიდან ტრიუმფატორად დაბრუნებულმა აიათოლა ჰომეინიმ „სავაკის“ არქივები გაანადგურა და საიდუმლო პოლიციურ-რეპრესიული სპეცსამსახურის შექმნა დაიწყო.

1984 წელს ინფორმაციისა და ეროვნული უშიშროების სამინისტრო ინფორმაციის სამინისტროდ გადაკეთდა, თუმცა ფუნქციები იგივე დარჩა. სხვადასხვა დროს მას ხელმძღვანელობდნენ მოჰამედ რეიშაჰრი, ალი ფალაჰიანი, დორი ნაჯაფაბადი და ალი იუნესი, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ ირანის ჩვეულებრივი და ბირთვული შეიარაღების გასაუმჯობესებლად.

ალი იუნესი ირანის ყველაზე კონსერვატიული ფრთის წარმომადგენელი იყო, სწორედ მისი ხელმძღვანელობის პერიოდში დაჩქარდა ირანის ბირთვული პროგრამის განხორციელება, რისთვისაც იუნესიმ საგარეო ორიენტირებიც შესაბამისად შეცვალა. რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინის პოლიტიკური არენიდან წასვლისა და პრეზიდენტად პუტინის არჩევის შემდეგ რუსეთი აშკარად დაუპირისპირდა აშშ-ს. ამიტომ რა გასაკვირია, რომ ირანის საგარეო-პოლიტიკურ კურსს უძველესი არაბული ანდაზა: „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“ — დაედო საფუძვლად.

2000 წლიდან ირანის სპეცსამსახურებმა ძალზე მჭიდრო კონტაქტი დაამყარეს რუსეთის, სომხეთისა და ბელორუსიის თავდაცვის სამინისტროებსა და სპეცსამსახურებთან. იმავე წლის სექტემბერში შედგა ალი იუნესისა და მაშინდელი რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის, პუტინის ყველაზე სანდო ჩინოვნიკის, სერგეი ივანოვის გასაიდუმლოებული შეხვედრა, სადაც ირანისთვის უახლესი სამხედრო ტექნიკის მიწოდების საკითხები განიხილეს.

ამჟამად ინფორმაციის სამინისტროს შტატში 4000 კაცი და ათჯერ მეტი აგენტი და ინფორმატორია. ეს სპეცსამსახური მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, მოქმედებს. უკვე გამოკვეთილია პარტნიორებიც: რუსეთი და სომხეთი, რომლებთანაც ახალი საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ღერძი (თეირანი-მოსკოვი-ერევანი) ყალიბდება. იმის გარკვევა, ვინ იქნება მათი ძირითადი მოწინააღმდეგე და ვის საპირისპიროდ იქნება მიმართული ეს „ღერძი“, „არსენალის“ მკითხველისთვის იოლი მისახვედრი იქნება.

ამჟამად ირანის ინფორმაციის მინისტრი კოორდინაციას უწევს ყველა სხვა სპეცსამსახურისა და სადაზვერვო-დივერსიულ-ტერორისტული დაჯგუფებების საქმიანობას. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი“, რომელიც 1979 წლის მაისში შეიქმნა და ამჟამად 400 ათასამდე ფანატიკოს მებრძოლს აერთიანებს.

ისლამური რევოლუციის შემდეგ ირანის ნავთობისა და გაზის უზარმაზარი რესურსები და მათი ექსპორტისგან მიღებული მილიარდობით დოლარი ახალ კონსერვატიულ საერო-სასულიერო ხელისუფლებას ჩაუვარდა ხელთ და მათაც უახლესი მძიმე სამხედრო ტექნიკის, სარაკეტო დანადგარებისა და ბირთვული ტექნოლოგიების წარმოება-შეძენა დაისახეს მიზნად.

## აშშ-ის სპეცსამსახურების ფართოდ დახუჭული თვალები

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო, ისევე როგორც საბჭოთა სპეცსამსახურები, აქტიურად მონაწილეობდნენ ირანის შინაპოლიტიკურ სამზარეულოში. შაჰის დროს ამერიკელებს 50-75 მზვერავი ჰყავდათ ირანში, რომლებიც „სავაკთან“ თანამშრომლობდნენ. მათი მთავარი მოწინააღმდეგე საბჭოთა დაზვერვა იყო. 1974 წელს ცსს-მ ირანში მოქმედი 67 საბჭოთა მზვერავი გამოავლინა და სიები „სავაკს“ გადასცა. შაჰის ნებართვით ამერიკის ეროვნული უშიშროების სააგენტომ ირანში რადიოელექტრონული მოსმენის რამდენიმე ობიექტი ააგო, რომლებიც საბჭოთა კავშირის, ეგვიპტის, ერაყის, სირიისა და სხვა არაბული ქვეყნების ტერიტორიაზე ტექნიკურ დაზვერვას ახდენდნენ.

ისლამური რევოლუციის შემდეგ ცსს-ს უამრავი პრობლემა ჰქონდა და აქვს ირანში აგენტურის ინფილტრაციის (ანუ შეგზავნის და იქ დამკვიდრების) მხრივ. საზოგადოდ, ირანის მსგავს რელიგიური დიქტატურის ქვეყნებში აგენტურული მუშაობა ისტორიულად ურთულესი საქმეა. აღმოსავლური დიქტატორული ქვეყნების მნიშვნელოვანი სპეციფიკა ის არის, რომ აგენტურული შეღწევა ასეთ ქვეყნებში თითქმის შეუძლებელი იყო და არის. იქ არ არსებობდა რეალური და ძლიერი შიდაოპოზიცია, რომელთანაც შეიძლება ოპერატიული მუშაობა და კარგი სადაზვერვო პოზიციების მოპოვება-გამაგრება, ძნელი იყო ინფორმაციის სანდო წყაროს გადმობირებაც. ალბათ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ აშშ-ის სპეცსამსახურებს 1979 წლის ისლამური რევოლუცია და ქვეყნის სათავეში ფუნდამენტალისტების მოსვლა გამოეპარათ, რაც ამ სპეცსამსახურების ერთ-ერთ ყველაზე დიდ მარცხად უნდა მივიჩნიოთ.

ამჟამად ირანში სახეზეა 1950-90 წლების დროინდელი საბჭოური ადმინისტრაციული მოდელი — „რკინის ფარდა“, ოღონდ უფრო რთული, რელიგიური სპეციფიკით. ქვეყანას პოლიცია და სპეცსამსახურები აკონტროლებენ, ზოგიერთი ინფორმაციით, ისინი ხელმძღვანელობენ ყველაზე სასტიკ ტერორისტულ დაჯგუფებებსაც. თავად განსაჯეთ — მიუხედავად იმისა, რომ მთელ მსოფლიოში „ალ-ქაიდას“ ქსელთან მრავალ ათას ტერორისტს აქვს მჭიდრო კავშირი, საბოლოო გადაწყვეტილებას ტერაქტების ჩატარებაზე 200-300 კაცისგან შემდგარი, ღრმად კონსპირაციული ჯგუფი იღებს, რომელსაც სულ რამდენიმე პირი აკონტროლებს. ამჟამად ტერორისტული ორგანიზაციის ოპერატიულ შტაბს ხელმძღვანელობს საიფ ალ ადელი, რომელიც ირანს აფარებს თავს.

დასავლეთის სპეცსამსახურების ინფორმაციით, ირანი ყოველწლიურად რამდენიმე ათეულ მლნ დოლარს ხარჯავს სხვადასხვა ტერორისტული ჯგუფის დასაფინანსებლად.

უკვე თვრამეტი წელი გავიდა და აშშ-ის სპეცსამსახურები ირანის მიმართულებით სრულ ფიასკოს განიცდიან. 1980 წელს მათ ვერ შეძლეს თეირანში დატყვევებული მძევლების გათავისუფლება (მეტიც, იმ სპეცოპერაციის დაგეგმვა, შესრულება და შედეგები სამარცხვინო იყო ისეთი ზესახელმწიფოსთვის, როგორიც აშშ-ია), წლების განმავლობაში ვერ შეუშალეს ხელი ირანის ბირთვული პროგრამის განხორციელებას და უახლესი სარაკეტო დანადგარებით აღჭურვას, ვერ აღკვეთეს ირანის, როგორც ტერორისტთა მოსამზადებელ სამხედრო ბაზად და თავშესაფრად ჩამოყალიბება და ა.შ.

## რუსეთის ორმაგი თამაში

საბჭოთა კავშირმა ჯერ კიდევ სტალინის დროიდან დაადგა თვალი ირანს და ცდილობდა, სამხრეთ კავკასიის საგარეო-პოლიტიკურ ჭადრაკის დაფაზე თურქეთის საპირწონედ გამოეყენებინა. ირანში ყოველთვის აქტიურობდნენ საბჭოთა სპეცსამსახურები, რისი დასტურიცაა თუნდაც 1943 წელს თეირანში ჩატარებული ინგლისის პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის, აშშ-ის პრეზიდენტ რუზველტისა და საბჭოთა ბელადის — სტალინის საიდუმლო შეხვედრა. მოკავშირეთა სპეცსამსახურების წარმატებული მოქმედებების გამო გერმანიის დაზვერვამ მაშინ ვერ შეძლო სამეულის მოლაპარაკების ჩაშლა და ამ ქვეყნებს შორის მტრობის ჩამოგდება, რაც შემდგომ მეორე მსოფლიო ომში დამარცხებად დაუჯდა. ირანში საბჭოთა დაზვერვის სამსახურში ძირითადად აზერბაიჯანელი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხედრო ლექსიკონი

მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი“ აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.

знак условный – პირობითი ნიშანი
знаменщик, знаменосец – მედროშე
зона – ზონა, არე
зона безопасная – უსაფრთხო არე
зона боевых действий – საბრძოლო მოქმედების არე
зона заграждении – ღობურების არე
зона запретная – აკრძალული არე
зона наблюдения – თვალთვალის არე
зона обароный – მოგერიების არე
зона обстрела – ცეცხლდაშენის არე
зона оккупационная – საოკუპაციო არე
зона опасная – საშიში, სახიფათო არე
зона ПВО – ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის არე
зона поражения – დაზიანების არე
зона разрушений – ნგრევათა არე
зондирующий – მომსინჯავი
зрительный – მხედველობითი
игра военная – სამხედრო თამაში
идеология военная – სამხედრო იდეოლოგია
извлечение – ამოღება
извлечение мин – ნაღმების ამოღება
излучатель – გამომსხივარი
излучение – გამომსხივარი
излучение импульсное – იმპულსური გამოსხივება
излучение инфракрасное – ინფრაწითელი გამოსხივება
излучение световое – შუქური გამოსხივება
излучение тепловое – სითბური გამოსხივება
излучение ядерное – ბირთვული გამოსხივება
излучина (реки) – მოსახვევი (მდინარის)
излатывание противника – მოწინააღმდეგის მოქანცვა
измена – ღალატი
изменник – მოღალატე
изнурение – დაუძლურება
израсходование – დახარჯვა

სომეხი ეროვნების ემიგრანტები და საბჭოთა მოქალაქეები (მაგ. ატაკიშიევი, ალახვერდოვი, ალაიანცი, ვართანიანი და სხვები) იყვნენ, რომლებიც საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობდნენ. ბევრი მათგანი საბჭოთა არალეგალურ დაზვერვაში ათწლეულების განმავლობაში დარჩა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სტალინი არ ჩქარობდა ჩრდილოეთ ირანიდან საბჭოთა ჯარების გაყვანას, რასაც ჯერ კიდევ 1921 წელს საბჭოთა კავშირ-ირანს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-6 პუნქტით ასაბუთებდა. მხოლოდ გაეროს დიდი ძალისხმევის შედეგად მოხერხდა საბჭოთა ჯარების ირანიდან საბოლოო გაყვანა. მიუხედავად ამისა, ირანში ასეულობით არალეგალური საბჭოთა მზვერავი ფარულად მოქმედებდა.

1953 წელს ამერიკელების ჩარევით (რაზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ) მოსადიკის ხელისუფლება დაემხო. ირანში დაბრუნებულმა ახალგაზრდა შაჰმა მუჰამედ რეზა ფეჰლევიმ ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური რეფორმების გატარება დაიწყო. იმ პერიოდში ირანში მრავლად იყვნენ ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი სამხედრო მრჩევლები და ამ ქვეყნების სპეცსამსახურების ოფიციალური წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირი განზე დარჩა და ამ დანაკარგის ანაზღაურება ოპერატიულ-აგენტურული მუშაობის გააქტიურებით სცადა. საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტურა საელჩოს საფარქვეშ მოქმედებდა და მას 1970-79 წლებში საელჩოს პირველი მდივანი დიმიტრი კუზმინი ხელმძღვანელობდა. შაჰი რეზა ფეჰლევი ცდილობდა ჩრდილოელ მეზობელთან უპირატესად ეკონომიკური კავშირები დაემყარებინა. იმ პერიოდში დამთავრდა ირანი-სსრკ-ის გაზსადენის მშენებლობა და დაიწყო ძალზე იაფი ბუნებრივი გაზის იმპორტი ირანიდან. ამ ხელშეკრულებიდან საბჭოთა კავშირი კოლოსალურ მოგებას იღებდა, რადგან იაფ ირანულ გაზს თვითონ მოიხმარდა, ხოლო დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას ციმბირის გაზს გაცილებით ძვირად აწვდიდა.

დასავლეთის ქვეყნების პოზიციების გამყარება ირანში და თურქეთის NATO-ს წევრობა საბჭოთა იმპერიისთვის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მარცხი იყო. ამიტომაც შაჰის რეჟიმის დამხობა საბჭოთა დაზვერვის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა. კუზმინს სისტემატური კავშირი ჰქონდა ირანის ოპოზიციის ლიდერებთან (მაგ. ჰასან ფარზანი) და შეიარაღებული ძალების გენშტაბის გენერლებთან, რომლებიც ფარულად უკმაყოფილონი იყვნენ შაჰის რეჟიმით. ერთ-ერთი მათგანი, გენერალი მოჰარაბი, რომელიც რეგულარულად აწვდიდა საიდუმლო სამხედრო ინფორმაციას საბჭოთა დაზვერვას, „სავაკმა“ დააპატიმრა და სასამართლოს გადაწყვეტილებით 1978 წელს დახვრიტა.

უფრო გაუმართლა კა-გე-ბეს მეორე აგენტს, ირანის განათლების მაღალჩინოსან მოხელეს ალი რაბანის, რომელიც ჯერ კიდევ 40-იანი წლებიდან მუშაობდა საბჭოთა დაზვერვაზე. რაბანი, რომლის კურატორი მაიორი ევგენი ვენედიქტოვი იყო, 1977 წელს დააკავეს. სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, თუმცა შაჰმა საბჭოთა აგენტი შეიწყალა და პატიმრობით შეუცვალა.

1978 წელს „ცენტრმა“ კუზმინი საფრანგეთში ემიგრაციაში მყოფი აიათოლა ჰომეინის გარემოცვაში აგენტურის დასაჯავშნად მიავლინა, მაგრამ ეს მისია უშედეგოდ დასრულდა და კუზმინი მოსკოვში დააბრუნეს.

იმ დროისათვის შაჰის რეჟიმი უკვე იმდენად დასუსტებული იყო, რომ რამდენიმე თვეში სტუდენტებისა და რელიგიური დაჯგუფებების მრავალათასიან საპროტესტო გამოსვლებს ვეღარ გაუძლო და ისლამური რევოლუციის შემდეგ დაემხო. ქვეყანაში ხელისუფლება შიიტმა ფუნდამენტალისტებმა აიღეს, რომელთაც აიათოლა ჰომეინი ხელმძღვანელობდა. ამ მოვლენებზე საბჭოთა კა-გე-ბეს შეფმა იური ანდროპოვმა მომენტალური რეაგირება მოახდინა და ირანში საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტად შედარებით ახალგაზრდა ლეონიდ შებარშინი დანიშნა. მას დაევალა ირან-საბჭოთა კავშირის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად ოპერატიულ-აგენტურული ღონისძიებების გატარება. თუმცა მალევე კოვზი ნაცარში ჩაუვარდა – აიათოლა ჰომეინიმ ამერიკაც და საბჭოთა კავშირიც „სატანად“ და ირანის მტრებად შერაცხა. ირანში დაიწყო რეპრესიები საბჭოთა დაზვერვის მთავარი დასაყრდენის „ირანის სახალხო პარტიის“ (თუდე) წინააღმდეგ. საბჭოთა აგენტურას ყველგან ეძებდნენ, მათ შორის ირანის სპეცსამსახურებშიც. 1984 წელს საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობის ბრალდებით დააპატიმრეს ირანის ინფორმაციისა და ეროვნული უშიშროების მინისტრი ჰოსეინ ფარდუსთი.

ლეონიდ შებარშინი 1983 წლის დასაწყისამდე დარჩა რეზიდენტად, წარმატებას ვერ მიაღწია და უკან, „ცენტრში“ დაბრუნებული ახალ თანამდებობაზე ჩამოაქვეითეს. შემდგომ წლებში შებარშინს მხსნელად გორბაჩოვის „პერესტროიკა“ მოევლინა – 1989 წელს ის საბჭოთა დაზვერვის უფროსად დაინიშნა, ხოლო 1991 წლის აგვისტოს პუტჩის შემდეგ მოკლე პერიოდი კა-გე-ბეს თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებდა.

საბჭოთა კავშირი ყოველთვის თავს იკავებდა ირანისთვის უახლესი (მით უმეტეს, ბირთვული) სამეცნიერო გამოკვლევებისა და ტექნოლოგიების მიყიდვისა ან სამეცნიერო კადრებით დახმარებისაგან. მიზეზიც გასაგები იყო – შაჰის დროს ირანში ამერიკელები დომინირებდნენ, ხოლო შემდგომ ჰომეინის ხელისუფლების მოქმედება ძალზე ძნელად პროგნოზირებადი იყო.

საბჭოთა კავშირის მაშინდელი ხელისუ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლება არც მალავდა გალიზიანებას აშშ-ირანის სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობით. 1974 წელს, მოსკოვში მორიგი ვიზიტისას, შაჰს ბრეჟნევმა ჯიქურ ჰკითხა:

– რად უნდა ირანს ამდენი იარაღი? ვის უნდა ეომოთ? – რაზედაც შაჰის დიპლომატიური პასუხი მიიღო: ყოველ შემთხვევაში, არა ჩრდილოელ მეზობელსო. სხვათა შორის, მრავალჯერ ოფიციალურად მიწვევის მიუხედავად, უმაღლესი საბჭოთა ხელისუფლება არ კადრულობდა ირანში საპასუხო ვიზიტს, რაც დიპლომატიური ეტიკეტის აშკარა დარღვევა იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშშ-ისთვის დიდ თავსატეხად იქცა იმ ატომური პოტენციალისა და მასობრივი განადგურების იარაღის გაკონტროლება, რაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე აღმოჩნდა გაფანტული. აშშ-ის სპეცსამსახურები ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ ატომური ტექნოლოგიების, ურანისა და მისი ნარჩენების, ატომური იარაღისა და კვალიფიციური სამეცნიერო კადრების ტერორისტების და ტერორისტული ქვეყნების ხელში მოხვედრა. ეკონომიკური და სამხედრო დახმარებების ხელშეკრულებები მხოლოდ იმ პირობით ფორმდებოდა, თუ აშშ მიიღებდა ორმაგ ტექნოლოგიებზე კონტროლის სრულ გარანტიას. მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების ტექნოლოგიების, სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევებისა და ინფორმაციის, აგრეთვე სამეცნიერო მომსახურების ექსპორტი პოსტსაბჭოთა ქვეყნების კანონმდებლობით უნდა აკრძალულიყო. ამერიკის განსაკუთრებული ყურადღება რუსეთისა და უკრაინისკენ იყო მიმართული, რადგანაც ამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე იყო უმეტესად განლაგებული ბირთვული რაკეტები, ბირთვული ტექნოლოგიების საწარმოები და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები. თუ გავიხსენებთ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდის ქაოსს და მატერიალურ გაჭირვებას, გასაკვირი არ იქნება, თუ რესურსებით მდიდარ და ბირთვული იარაღის შექმნაზე მეოცნებე რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურს მოეხერხებინა და შეეძინა შესაბამისი ტექნოლოგიები, ნედლეული და გადაებირებინა მეცნიერი სპეციალისტები.

უფრო ფარულად მოქმედებდნენ ტერორისტული ორგანიზაციები („ჰამასი“, „ჰესბოლაჰი“, „აუმ სინრიკე“, შემდგომ წლებში – „ალ-ქაიდა“), რომლებიც მზად იყვნენ „შავი ბომბის“ დასამზადებლად შავ ბაზარზე შეეძინათ ცეზიუმ-137, კობალტ-60 და გამოყენებული ბირთვული საწვავის ნარჩენები.

აშშ-მა რუსეთი აიძულა მრავალმილიარდიანი დახმარების სანაცვლოდ მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და ორმაგი ტექნოლოგიების ექსპორტი აეკრძალა. რუსეთის სპეცსამსახურებმა 1992 წლის ნოემბერში ჩაშალეს სარაკეტო დარგის რუსი სპეციალისტების დიდი ჯგუფის ჩრდილოეთ კორეასა და ირანში სამუშაოდ წასვლა.

1995 წელს ხელი მოეწერა ე. წ. „გორჩერნომირდინის მემორანდუმს“, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირ-ირანს შორის თანამედროვე სამხედრო ტექნიკის მიწოდების თაობაზე 1989-91 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების მოქმედების შეჩერებას ითვალისწინებდა. 1996 წელს აშშ-ის პრეზიდენტ ბილ კლინტონის გადაწყვეტილებით, სანქციები დაუწესდა იმ უცხოურ კომპანიებს, რომლებიც ირანის ენერგეტიკაში (უპირველესად კი ატომურ ენერგეტიკაში) 40 მლნ დოლარზე მეტ ინვესტიციას ჩადებდნენ. ელცინის პრეზიდენტობის პერიოდში რუსეთის სპეცსამსახურები ასე თუ ისე ცდილობდნენ მემორანდუმისა და ირანისთვის დაწესებული სანქციების შესრულების გაკონტროლებას.

1992-98 წლის ბოლომდე რუსეთის ფეეს-ბე საკმაოდ აქტიურ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს ატარებდა ირანის დაზვერვის წინააღმდეგ. 1997 წლის ნოემბერში ფე-ეს-ბე-მ დააკავა მოსკოვში ირანის საელჩოს თანამშრომელი რეზა თეიმური, რომელიც რუსეთის მოქალაქისგან სარაკეტო ძრავების ტექნიკურ დოკუმენტაციას ყიდულობდა.

იმავე წლის ივნისში რუსეთიდან გააძევეს ირანის სამხედრო დელეგაციის წევრი აზიზ მასუდი, რომელიც რუსეთის მოქალაქისგან სამხედრო ავიაციის თანამედროვე ტექნიკური დოკუმენტაციის მიღებას ცდილობდა.

რამდენიმე თვის შემდეგ ირანულმა სამრეწველო ჯგუფმა (რეალურად კი ირანის დაზვერვის რეზიდენტურამ) „სანამ“ რუსეთის ერთ-ერთ საწარმოში სარაკეტო ძრავის სხვადასხვა კომპონენტის დამზადება აირგადამქაჩი მოწყობილობის დამზადების ხელშეკრულებით შენიღბა. გარდა ამისა, კომპანიის წარმომადგენლები ცდილობდნენ მი-


## წიგნის ავტორის შესახებ:




ბესიკ ალადაშვილი დაიბადა 1959 წელს, მიღებული აქვს უმაღლესი ეკონომიკური და იურიდიული განათლება. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. პროფესორი. თითქმის ორი ათეული წელია, ლექციებს კითხულობს უმაღლეს სასწავლებლებში.

მუშაობდა: სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, სექტორის გამგედ; საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში (კურირებდა საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებს); შინაგან საქმეთა სამინისტროში დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ; სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში – დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. იყო „ქართული არმიის განვითარების ფონდის“ გამგეობის წევრი. სამხედრო წოდება უშიშროების პოლკოვნიკი. დაასრულა აშშ-ის „გფბ“-ს „ორგანიზებულ და საფინანსო დანაშაულთან ბრძოლის“ სემინარ-კურსები.

ეკონომიკის და გეოპოლიტიკის თემებზე გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო და საგაზეთო სტატია.

სპეცსამსახურების ისტორიასა და დღევანდელ პრობლემურ საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს ორმოცდაათზე მეტი სტატია.

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში!

ან დარეკეთ 42-43-40 და მიიღეთ წიგნი სახლში, ფასნამატის გარეშე


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ელოთ ინფორმაცია უახლეს სარაკეტო-კოსმოსურ, საავიაციო, ბირთვულ და ლაზერულ ტექნოლოგიებზე, რისთვისაც ფულს არ იშურებდნენ. მათ ძალზე „მეგობრული“ ურთიერთობა დაამყარეს რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ელიტასთან. ირანის დაზვერვას შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა — სანქტ-პეტერბურგში არსებულ ბალტიის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში მათ „სტუდენტთა“ დიდი დესანტი მიავლინეს. 1998 წლის იანვარში „სანამს“ რუსეთის ტერიტორიაზე საქმიანობა აეკრძალა.

ირანის სპეცსამსახურებმა შეძლეს რუსეთის ერთ-ერთ წამყვან ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში (ჩვენი ინფორმაციით, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში) ძლიერი ოპერატიული პოზიციების მოპოვება და დიდი ანაზღაურების სანაცვლოდ სპეციალისტთა ჯგუფის გადაბირება. მიზანი — უახლესი სარაკეტო ტექნოლოგიების დამუშავება და ირანისთვის გადაცემა იყო.

1998 წელს ირანის მოქალაქე ალი მაზიდი მუჰამედიმ შეძლო მოსკოვში დროებით მცხოვრები სამი ტაჯიკის დახმარებით ლეგირებული ფოლადის დიდი პარტიის შეძენა ირანში ფარულად გადატანის მიზნით. სტრატეგიული ტვირთი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დააკავეს.

საინტერესოა, რომ რუსეთის კონტრდაზვერვის (ფე-ეს-ბე) აქტიურობა ირანის სპეცსამსახურების წინააღმდეგ 1995-98 წლებზე მოდის, როდესაც ამ სპეცსამსახურს სტეპაშინი და შემდეგ კოვალიოვი ხელმძღვანელობდნენ. 1998 წლის მეორე ნახევარში ფე-ეს-ბეს დირექტორად პუტინი დაინიშნა. ამ პერიოდიდან კარდინალურად შეიცვალა ფე-ეს-ბეს საქმიანობის პრიორიტეტები და მთავარი ძალები NATO-ს წევრი ქვეყნის — თურქეთისა და ისტორიულად ყოველთვის შუაში გაჭეჭყილი საქართველოს წინააღმდეგ იქნა მიმართული.

2000 წლიდან კი, მას შემდეგ, რაც პუტინი რუსეთის პრეზიდენტი გახდა, ირანისთვის თანამედროვე სამხედრო ტექნიკის მიყიდვის ფაქტები აღარც კი იმალებოდა. 2001 წლის მარტში მოსკოვს ირანის პრეზიდენტი მოჰამედ ხათემი ეწვია. ვიზიტის ძირითადი მიზანი თანამედროვე იარაღის (სარაკეტო სისტემები: С-300ПМУ-1, БУК-М1 და ТОП-М1, აგრეთვე БМП-3, მოდერნიზებული МиГ-29 და Су-27, სარაკეტო და სადესანტო კატარღები, 500 ერთეულზე მეტი ტანკი Т-72С და სხვ. — სულ 1,5 მლრდ დოლარის ღირებულების) და ბუშერის ატომური ელექტროსადგურისთვის მოწყობილობების შეძენა იყო. ხუთწლიანი პაუზის შემდეგ რუსეთ-ირანს შორის გაფორმდა სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის ახალი ხელშეკრულებები.

ამ დემარშით რუსეთი გამოვიდა „გორ-



პუტინის პრეზიდენტად გახდომისთანავე ირანის ბირთვული პროგრამა რუსეთ-ამერიკის „პოლიტიკური ვაჭრობის“ ძირითადი კომპონენტი და ამერიკის შანტაჟირების იარაღი გახდა.

ჩერნომირდინის მემორანდუმიდან“ და აშკარად დაუპირისპირდა აშშ-ს. ვაშინგტონის შეშფოთება, პირველ რიგში, გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ რუსეთის მიერ მშენებარე ბუშერის ატომური ელექტროსადგური შესაძლებელია ირანმა ატომური იარაღის ერთ-ერთი კომპონენტის — პლუტონიუმის საწარმოებლად გამოიყენოს.

ამავე დროს, რუსეთის სპეცსამსახურებმაც შეარბილეს კონტრდაზვერვითი საქმიანობა ირანის დაზვერვის წინააღმდეგ, სამაგიეროდ რამდენჯერმე იმატა თურქი მზვერავებისა და „ტერორისტების“ გამოვლენის ფაქტებმა.

პუტინის პრეზიდენტად გახდომისთანავე ირანის ბირთვული პროგრამა რუსეთ-ამერიკის „პოლიტიკური ვაჭრობის“ ძირითადი კომპონენტი და ამერიკის შანტაჟირების იარაღი გახდა. რუსეთი ოფიციალურად ეთანხმება გაეროს ბირთვული იარაღის წარმოების აკრძალვის შესახებ დადგენილებებს, კვერს უკრავს ამერიკას ირანის ბირთვული პოტენციალის გაფართოების საშიშროებაზე, სინამდვილეში კი აქეზებს (პოლიტიკური მხარდაჭერითა და ტექნიკური დახმარებით) ირანს.

რუსეთი ირანის წინააღმდეგ პოლიტიკურ-ეკონომიკური სანქციების შემოღებისა და სამხედრო ოპერაციის კატეგორიული წინააღმდეგია, რადგანაც დღევანდელ „გაყინულ კონფლიქტს“ და საერთაშორისო დაძაბულობას პოლიტიკურ დივიდენდებთან ერთად მოსკოვისთვის უდიდესი ფინანსური მოგებაც მოაქვს.

უკვე მერამდენე თვეა ირანი და რუსეთი შეხმატკბილებულად თამაშობენ პინგ-პონგს — აი, დღეს შევქმნით ურანის გამამდიდრებელ ერთობლივ საწარმოს რუსეთის ტერიტორიაზე, აი ხვალო... მერე აღმოჩნდება, რომ ირანელები მხოლოდ ექსკურსიაზე იყვნენ მოსკოვში და არავითარი ერთობლივი საწარმო არ უნდათ. შემდეგ „როსატომის“ შეფი, საქართველოში დაბადებული და ყოფილი „ქინდერ სიურპრიზ-რუსეთის პრემიერი“ სერგეი კირიენკო ჩაბრძანდება თეირანში და ირანელებთან შეხვედრის შემდეგ პიონერული ღიმილით ამცნობს მოთმინებადაკარგულ და შეშფოთებულ მსოფლიოს — გეშველათ, შეთანხმება უკვე მიღწეულიაო, მაგრამ მისი წამოსვლა და ირანელების ეშმაკურად თვალებმოჭუტული და უარმყოფელი განცხადება ერთია...

ასე გრძელდება კარგა ხანია, ამასობაში კი ირანი გამალებით მუშაობს ბირთვული იარაღის შექმნაზე, მისი პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადი-ნეჯადი კვლავ მწვავე და სახიფათო განცხადებებს აკეთებს. ამასობაში ნავთობზე მსოფლიო ფასების ზრდა ყველა ისტორიულ რეკორდს ხსნის, ეს კი ვის აძლევს ხელს? ისევ და ისევ ამ ორ ქვეყანას, მათ ხელისუფლებას და განსაკუთრებით სათავეში მყოფ პირებს, რადგან საინტერესო დამთხვევის წყალობით ორივე ქვეყანაში ნავთობს, გაზსა და ყველა ბუნებრივ სიმდიდრეს და მათი ექსპორტიდან მიღებულ მილიარდებს ისინი პირადად აკონტროლებენ. ორივე მოთამაშეს ამგვარი პატური სიტუაციის შენარჩუნება განუსაზღვრელი დროით აწყობთ, რადგან სწორედ ნავთობის ექსპორტია მათი ბიუჯეტის შევსების წყარო. მსოფლიო რეალური საფრთხის წინაშეა. ამ პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ მშვიდობიანი გზით, სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე უნდა მოხერხდეს, შედეგები უმძიმესი იქნება. ამ სიტუაციაში პასუხისმგებლობა გაეროს უშიშროების საბჭოს წევრ ქვეყნებს, უპირველესად კი რუსეთისა და ჩინეთს ეკისრებათ.

ბესიკ ალადაშვილი

ახალ რუბრიკაში სამხედრო სფეროში მომხდარ კურიოზულ შემთხვევებს გავაშუქებთ. ამ ჯერზე მშვიდობიანი სატანკო „ბატალიების“ შედეგებს გთავაზობთ.

# ასეც ხდება...


ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად...
Chellenger


სიყვარულს რას გაუგებ...
Chellenger


ვაი! ცხვირი, ცხვირი, შე...
Merkava


ბავშვობაში წყალქვეშა ნავობა უნდოდა
M1 Abrams


უკომენტაროდ... M1 Abrams


გ ზიდან გადაუხვია...
Leopard


ზურგის დაფხანვას არ გაცდიან...
Chellenger


...ვგონებ ქეიფობენ?!
Leopard

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილუზიონისტი

# რემბო



ასე 10-15 წლის წინ საქართველოში გაფაციცებით უყურებდნენ სათავგადასავლო მხატვრულ ფილმებს რემბოზე. ბევრი ცდილობდა „რემბოს" ლეგენდარული გმირივით, სილვესტერ სტალონესავით დაეყენებინა ბიცეფსები თუ დაეხუჭუჭებინა თმა.

სამაჩაბლოსა და აფხაზეთში კონფლიქტები რომ დაიწყო, პანტაპუნტით გაჩნდნენ „რემბოები". თითოეულ ბატალიონს (ბატალიონი ერქვა, მაგრამ ერთ გაძლიერებულ მოტომსროლელ ასეულსაც ჩამორჩებოდნენ რაოდენობით) ერთი-ორი თავისი „რემბო" ჰყავდა.

რაც შეეხება ნამდვილ „რემბოს" — უფრო სწორად კი ამ როლის შემსრულებელ მსახიობს, სილვესტერ სტალონეს, მან, ფილმის რეჟისორებმა და რაც მთავარია, სპეცეფექტების სპეციალისტებმა მილიონობით მაყურებელი დიდ შეცდომაში შეიყვანეს იარაღის გამოყენების შესაძლებლობების მხრივ.

ყველა კინოლაფსუსის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და თანაც ყველა მათგანის დასაფიქსირებლად „რემბოს" ყველა სერიის რამდენჯერმე ნახვა დაგვჭირდება, რისი დროც და რაც მთავარია, სურვილიც ნაკლებად გვაქვს.

ამჯერად მხოლოდ ორ ძირითად დეტალზე შევჩერდებით.

„რემბო-1"-ის შემდეგ სტალონეს გმირს ვიეტნამში ამერიკელი ტყვეების მოსაძებნად და გამოსახსნელად აგზავნიან. რემბო რისი რემბო იქნებოდა, აბსოლუტურად შეუსრულებელი საბრძოლო ამოცანა წარმატებით რომ არ შეესრულებინა, მაგრამ დავაკვირდეთ ფილმის დასასრულს ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ მომენტს. რემბოს „იროკეზის" ტიპის შვეულმფრენით გამოხსნილი, მისავათებული ტყვეები გამოჰყავს, მაგრამ მის შვეულმფრენს რუსების შეიარაღებული საბრძოლო შვეულმფრენი სროლით მოსდევს უკან (იყო თუ არა ეს საბრძოლო შვეულმფრენი საბჭოთა წარმოებისა, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ).

რემბო დაზიანებულ „იროკეზს" როგორღაც ღელეში დასვამს. მას წინ ჰაერში, დაბალ სიმაღლეზე, წითელვარსკვლავიანი შვეულმფრენი „ეკიდება" და ბოლო გასროლისთვის ემზადება, რის შემდეგაც წესით „იროკეზის" სახსენებელიც კი არ უნდა დარჩეს, მაგრამ მოულოდნელად პილოტის სავარძელზე „მიმკვდარებული" რემბო ლომივით წამოიჭრება, ხელში ყუმბარსატყორცნს მოიმარჯვებს და „იროკეზიდან" გადმოუსვლელად, სავარძლიდანვე ესვრის წითელვარსკვლავიან შვეულმფრენს...

აფეთქების ხმა, ბურუსი იფანტება, ღელეში რუსული შვეულმფრენის ნაწილებია მიყრილ-მოყრილი, „იროკეზის" საქარე მინაში კი პატარა ნახვრეტია, ეტყობა, რეჟისორმა სწორედ აქედან „გააძვრინა" რემბოს რაკეტა.

თითქოს ყველაფერი სიმართლესთან ახლოსაა, მაგრამ სინამდვილეში ფილმის ავტორები უსინდისოდ და თანაც რამდენჯერმე ატყუებენ მაყურებელს ამ ხუთწამიან სიუჟეტში.

დავიწყოთ თავიდან: რემბოს ხელთ ამერიკული წარმოების ერთჯერადი ყუმბარსატყორცნი M-72-ი აქვს. ამ ყუმბარსატყორცნიდან გაშვებული რაკეტა თავის უკან, 15-20 მ-ის დისტანციაზე, ცეცხლის ალს ტოვებს, რომელშიც მოხვედრას არავის ვუსურვებთ. არადა ზარმაცი რემბო ყუმბარსატყორცნიდან გასროლისას არც კი გადმოდის „იროკეზის" მარცხენა პილოტის სავარძლიდან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყუმბარსატყორცნის გასროლის შედეგად წარმოქმნილი ცეცხლის ალი „იროკეზის" სალონში (რომელიც სულ რაღაც სამიოდე მეტრის სიგრძისაა) მყოფ სიმწრით გადარჩენილ ამერიკელ ტყვეებს ერთიანად ამობუგავდა...

როგორც წესი, M-72-ის რაკეტა კუმულაციური ქობინითაა აღჭურვილი და ძნელი დასაჯერებელია, კუმულაციურმა ეფექტმა შვეულმფრენი უცბად აფეთქოს. იგი გამჭოლად გახვრეტდა შვეულმფრენის კორპუსს და შეიძლება ჩამოეგდო, მაგრამ არა უცბად აეფეთქებინა.

ასევე წარმოუდგენელია კუმულაციურქობინიანი რაკეტის გაშვება „იროკეზის" სალონიდან, რადგან ფილმის მიხედვით რაკეტა ჯერ „იროკეზის" საქარე მინას ხვრეტს. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია რაკეტის ამფეთქის ინიცირება მაშინვე მომხდარიყო.

ახლა წითელვარსკვლავიან რუსულ შვეულმფრენს დავუბრუნდეთ, რომელიც „რემბოს" როგორც ვიეტნამის, ისე ავღანეთის სერიალებში ფიგურირებს.

ჩანს, ამერიკელ რეჟისორებს იმის ჩვენება სურდათ, პირისხლიანი საბჭოთა კომისრები როგორ ჟლეტდნენ უდანაშაულო ავღანელ მოსახლეობას Ми-24 ტიპის საბრძოლო შვეულმფრენებით. რაღაც ამგვარი ავღანეთში მართლაც ხდებოდა, მაგრამ „რემბოში" Ми-24-ს „შელამაზებული" ფრანგული „პუმა" ასახიერებს.

SA 330 PUMA ფრანგული წარმოების სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენია, რომელსაც ორი ტურბოხრახნიანი ძრავა ფიუზელაჟის თავზე აქვს დამონტაჟებული, რითაც ძალზე ჰგავს საბ-



ჭოთა სამხედრო-სატრანსპორტო Ми-8-ს. საბრძოლო Ми-24 სწორედ Ми-8-ის ბაზაზე შეიქმნა. ეტყობა, ამიტომაც აირჩიეს ამერიკელმა რეჟისორებმა საბჭოთა „კროკოდილების“ საიმიტაციოდ სწორედ ფრანგული „პუმა“.

სპეცეფექტების სპეციალისტებმა „პუმას“ ფიუზელაჟს ორივე მხრიდან ბუტაფორიული ფრთები მიადგეს სამ-სამი ჩამოსაკიდებელი პილონით, რითაც მართლაც ძალიან დაამსგავსეს „კროკოდილს“. ოღონდ ის ვერ გათვალეს ამერიკელმა სპეციალისტებმა, რომ ავღანეთში გამოყენებულ Ми-24Б-ისა და Ми-24П ტიპის საბრძოლო შვეულმფრენებში მფრინავ-ოპერატორი და მთავარი პილოტი ერთმანეთის უკან სხედან, „რემბოში“ კი ორივე პილოტი გვერდიგვერდაა განთავსებული.

გარდა ამისა, იმ „კროკოდილის“ ფრთებზე ჩამოკიდებული ბუტაფორიული, უმართავი რაკეტების გასასროლი უნივერსალური ბლოკებიდან რაკეტების გაშვების ნაცვლად ტყვიამფრქვევი ისვრის ფუჭ ვაზნებს...

ალბათ გახსოვთ ის დაძაბული მომენტი, როდესაც ავღანეთში წითელვარსკვლავიანი შვეულმფრენი და ტანკზე ამხედრებული სტალონე ტარანზე მიდიან.

იმაზე აღარ შევჩერდებით, რა ტანკს მართავს რემბო. იგი რაღაცით T-72-ს წააგავს. თუმცა ისიც შელამაზებულია. ამასთან, ეტყობა, ბევრმა არ იცის, რომ ავღანეთის ომში საბჭოთა არმია მხოლოდ T-55-ისა და T-62-ის ტიპის ტანკებსა და მათ მოდერნიზებულ ვარიანტებს იყენებდა. ავღანეთში T-72-ები და მით უმეტეს საიდუმლო T-64-ები და T-80-ები არ ჩაუყვანიათ (თუ არ ვცდებით, ახალ რუსულ მძაფრსიუჟეტიან ფილმში „მე-9 ასეული“ ცნობილ მსახიობსა და ამ ფილმის რეჟისორს ბონდარჩუკს გამოყენებული აქვს ასევე T-72 ტიპის ტანკები. ისე ამ ფილმის რუს სამხედრო კონსულტანტებს აუცილებლად უნდა სცოდნოდათ, რომ ამ ტიპის ტანკები ავღანეთში არ გაჭაჭანებულან).

რაც ყველაზე მთავარია, სუპერმენი რემბო არათუ ტანკს მართავს, თქვენ წარმოიდგინეთ ტანკის ქვემეხიდანაც ისვრის. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ტანკის ეკიპაჟის წევრი მხოლოდ რემბოა, ასე რომ, ტექნიკურად სრულიად შეუძლებელია, რომ მძღოლ-მექანიკოსმა თან ტანკი ატაროს და თან მსროლელის ფუნქცია შეასრულოს.

ტანკი არც თვითმფრინავია, რომ ავტოპილოტზე დააყენო და არც ამერიკული ლიმუზინი, კრუიზკონტროლი რომ ჩაურთო.

ასე რომ, რემბო რაც უნდა ფანტასტიკური მებრძოლი ყოფილიყო, ვერ შეძლებდა ერთდროულად ტანკის მართვას და ტანკის ქვემეხიდან დამიზნებით სროლასაც...

*ირაკლი ალადაშვილი*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჭადრაკის მოყვარული" რომელიც არაფერს თაკილობს

ალბათ ბევრს გახსოვთ იტალიური კომედიური ფილმი „ჭირვეულის მორჯულება" ადრიანო ჩელენტანოსა და ულამაზესი ორნელა მუტის მონაწილეობით. ჰოდა ეს ფილმი თუ გახსოვთ, შეუძლებელია ჩელენტანოს „პარტნიორი" ბომბორა ძაღლის დავიწყება, რომელიც ჭირვეულ პატრონს ჭადრაკს ეთამაშებოდა და თანაც არცთუ წარუმატებლად... ეს ბობტეილი ანუ ძველებური ინგლისური მეცხვარე გახლდათ. ძაღლის ეს ჯიში საქართველოში არ არის ფართოდ ცნობილი, თუმცა ევროპაში დიდი პოპულარობით სარგებლობს და ამას თავისი მიზეზებიც აქვს...



ბობტეილი (old english Sheepdog ანუ bobtail სიტყვასიტყვით ნიშნავს მოკლედშეკრეჭილ კუდიანს) სამწყემსო ძაღლების ჯიშია. სხვანაირად ძველინგლისურ ნაგაზსაც უწოდებენ. ძაღლის ეს ჯიში მე-19 საუკუნეში, დიდ ბრიტანეთში გამოიყვანეს. მაშინ მესაქონლეებს გადასახადს არ ახდევინებდნენ და როგორმე რომ გამოერჩიათ ბობტეილი, კუდებს აჭრიდნენ. ზოგიერთი ლეკვი უკუდოდ იბადება და თუ მაინც გამოჰყვა, მაშინვე აჭრიან.

ბობტეილის სტანდარტი 1888 წელს მიიღეს და მას შემდეგ თითქმის არ შეცვლილა. ამ ძაღლის წარმოშობაზე სამი ვერსია არსებობს. პირველის მიხედვით, ბობტეილი იმ სამწყემსო ძაღლებისგან (უფრო სამხრეთრუსული ნაგაზებისგან) წარმოიშვა, რომლებიც ინგლისში რუსეთიდან ბალტიის გავლით შეიყვანეს. მეორე ამტკიცებს, რომ ეს ჯიში დასაბამს ბრიარისა და ბერგამასკოსგან იღებს. მესამე ვერსიის ერთგულნი კი მიიჩნევენ, რომ ბობტეილი პუდელისა და დირჰაუნდის ნათესავია. მას მუშა ძაღლებად იყენებდნენ, საქონლის გასარეკ-შესარეკად.

ბობტეილი მძლავრი აგებულების ძაღლია, კვადრატული ფორმატის, პროპორციული. ხვადების სიმაღლე 60 (და ზემოთ) სანტიმეტრია, ძუებისა – 56 სმ (და ზემოთ). წონა სტანდარტით არ არის განსაზღვრული. წელი ამოზნექილი აქვს, თავი მსხვილი, თავის ქალა – კვადრატული, აშკარად გამოკვეთილი შუბლიდან დრუნჩისაკენ; ცხვირის წვერი დიდი აქვს, შავი. თვალები მუქი ან მარმარილოსებრი. ბალანი ხშირი და გრძელი, დატალღული, მაგრამ კულულების გარეშე, ხელის შევლებით უხეშია.

ბობტეილს გარეგნული კონტურები გაკრეჭვის შემდეგ არ უნდა ეცვლებოდეს. შეფერილობა: რუხის ნებისმიერი ტონი, „გრიზლი" ან ლურჯი.

კორპუსი და უკანა კიდურები ერთფეროვანი აქვს, შესაძლებელია თეთრი წინდებით. თავი, კისერი, წინა კიდურები და ქვედა მუცელი თეთრი, ნახატით ან უნახ-





ატოდ. კუდი არ აქვს ან აჭრიან.

ნაკლი — გრძელი, ვიწრო თავი.

ბობტეილი მეტად გონიერი ძაღლია, ერთგული, უშიშარი და გულისხმიერი. იოლად იწვრთნება და ადვილად სამართავია. ხასიათით მშვიდია, შესანიშნავად ეგუება ბავშვებს და შინაურ ცხოველებს.

გარდა იმისა, რომ ოჯახის საყვარელი არსება და ბავშვების მეგობარია, დარაჯად და კომპანიონად იყენებენ. მიუხედავად იმისა, რომ ტანად ზორბაა, ქალაქურ ბინებსაც კარგად ეგუება. რეკომენდებულია ყოველდღიური ხანმოკლე გასეირნება და უსაბელო სირბილი; ბალნის მოსავლელად ჯაგრისი და მსხვილკბილა სავარცხელი გამოიყენეთ. ბობტეილს ხშირად ემართება ყურის ანთება, ამიტომ რეგულარული შემოწმება სჭირდება.

ბობტეილი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას განუმეორებელი გარეგნობით იქცევს. ეს ფუმფულაბეწვიანი ძაღლი ძალზე საყვარელი და თვინიერია. ამის მიზეზი მისი იდეალური ხასიათი და გაწონასწორებული ტემპერამენტია.

ბობტეილის გამოყვანის თავდაპირველი მიზანი დამჯერი და იოლად სამართავი სამწყემსო ძაღლი იყო. ამასთან, ძველინგლისურ ნაგაზს განვითარებული ინტელექტიც მოეთხოვებოდა, მას დამოუკიდებლად უნდა მიეღო ბევრი გადაწყვეტილება. დღეს ბობტეილს აღარავინ იყენებს საქონლის სამწყემსად, ბევრი თაობა ისე გაიზარდა, რომ თვალითაც არ უხილავს ცხვარი და საძოვრები. მიუხედავად ამისა, უმრავლესობამ შესანიშნავი მწყემსური ინსტინქტი შეინარჩუნა. ამ ჯიშის შესაძლებლობები მართლაც რომ უსაზღვროა. მისი ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი მუშაობის დიდი სურვილია. საგამოფენო ძაღლების მთელი თაობის გამოყვანამ, რომელთა სელექციისას ყურადღება არ ექცეოდა მის სამუშაო თვისებებს, ბობტეილის ბუნებრივი ინტელექტი ვერ დაუკნინა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბობტეილი იოლი გასაწვრთნელია, პატრონს ემორჩილება და ცდილობს, აამოს. ყურადღებით უსმენს პატრონის ლაპარაკს და ბევრი რამ კარგად ესმის. ეს მის საოცარ გონიერებას მოწმობს.

გასული საუკუნის 70-იანი წლების ინგლისურ პრესაში ერთი მეტად საინტერესო შემთხვევა იყო აღწერილი.

ძველინგლისური ნაგაზის პატრონმა შემთხვევით ბენზინი გადაისხა ტანსაცმელზე, რომელიც მაშინვე აალდა. წამში მამაკაცი ცოცხალ ჩირაღდნად იქცა. ბობტეილი პატრონს მივარდა, წააქცია და მისი მიწაზე გორაობა დაიწყო, თან ალის ჩაქრობას ცდილობდა. ასე რომ, პატრონს მძიმე დამწვრობა არ მიუღია.

ბობტეილები საგანგებოდ მიჰყავთ ხოლმე მძიმე ავადმყოფებთან. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ როცა ადამიანი ძაღლს ეფერება (განსაკუთრებით გრძელბალნიანს), მშვიდდება და სიხარულის განცდა ეუფლება. ბევრი ავადმყოფისათვის ძაღლთან ურთიერთობა ერთადერთი შესაძლებლობაა, თავი გარიყულად არ იგრძნოს.

კლინიკაში მიყვანამდე ძაღლს მკაცრად ამოწმებენ. მას თითქმის ექვსი თვის განმავლობაში ამზადებენ მოწყალების მისიის შესასრულებლად. ძაღლისგან იდეალურ მორჩილებასა და ავადმყოფებისთვის სავარძლით ან ინვალიდის ეტლით გადაადგილებისას დახმარებას მოითხოვენ; ასწავლიან შუქის ანთება-ჩაქრობას, კარის გაღებას, ზარის ღილაკსა და სხვა კნოპებზე თათის დაჭერას, ასევე პაციენტისთვის ნებისმიერი ნივთის მიტანას.



სათანადო გაწვრთნის შემთხვევაში, ბობტეილი შეიძლება საუკეთესო სპორტულ ძაღლადაც იქცეს. სპორტის კინოლოგიურ სახეობათა შორის ყველაზე პოპულარული დღეს აჯილიტია (ინგლ. „სიმარდე“, „სიმკვირცხლე“). აჯილიტიში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები ტარდება. ძაღლმა პატრონის ხელმძღვანელობით სხვადასხვა წინააღმდეგობა უნდა დასძლიოს. დიდი ბრიტანეთის სახელგანთქმულ გამოფენა „კრაფტზე“ სხვა ძაღლებთან ერთად ხშირად გამოჰყავთ აჯილიტიში ბობტეილები. თუ თქვენს ძაღლს საგამოფენო კარიერის დიდი პერსპექტივა არ აქვს, ჩემპიონი მაინც გახდება აჯილიტიში ან წვრთნაში.

ასე რომ, ბობტეილი ყოველთვის მზად არის სამუშაოდ, თქვენ ისღა დაგრჩენიათ, საქმიანობის სახე შეურჩიოთ.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# არც ცისაა, არც წყლისა...



1993 წლის სექტემბრის ბოლოს სოხუმში გაცხარებული ბრძოლებია. ჩანს, სოხუმი დაეცემა. სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე ვერ ახერხებს ბლოკადაში მოქცეული აფხაზეთიდან გამოსვლას. რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინისა და თავდაცვის მინისტრ პავლე გრაჩოვის ბრძანებით შავი ზღვის ფლოტის სარდალი ადმირალი ედუარდ ბალტინი სევასტოპოლიდან სოხუმის მიმართულებით სწრაფმავალ, ჰაერბალიშიან სადესანტო ხომალდ „ზუბრს" აგზავნის. „ზუბრს" პირველი რანგის კაპიტანი მაქსიმოვი მეთაურობს, ხომალდზე პოლკოვნიკ კორნეევის საზღვაო ქვეითთა ასეული იმყოფება. დავალებული აქვთ – რადაც უნდა დაუჯდეთ, ალყაშემორტყმული სოხუმიდან საქართველოს სახელმწიფო მეთაური ედუარდ შევარდნაძე გამოიყვანონ.

## "სრუტეების რისხვა" ჰაერბალიშიანი "ზუბრი"

„ზუბრი" ღამით უახლოვდება სოხუმის სანაპიროს. ხომალდის აირტურბინიანი ძრავები სპეციფიკურ ხმას გამოსცემენ და აფხაზებს ჰგონიათ, ზღვის მხრიდან მათ ავიაცია უტევს. ისინი ინტენსიურ ცეცხლს ხსნიან, რის გამოც „ზუბრი" უკან იხევს.

ცოტა ხანში „ზუბრიდანაც" იწყებენ სანაპიროს დაბომბვას. ამასობაში უკვე ბაბუშერის სამოქალაქო აეროპორტში მყოფი შევარდნაძე ქართული სამგზავრო თვითმფრინავ Ту-134-ით პილოტებს დაბალ სიმაღლეზე ფრენით გამოჰყავთ და გეზს ბათუმისკენ იღებენ საწვავის მარაგის შესავსებად...

სწორედ ასეთ დრამატულ სიტუაციაში „გაიცნეს" „ზუბრი" საქართველოს სანაპიროებთან. სხვათა შორის, „ზუბრი" პირველ რუსულ ხომალდად იქცა, ვინც სეპარატისტებს გაუხსნა ცეცხლი (მანამდე რუსული ხომალდები და მოიერიშე თვითმფრინავები მხოლოდ ქართულ პოზიციებს ბომბავდნენ) და საერთოდ, ეს „ზუბრის" საბრძოლო ნათლობა იყო.





შევარდნაძის გადასარჩენად გამოგზავნილი ეს მცურავი საშუალება საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საიდუმლოებას წარმოადგენდა თავის დროზე, რადგან ჰაერბალიშიანი ამხელა ზომის სადესანტო ხომალდი მაშინ (და დღესაც) არავის ჰყოლია.

12322 პროექტის „ზუბრის" ტიპის ჰაერბალიშიანი სადესანტო ხომალდი ასევე ჰაერბალიშიანი კატარღების: „სკატის", „კალმარის", „ომარისა" და სადესანტო ხომალდ „ჯეირანის" შემდგომი, ბევრად გაუმჯობესებული მოდელია.

„ზუბრის" კონსტრუქციული აგებულება ძალზე თავისებური და ამასთან, საინტერესოა. მას ხუთი აირტურბიანი ძრავა აქვს. აქედან ორი (თითოეულის სიმძლავრე 10 ათას ცხ.ძ.-ს აღწევს) ჰორიზონტალურადაა დამონტაჟებული ხომალდის კორპუსში და ისინი ატმოსფეროდან ჰაერს ჭირხნავენ ხომალდის ძირზე დამაგრებულ გამძლე რეზინის ბალიშში. ამის შედეგად „ზუბრი" მაღლა იწევს და წყლის ან მიწის ზედაპირს მხოლოდ რეზინის ბალიშით ეხება. დანარჩენი სამი აირტურბინიანი ძრავა (თითოეული მათგანის სიმძლავრეც 10 ათას ცხ.ძ.-ს უტოლდება) შვეულადაა განთავსებული ხომალდის კორპუსის უკანა ნაწილში და „ზუბრს" დიდი სიჩქარით მოძრაობის საშუალებას აძლევენ.

„ზუბრი" მოძრაობისას, ფაქტობრივად, წყალს არ ეხება, მაგრამ არც მიფრინავს – იგი წყლის (ისევე როგორც მიწის) ზედაპირზე მისრიალებს.

ეს თვისება საგანგებოდ შეურჩიეს „ზუბრს", რადგან მისი მეშვეობით მოსკოვს სრუტეებისა და პორტების უეცარი დაკავება ჰქონდა გადაწყვეტილი. მხოლოდ დღეს შეიქნა ცნობილი, რომ შავი ზღვის ფლოტის „ზუბრებს" უეცარი „ნახტომით" მოულოდნელად უნდა გადაესვათ საზღვაო ქვეითები ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში. დაპყრობილ სრუტეებში კი თავისუფლად გავიდოდნენ შავი ზღვის ფლოტის დანარჩენი საბრძოლო ხომალდები და წყალქვეშა ნავები. სწორედ ამიტომაც „ზუბრს" „სრუტეების რისხვა" უწოდეს.

ძალზე შთამბეჭდავია „ზუბრის" ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები. 550 ტონა სრული წყალწყვის მქონე „ზუბრს", მაქსიმალური 60 კვანძის სიჩქარით (დაახლოებით 108კმ\სთ), შეუძლია 300 საზღვაო მილის სიშორეზე გადაიტანოს სამი ტანკი (თითოეული არანაკლებ 50 ტონის), ან ათი ჯავშანტრანსპორტიორი, ან რვა ქვეითთა საბრძოლო მანქანა, ან გადაიყვანოს 360 საზღვაო ქვეითი სრული საბრძოლო აღჭურვილობით, ანდა 500 კაცი.

ჩვეულებრივი სადესანტო ხომალდებისგან განსხვავებით, რომლებიც ნაპირთან მიახლოებისას სპეციალურ აპარელებს უშვებენ (რომლებიდანაც სანაპიროზე გადმოდის ტექნიკა), „ზუბრს" კიდევ ერთი დიდი უპირატესობა აქვს: დადგენილია, რომ ჩვეულებრივ სადესანტო ხომალდებს მსოფლიოს ოკეანეებისა და ზღვების სანაპიროს მხოლოდ 17%-ის ტოლ მონაკვეთზე შეუძლიათ სადესანტო ოპერაციების ჩატარება, რადგან სხვაგან ნაპირის სიღრმე და ციცაბო მისადგომი ამის საშუალებას არ იძლევა. „ზუბრს" კი, ისევე როგორც ჰაერბალიშიან სხვა მცურავ საშუალებებს, მსოფლიო სანაპიროების 78%-ზე შეუძლია დესანტის გადასხმა.

სანაპიროს დასაცავად ხშირად წყალში აწყობენ დესანტსაწინააღმდეგო საზღვაო ნაღმებს. ჩვეულებრივი ხომალდები მათთან შეხებისას ფეთქდებიან, „ზუბრი" კი წყლის ზედაპირზე მისრიალებს და არც საზღვაო ნაღმების ეშინია.

საერთოდ, „ზუბრიდან" სადესანტო ოპერაცია დაახლოებით ასეთი სცენარით ტარდება: „ზუბრი" მაქსიმალური, თითქმის 100 კმ\სთ სიჩქარით უახლოვდება ნაპირს და საარტილერიო ცეცხლს უხსნის სანაპირო თავდაცვით ზღუდეებს. ამისთვის „ზუბრს" ორი ზალპური ცეცხლის რეაქტიული დანადგარი აქვს. თითოეული 22-ლულიანია და 140 მმ კალიბრის რაკეტას ისვრის (ისინი „კატიუშასა" და „გრადის" პრინციპით მოქმედებენ), ერთდროულად ათობით რა-

**„ზუბრიდან" მცურავი ტანკები ПТ-76-ები გადმოდიან**



ეროვნული ბიბლიოთეკა



„ზუბრიდან“ თვითმავალი საარტილერიო დანადგარის 2С1 Гвоздика-ს დესანტირება ხორციელდება

**ჩვენი დოსიე:** 12322 პროექტის ჰაერბალიშიანი სადესანტო ხომალდ Зубр-ის სიგრძე 56 მ-ია, სიგანე 23 მ, სიმაღლე 22 მ. მაქსიმალური სიჩქარე — 60 კვანძი. შეიარაღებულია ორი 30მმ კალიბრიანი ექვსლულიანი ავტომატური საარტილერიო დანადგარით АК-630-ით, СТРЕЛА-3М ტიპის ოთხი გაოთხმაგებული დანადგარით (32 საზენიტო რაკეტის მარაგით), ორი 22-მილიანი 140მმ კალიბრიანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემით.

კეტის აფეთქებისგან თავგზააბნეული მოწინააღმდეგე სანამ გონს მოვა, „ზუბრი“ სანაპიროზე ავარდება, აღებს აპარელს, საიდანაც მძიმე ტექნიკა გამოდის და საზღვაო ქვეითები კი სროლით გამორბიან.

ასეთი მოულოდნელობის ეფექტი სანაპიროს დაპყრობის საუკეთესო საშუალებაა. „ზუბრს“ ხმელეთზეც შეუძლია გააგრძელოს მოძრაობა და გადალახოს მეტრნახევრიანი დაბრკოლებები, თუმცა დიდი შანსია თავისი რეზინის „კაბა“ რამეს შეახიოს (ასეთი შემთხვევა ერთხელ უკვე მოხდა, როდესაც უკრაინულმა ეკიპაჟმა ერთ-ერთი „ზუბრის“ რეზინის ბალიში მილსადენის გადალახვისას დახია).

პირველი „ზუბრი“ საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ძალების შეიარაღებაში 1988 წელს მიიღეს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 8 „ზუბრი“ დარჩა ბალტიისა და შავი ზღვის ფლოტებში. შავი ზღვის ფლოტის გაყოფის შედეგად (როდესაც საქართველო არავის გაახსენდა) უკრაინას სამი „ზუბრი“ შეხვდა, ორიც ფეოდოსიის ქარხანაში ნახევრად აწყობილი დარჩა.

„ზუბრმა“ სახელი კიდევ ერთხელ გაითქვა, როდესაც 2000 წელს საბერძნეთის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ამ ტიპის სადესანტო ხომალდების შეძენა გადაწყვიტეს, რითაც ამერიკელების გულისწყრომა დაიმსახურეს (სხვათა შორის, ამერიკელებსაც და დიდ ბრიტანელებსაც ჰყავთ ჰაერისბალიშიანი სადესანტო ხომალდები, მაგრამ ისინი შესაძლებლობებით „ზუბრებს“ საკმაოდ ჩამორჩებიან, თუმცა მათი ექსპლუატაცია უფრო იაფი ჯდება, ვიდრე „ზუბრების“).

**მართალია ბერძნებმა ამერიკელთა გულისწყრომის ფასად მაინც შეიძინეს „ზუბრები“, მაგრამ უკმაყოფილოები არიან მათი ძვირი საექსპლუატაციო მომსახურებით**



1



ამერიკელებსაც და დიდ ბრიტანელებსაც ჰყავთ ჰაერისბალიშიანი სადესანტო ხომალდები, მაგრამ ისინი შესაძლებლობებით „ზუბრებს“ საკმაოდ ჩამორჩებიან, თუმცა მათი ექსპლუატაცია უფრო იაფი ჯდება, ვიდრე „ზუბრების“

დღეს ბერძნების საზღვაო ფლოტში ოთხი „ზუბრია“ (ბოლო „ზუბრი“ რუსეთისგან მათ 64 მლნ დოლარად შეიძინეს), რომლითაც ათენი იმ ასობით მცირე კუნძულის გაკონტროლებას ცდილობს ეგეოსის ზღვაში, რომლებზეც პრეტენზია ანკარასაც აქვს.

როგორც „არსენალმა“ საბერძნეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მაღალჩინოსან ოფიცრებთან არაოფიციალური საუბრებისას გაარკვია, ბერძენი სამხედრო მეზღვაურები დიდად აღფრთოვანებული არ არიან რუსული „ზუბრებით“. მათ უკმაყოფილებას იწვევს „ზუბრების“ რთული ექსპლუატაცია (ხომალდის ნაწილები და ხელსაწყოები ხშირად გამოდის მწყობრიდან) და დიდი ხარჯები. „ზუბრის“ ხუთი უზარმაზარი აირტურბინიანი ძრავები ძალზე ბევრ საწვავს მოიხმარენ და საწვავის მარაგი – 56 ტონა – საკმარისი არ არის.

ამასთან, იმის გამო, რომ „ზუბრის“ კორპუსი ძირითადად დურალუმინისგანაა დამზადებული (როგორც თვითმფრინავის), ეკიპაჟი მუდმივად გრძნობს ვიბრაციას, რაც ჯანმრთელობისთვის სასარგებლო არ არის.

მიუხედავად ნაკლოვანებებისა, „ზუბრი“ დღესაც რჩება ყველაზე უნიკალურ და დიდ სადესანტო ხომალდად, რომელსაც რთულად მისადგომ სანაპიროზეც კი 100 კმ\სთ სიჩქარით მთელი ბატალიონის გადასხმა შეუძლია.

*ირაკლი ალადაშვილი*



ამერიკული აირბალიშიანი გემი (LCAC) დიდი სამხედრო-სატრანსპორტო ხომალდის ტრიუმში შედის



ევროპაში მსგავსი გემები არა მარტო სამხედრო დანიშნულებით გამოიყენება. მათ აქტიურად იყენებენ საბორნე გადასასვლელებზე და სხვადასხვა საპატრულო მიზნებისთვის


ЗУБР (п 12322)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზარბაზნების მეფე

## კრუპის იარაღის სამყარო — „სამი რგოლის" საქმე




„ზაუერი — სამი რგოლი" — ეს სახელწოდება თითქმის საუკუნეა, რაც გულებს უთრთოლებს მონადირეების უმრავლესობას, მაგრამ „სამი რგოლი" მხოლოდ ზაუერს არ ეკუთვნის — ეს სიმბოლო ამშვენებს ზიმსონის, ვოლფის, კეტნერის, მეფერტის, გეიმის, ბიუჰაგის, ლეპაჟეს, პიპერის, პერდას და ასობით გერმანული და არაგერმანული წარმოების სანადირო თოფებს. მაინც რის სიმბოლოა მაგიური რგოლები? როდის და საიდან გაჩნდა იდუმალებით მოცული სამარკო ნიშანი?

ისტორიის მეტ-ნაკლებად მცოდნეთ უთუოდ სმენიათ „ქვემეხთა მეფედ" წოდებული გვარი კრუპი, რომელთა საგვარეულო დინასტია ოთხ თაობას ითვლის.

ამ გვარის პირველი წარმომადგენელი არნდტ კრუპი ისტორიულ ქრონიკებში 1587 წლიდან იხსენიება. იგი ჰოლანდიიდან ჩასულა გერმანიის პატარა ქალაქ ესენში. ეს მხარე მადნეულითა და ქვანახშირის საბადოებით იყო განთქმული, რაც მეტალურგიისა და საიარაღო მრეწველობის განვითარებას უწყობდა ხელს.

პირველი მეიარაღე ოსტატი კრუპების გვარიდან არნდტის ვაჟი — ანტონი გახდა. მე-17 საუკუნის დასაწყისისთვის ესენში ორ ათეულამდე საიარაღო სახელოსნო მუშაობდა. ანტონმა ხელში ჩაიგდო ერთ-ერთი მათგანი და დიდი ქონებაც დააგროვა საზარბაზნე ლულების დამზადება-გაყიდვით.

დინასტიის აყვავების ხანა ალფრედ კრუპის (1812-1887) დამსახურებაა. ბუნებამ ეს კაცი დიდი ორგანიზატორული, გამომგონებლური ნიჭითა და ფსიქიკური აშლილობით დააჯილდოვა. მეტალურგიული წარმოების ამ ფანატიკოსმა, როგორც ამბობენ, ფეხით შემოიარა მთელი ევროპა ხელშეკრულებებისა და შეკვეთების მოსაპოვებლად. 1843 წელს მის სახელოსნოში მსოფლიოში პირველად დამზადდა ქვემეხის ფოლადის ლულა. ეს მოვლენა სამხედრო ისტორიაში ახალი ერის დასაწყისად იქცა. 1871 წელს, საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს, კრუპის ზარბაზანმა საფრანგეთის არტილერიას ბდღვირი ადინა და საბოლოოდ დაამტკიცა ახალი იარაღის უპირატესობა ბრინჯაოს ზარბაზანთან.

ალფრედ კრუპის გამოდნობილი ტიგელური ფოლადი იმ დროის ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა. ამის გამო რუსეთის იმპერიის სამხედრო უწყებამ ესენში იმ დროისათვის ასტრონომიულ თანხად, მილიონ ტალერად (დაახლოებით 1,5 მილიონი რუბლი ოქროთი) ღირებული შეკვეთა გაგზავნა. სწორედ ამის შემდეგ უწოდა გერმანულმა პრესამ კრუპს „ქვემეხთა მეფე".

გარდა ამისა, სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების გარიჟრაჟზე კრუპი ერთ-ერთი პირველი შეუდგა სარკინიგზო ვაგონების ბორბლების ჩამოსხმას. ბორბლები ღერძთან ერთად შედუღების გარეშე, მონოლითურად უნდა ჩამოს-






ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმულიყო, ამასთან, სერიული წარმოება ტექნიკურ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ კრუპმა წარმატებით გაართვა თავი ამ ამოცანასაც და ისედაც დიდი კაპიტალი მრავალგზის გაზარდა. სწორედ ამ დროს, 1852-53 წლებში, გამოჩნდა მისი საწარმოების ემბლემა სამი ერთმანეთზე გადაჭდობილი რგოლი — ვაგონის სამი ბორბალი. 1875 წლიდან კი „სამი რგოლი“ კრუპის ქარხნების პროდუქციისა და საერთოდ, ფირმის პატენტირებული პროდუქციის ოფიციალურ ემბლემად გამოცხადდა.

ალფრედ კრუპი, გერმანიის ეს უმდიდრესი კაცი, 1887 წლის ივლისში სამი ფოლადის კარით ჩარაზულ, ცხენის ნეხვით აყროლებულ პატარა ოთახში გარდაიცვალა. მილიარდერი ქრონიკული უძილობითა და დევნის მანიით იტანჯებოდა. სიცოცხლის განმავლობაში დაახლოებით 50 ათასი ჩანაწერი გააკეთა, რომელთა უდიდესი ნაწილი მის უსაფრთხოებას შეეხებოდა. მაგალითად: „უნდა დავიქირავოთ მეორე მცველი, რომელიც კონტროლს გაუწევს პირველის მოქმედებას, შესაძლებელია მესამის დაქირავებაც, რათა მეორეს მოქმედებას დააკვირდეს“. კრუპის ესკიზების მიხედვით 75 წლის განმავლობაში შენდებოდა მიუდგომელი ვილა-ციხესიმაგრე „ჰიუგელი“ (ვილა „ბორცვზე“). ქვემეხთა მეფე უფრთხოდა ორპირ ქარს, ხანძრებსა და თავდასხმებს. სიყმაწვილიდანვე მაგიურ ძალას მიაწერდა სხვადასხვა სურნელს, რომელსაც ორ ნაწილად — კეთილად და ბოროტად — ყოფდა. კეთილთა რიცხვს იგი ცხენის ნეხვის სუნს მიაწერდა, რომლის მეოხებითაც „შემოქმედებითი აზრები იბადებოდა“. ციხესიმაგრე „ჰიუგელში“ გამომგონებელმა ეს პრობლემა გენიალურად უბრალოდ გადაჭრა — კაბინეტი საჯინიბოს ახლოს მოიწყო, საიდანაც სპეციალური სავენტილაციო არხებით ყოველ წუთს იფრქვეოდა „კეთილსურნელება“.

კიდევ უფრო განავრცო და გაამრავლა ალფრედ კრუპის მემკვიდრეობა მისმა შვილმა ფრიდრიხ ალფრედმა (1854–1902). მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს კრუპის გამოდნობილი ფოლადი და იარაღი მსოფლიოს 34 ქვეყანაში გადიოდა. მის რკინის საბადოებსა და ქარხნებში აუტანელ პირობებში 40 ათასი მუშა მუშაობდა, ყოველდღიურად 2,5 ათასი ტონა ქვანახშირი იხარჯებოდა და 1,8 ათას ტონა რკინას ადნობდნენ. ქალაქი ესენი მხოლოდ ერთი კაცის საკუთრებად იქცა. ფრიდრიხ კრუპს



ეკუთვნოდა ასობით მაღაზია, პურის საცხობები, წისქვილები, ფეხსაცმლის ფაბრიკები, ატელიეები და ა.შ.. სასულიერო პირების ტანსაცმელსა და საეკლესიო ინვენტარსაც ფრიდრიხ კრუპის საფირმო დამღა ჰქონდა.

რადგან ფრიდრიხ კრუპს ვაჟი არ დარჩენია, მისი გარდაცვალების შემდეგ ფირმა სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა, თითქმის ყველა აქციის მფლობელი კი ფრიდრიხ კრუპის ქალიშვილი ბერტა კრუპი გახდა. ამ გზით შეინარჩუნა კომპანიამ საოჯახო საწარმოს სტატუსი.

1909 წლის 1-ელი ივლისიდან ფირმის დასახელებას FRIED.KRUPP.ESSEN-ს A.G ასოები დაემატა (Aktien-Casellschaft — სააქციო საზოგადოება).

1906 წელს ბერტა დიპლომატ გუსტავ ფონ ბოლენ უნდ გალბახზე (1870-1950) დაქორწინდა. „იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე“, იმპერატორის საგანგებო ბრძანებით, ბერტამ კრუპის გვარი მიიღო. სწორედ მის დროს იქცა ქალაქი ესენი მძიმე მრეწველობის ცენტრად. კრუპის საწარმოების სწრაფი ზრდა მსხვილმა სამხედრო დაკვეთებმა განაპირობა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, მხოლოდ პირველ თვეებში, კრუპის ქარხნებში მომუშავეთა რაოდენობა 80-დან 150 ათასამდე გაიზარდა, ხოლო ომის პირველ წელიწადს ესენში 36 ახალი ქარხანა გაიხსნა.

ვერსალის საზავო ხელშეკრულების თანახმად, 1919 წლიდან კრუპის ქარხნები სხვადასხვა „სამშვიდობო“ საქმიანობაზე გადაერთვნენ, მაგრამ სამხედრო პროდუქციის წარმოება შენიღბულად მაინც



მიმდინარეობდა.

ფაშისტების ხელისუფლებაში მოსვლამ გუსტავ ფონ კრუპს საშუალება მისცა გერმანიის გადაიარაღების ტემპი დაეჩქარებინა. მისი „იმპერია სახელმწიფოში“ მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისთვის ტანკებისა და საომარი ხომალდების ჯავშანთა სამჭედლოდ იყო ქცეული.

1943 წლის დამლევს ფირმის ხელმძღვანელობა გუსტავის შვილმა, ალფრედმა ჩაიბარა (გარდაიცვალა 1967 წ.). ამ დროისათვის დიდმა კრიზისმა მოიცვა ესენის მძიმე მრეწველობა, კონცერნის ასზე მეტი საწარმო წამგებიანი აღმოჩნდა. გაკოტრების ზღვარზე მყოფი ფირმის მესვეურებმა გერმანიის მსხვილ ბანკებს სთხოვეს დახმარება, რომლებმაც კრედიტები გამოუყვეს კრუპის საწარმოებს, დახმარების სანაცვლოდ კი ფირმის ხელმძღვანელობაში შეიყვანეს სხვადასხვა საფინანსო და სამრეწველო ჯგუფის წარმომადგენლები. ამის შედეგად კრუპის ფირმა საბოლოოდ გადაკეთდა სააქციო საზოგადოებად — საოჯახო ფირმის ისტორია დასრულდა. მიუხედავად ამისა, სახელწოდება „FRIED KRUPP ESSEN“ შემოინახეს და დღესაც ამშვენებს ფირმის ფრონტონებს მსოფლიოს 140 ქვეყანაში.

კრუპის ფოლადის პროდუქციამ მეიარაღეთა შორის ფანტასტიკური პოპულარობა მოიპოვა. მე-20 საუკუნის შუა წლებში კრუპისეული სალულე ფოლადი ყველაზე პოპულარული იყო ევროპაში. იმ წლებში კრუპის ქარხნები კონტინენტის საიარაღო სახელოსნოების თითქმის ნახევარს ამარაგებდნენ ნედლეულით. გერმანელი მეთოფეები, ავსტრიელები, ჩეხები, ბელგიელები და ინგლისელებიც კი კრუპისეულ ფოლადს ანიჭებდნენ უპირატესობას.


ფრიდრიხ ალფრედ კრუპი


ალფრედ კრუპი

სათოფე ფოლადსა და უხეშად დამუშავებულ ლულებს 1870 წელს დაბა ანეში საგანგებოდ აშენებულ ქარხანაში აკეთებდნენ. გარდა ამ ნაწარმისა, ქარხანა საგანგებო დანიშნულების იარაღის ნაწილებსაც უშვებდა. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მასალა fluss stahl (გამოდნობილი ფოლადი) იყო. სალულე თოფის მასალას ტიგელური დნობის მეთოდით იღებდნენ და დიდხანს აწრთობდნენ. ლითონი იმდენად მტკიცდებოდა, რომ მისი თერმული დამუშავება საჭირო აღარ იყო. ქიმიური შემადგენლობით ეს იყო ნახევრად ნახშირბადული ფოლადი, რომელშიც შედიოდა 0,45% ნახშირბადი, 0,70% მარგანეცი, 0,25% კაჟი, 0,35% გოგირდი და ფოსფორი. ეს მასალა შედარებით დაბალი სიმტკიცით, მაგრამ კარგი პლასტიკურობით გამოირჩეოდა და საშუალო დონის სასაფანტე თოფების ლულებისთვის გამოიყენებოდა. რაც შეეხება ლულებზე დატანილ დამღებს, ამის შესახებ სავალდებულო კანონი არ არსებობდა და მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მეიარაღეები მათზე აწერდნენ: „FLUSSSTAHL KRUPP A.G. ESSEN“-ს „KRUPPSCHER FLUSSSTAHL“-ს და „PRIMA FLUSSSTAHL“. მექანიკური ფოლადის, რომელსაც მარტენის ღუმელებში გამოდნობილი ერქვა „LAVFSTAHL“ („სალულე ფოლადი“), ლულებზეც შესაბამის წარწერას ტვიფრავდნენ: „LAUF-STAHL-KRUPP A.G. ESSEN“.

1896 წელს ფირმამ უნივერსალური ფოლადის გამოგონება დააპატენტა. ეს მასალა როგორც გლუვლულიანი, ასევე ხრახნილლულიანი თოფებისთვის გამოიყენებოდა. ახალი ფოლადის „LAUF-GEWEHR-LAUF-STAHL“ (საგანგებო საიარაღო სალულე ფოლადი) ლულაზე ამ წარწერას ტვიფრავდნენ და მას თან „სამი რგოლის“ გამოსახულება ახლდა.

ფოლადი შედგებოდა 0,61% ნახშირბადისაგან, 0,65% მარგანეცისგან, 0,43 კაჟისგან და 0,04%-მდე გოგირდ-ფოსფორისაგან. ამ მასალისგან დამზადებულ ლულებს ძირითადად საშუალო დონის სანადირო იარაღებისთვის ხმარობდნენ. იყო შემთხვევები, როცა დამკვეთი ძვირფასი იარაღის ლულის კრუპის ფოლადისგან დამზადებას ითხოვდა.

მასალის დიდი სიმტკიცე ლულის კედლების დათხელების საშუალებას იძ-





ლეოდა, რითაც თოფის წონა მცირდებოდა. ცხადია, საგანგებო ფოლადისან გაკეთებული თოფები უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე გამოდნობილი ფოლადისგან დამზადებული.

მეოცე საუკუნის 20-იან წლებში გერმანიაში NIROSTA -ის (უჟანგავი ფოლადის) ქიმიური შემადგენლობა გამოქვეყნდა. ეს მასალა პირველად მსოფლიოში 1912 წელს კრუპის ლაბორატორიაში შეიქმნა. კოროზიისადმი მისმა მაღალმა წინააღმდეგობის უნარმა გენერლების ყურადღება მიიპყრო და ის სასწრაფოდ გაასაიდუმლოეს. კრუპის უჟანგავ ფოლადში ასევე შედიოდა 18% ქრომი და 8% ნიკელი. მას შემდეგ, რაც უჟანგავი ფოლადი გაასაიდუმლოეს, გუსტავ კრუპმა ცნობილ საიარაღო ფირმას „ზაუერი და შვილი", გამონაკლისის სახით, უფლება მისცა იარაღის წარმოებაში უჟანგავი ფოლადის ლულები გამოეყენებინა. მასალის სტრუქტურის გასაუმჯობესებლად და საჭირო სიმტკიცის მისაღებად სალულე მასალა გამოჭედვისა და გამოწრთობის პროცესს გადიოდა. მიუხედავად საუკეთესო მექანიკური თვისებებისა და კოროზიის საწინააღმდეგო მდგრადობისა, „ნიროსტას" რამდენიმე ნაკლი მაინც ჰქონდა: ძვირი ჯდებოდა, ლულები წრთობას ძნელად ემორჩილებოდა, ხშირი სროლით გახურებისას კი (სასტენდო სროლისას) სამიზნე თამასები ძვრებოდა. ამის გამო უჟანგავმა ფოლადმა სანადირო თოფებში დიდი გავრცელება ვერ პოვა.

ვერც ლევირებულმა (ნახევრად უჟანგავი) ფოლადმა პოვა ფართო გავრცელება. მას ლულებზე წარწერით — „ინერსო ლაუფსტაჰლ" აღნიშნავდნენ. ეს საუკეთესო მექანიკური თვისებების მქონე ფოლადი განკუთვნილი იყო საშუალო და მაღალი დონის სანადირო თოფებისთვის, მაგრამ რადგან მისი დამუშავება ძნელი იყო, მასზე უარი თქვეს. „INERSO LAUFSTAHL"-ის სრული ქიმიური შემადგენლობა დღემდე არ არის გახმაურებული, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ლითონი 1% ქრომს შეიცავდა.

რა თქმა უნდა, კრუპის სალულე მასალა მხოლოდ მის მიერ დაპატენტებული ფოლადით არ ამოიწურებოდა. გარდა გადამდნარი ფოლადისა, მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში გერმანული ხრახნილლულიანი თოფების ლულებზე გვხვდებოდა წარწერა „CUSS-STAHL-KRUPP-ESSEN" (კრუპის გამომდნარი ფოლადი) — ასე აღნიშნავდნენ ერთ-ერთ ნახშირბადიან ფოლადის მარკას. ამ ფოლადისაგან დამზადებული ხრახნიანი ლულის სიმტკიცე გაზის უდიდეს წნევას უძლებდა.

დღეს კრუპის კომპანია ხუთი სახის საგანგებო ფოლადს ადნობს. მათ სანადირო იარაღის ევროპელი მწარმოებლები იყენებენ. გარდა ფოლადისთვის ძირითადი და აუცილებელი შემადგენლობებისა, როგორებიცაა რკინა, ნახშირბადი, კაჟი და მარგანეცი, კრუპისეული ფოლადი შეიცავს მალეგირებელ დამატებებსაც — ქრომს, ნიკელს, ვანადიუმს, მოლიბდენს. მაგალითად, ქრომმოლიბდენვანადიუმიანი ფოლადის მარკა 32CrMoV12 — შეიცავს 0,30-0,35% ნახშირბადს 0,35% კაჟს, 0,60% მარგანეცს, 2.80-3.20% ქრომს 0,80-1,20% მოლიბდენს, 0,25-0,35% ვანადიუმს, დაახლოებით 0,25% ფოსფორს და 0,010% გოგირდს. ყველა თანამედროვე ფოლადს სიმტკიცისა და დრეკადობის მაღალი მაჩვენებელი აქვს, გამოირჩევა კოროზიისადმი მდგრადობითა და შესანიშნავად მუშავდება საჭრელი მოწყობილობებით. საგანგებო სალულე ფოლადი დამკვეთებს კრუპის ქარხნიდან ცხელი ჭედვის შედეგად მიღებული 20-40 მილიმეტრის დიამეტრის მქონე ღეროების სახით მიეწოდებოდა. ამ ფოლადისგან გაჩარხულ ლულებს საუკეთესო თვისებები აქვს. კრუპის ფოლადისგან დამზადებულ თოფის ლულებზე ამოტვიფრულია წარწერა „KROUPP-SPECIAL LAUFSTAHL" (კრუპის საგანგებო სალულე ფოლადი).

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საუკეთესო კონსტრუქციულ ფოლადს ევროპის ათეულობით ქვეყნის საწარმოებში ადნობენ, ევროპელი მეიარაღეების უმრავლესობა ძველებურად კრუპისეულ ფოლადს ანიჭებს უპირატესობას.


თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები – მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები,
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა,
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

# SBS

# მისი უდიდებულესობის სამეფო საზღვაო ქვეითები






**SBS - Special Boat Service — დიდი ბრიტანეთის სამეფო-საზღვაო ქვეითთა საგანგებო ოპერაციების ქვედანაყოფებია, რომლებიც პულში, დორსეტის საგრაფოში არიან დისლოცირებული. ქვედანაყოფებს მჭიდრო კავშირი აქვთ SAS-სთან (საგანგებო საავიაციო სამსახური), რადგან ორივე მეორე მსოფლიო ომის დროინდელი კომანდოსებისგან დაკომპლექტდა. სპეციალისტთა აზრით, საზღვაო სპეცსამსახურები არანაკლები საბრძოლო დიდებით არიან მოსილნი, ვიდრე მათი კოლეგები საავიაციო სამსახურიდან. დღეისთვის SBS-ი, ისევე როგორც SAS-ი, ბრიტანეთის საგანგებო ოპერაციების ქვედანაყოფების ძირითადი შემადგენელი ნაწილია. როგორც ამფიბიური ნაწილები მთელ მსოფლიოში მოქმედებენ, მაგრამ დროდადრო სხვადასხვა დავალებასაც ასრულებენ — მოიპოვებენ და აანალიზებენ დაზვერვის მონაცემებს, ასრულებენ წყალქვეშა იერიშებს და ატარებენ დივერსიულ ოპერაციებს სანაპირო ობიექტებზე. SBS-ის მებრძოლები აქტიურად მონაწილეობდნენ საომარ ოპერაციებში კუნძულ ბორნეოზე 1963-66 წლებში, ომანში 1970-71 წლებში. ამ საგანგებო სამსახურმა ფოლკლენდის 1982 წლის საომარი კონფლიქტის მოგვარებაშიც თვალსაჩინო წვლილი შეიტანა. SBS-ის მეომრები 1991 წელს ერაყში იბრძოდნენ ქუვეითის გასათავისუფლებლად, ასევე მონაწილეობდნენ ავღანეთის საომარ ოპერაციებში. მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ერაყში დღეს მიმდინარე ომშიც.**



SBS-ის წყალქვეშა მებრძოლი

## შექმნის ისტორია

SBS-ი თავისი არსებობის ისტორიას ბრიტანეთის სამეფო-საზღვაო ქვეითთა შენაერთებისგან გამოყოფის დღიდან ითვლის. შენაერთები სხვადასხვა სექციისაგან შედგებოდა. ერთ-ერთი მათგანი იყო საგანგებო სახომალდო დანაყოფი, რომელიც 1940 წელს შეიქმნა და SAS-ის პირველი პოლკის ნაწილი გახდა. მოგვიანებით, როცა მას „საგანგებო სახომალდო ესკადრონის" წოდება უბოძეს, დამოუკიდებლობა მიიღო. 1944 წელს ესკადრონს სახელი გადაარქვეს და „საგანგებო სახომალდო სამსახური" უწოდეს. პარალელურად არსებობდა „საგანგებო სახომალდო სექცია". მისი ფუნქცია სამხედრო გემების ლოცმანური მომსახურება იყო და სანაპირო ზოლების დაზვერვაზე იყო სპეციალიზებული. ამასთან, ისევე როგორც ამერიკულ წყალქვეშა ამფეთქებელთა რაზმებს (UDT), მას გადამლობი საპატრულო რაზმების რეიდებისას, აგრეთვე დესანტსაწინააღმდეგო წინაღობე-



დიდი ბრიტანეთის წყალქვეშა დივერსანტები

ბის დასაზვერად და გასანადგურებლად იყენებდნენ.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ სამეფო ფლოტის მეზღვაურები და სამეფო-საზღვაო ფლოტის ქვეითი ჯარისკაცები. იმ დროს, როცა ყველა სპეცდანაყოფს შლიდნენ და აუქმებდნენ, მებრძოლებს თავს უყრიდნენ ფერმიქტონში, სამხედრო ბაზაზე. სწორედ აქ შეიქმნა რჩეული მებრძოლებისგან საერთო-სანაპირო დაცვის ოპერაციების საგანგებო სკოლა და სახომალდო სექცია. 1947 წელს ეს ორი სამხედრო ნაწილი გაერთიანდა პორტსმუტის სამეფო-საზღვაო ქვეითთა ამფიბიური სკოლის სახელწოდებით და შეიქმნა მცირე რეიდების ფრთა (სმაილ რაიდს წინგ). ვეტერანები საბრძოლო გამოცდილებას ახალბედებს უზიარებდნენ. 1950 წელს მცირე რეიდების ფრთა საგანგებო სახომალდო ფრთად გადააკეთეს და ამით აღადგინეს SBS-ის საომარ-სასწავლო ქვედანაყოფების თავდაპირველი ვარიანტი. გარდა ამისა, შეიქმნა საგანგებო სახომალდო მეორე და მესამე სექციები, რომლებსაც გერმანიის ტერიტორიაზე SAS-სთან ერთად უნდა ემოქმედათ. მათი სამოქმედო მიზანი იყო ხიდებისა და სხვა სამდინარო ობიექტების განადგურება გერმანიის ტერიტორიაზე, რათა ხელი შეეშალათ საბჭოთა ჯარების წინსვლისათვის იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირეთა ძალებს უკან დახევა მოუწევდათ. SBS-ის მეოთხე და მეხუთე სექციები სამეფო-საზღვაო ფლოტის ფეხოსნებით დაკომპლექტდა.



საზღვაო დესანტი SBS-ის შესრულებით

როცა ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში კომანდოსების მე-3 ბრიგადა მალტაზე გადაიყვანეს, შეიქმნა მეექვსე ბრიგადაც. აქედან და მოგვიანებით ბაჰრეინიდან მათ რამდენიმე სადაზვერვო-დივერსიული ოპერაცია ჩაატარეს ახლო აღმოსავლეთის სანაპიროებთან.

რადგან სუეცის არხის რაიონი ყოველთვის განსაკუთრებული რისკის ზონად ითვლებოდა, 1956 წელს SBS-ის მე-6 სექციას ოპერაციების ჩატარება აუკრძალეს. 1958 წელს იმ დროისთვის საგანგებო სახომალდო ფრთაში არსებული ექვსი სექცია სპეციალურ სახომალდო ასეულად (Special boat company) გადაკეთდა და ამფიბიურ სკოლას გამოეყო. ამ დროისთვის შეიმუშავეს ქვედანაყოფების დევიზიც: ,,არა ძალით, არამედ ხერხით“ (,,ხერხი სჯობია ღონესა“...). დევიზი და ემბლემა პირველად საშობაო მისალოც ბარათზე 1946 წელს გამოჩნდა. ემბლემაზე გამოსახული იყო კანოეს გადაჯვარედინებული ნიჩბები, რომლის ცენტრშიც ბაყაყი ზის, ზემოთ გაშლილი პარაშუტია, რომლის ორივე მხარეს ფრინველის ფრთებია გამოსახული.



SBS-მა მოლხენაც კარგი იცის...



წყალქვეშა მეომრის სპეცაღჭურვილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია

1962 წელს ბრუნეიში დაწყებულმა აჯანყებამ დიდ ბრიტანეთსა და ინდონეზიას შორის დაპირისპირება გამოიწვია.

ადგილობრივმა აჯანყებულებმა ინდონეზიის რეგულარულ ქვედანაყოფებთან ერთად კუნძულ ბორნეოს მალაიზიური ნაწილის საზღვრის გადალახვა დაიწყეს.

ბრიტანეთის ჯარები, რომლებიც ადგილობრივ ძალებსა და ბრიტანულ ერთობას უჭერდნენ მხარს, აჯანყებულთა შესაჩერებლად ამ რეგიონში გადაისროლეს. SBS-ის მეორე სექცია უკვე ამ რაიონში იმყოფებოდა, იგი კომანდოსების მე-3 ბრიგადასთან ერთად 1961 წელს ჩავიდა ბრუნეიში. მეორე და პირველი სექციები ახლომახლო სანაპირო რაიონებში მოქმედებდნენ და საზღვარზე სადაზვერვო-სადივერსიო დავალებებს ასრულებდნენ.

საპატრულო სამსახურს მხარს უჭერდნენ საზღვაო სპეცდანიშნულების ფეხოსნების მებრძოლები. კონფრონტაცია 1966 წელს საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დამთავრდა.

## ადენი და ომანი

დაახლოებით ამავე დროს ბრიტანეთი არიერგარდულ ომს აწარმოებდა პარტიზანების წინააღმდეგ პროტექტორად ადენში (ახლა ეს ტერიტორია იემენის კუთვნილებაა). ბრძოლებში თავი გამოიჩინეს მოცურავეკანოისტებმა, რომლებიც სადაზვერვო-დივერსიულ ოპერაციებს წარმატებით ატარებდნენ სანაპირო ზოლებში. ბაჰრეინში განლაგებული SBS-ის მეორე ნაწილი სავარაუდო ბრძოლების ადგილების ჰიდროგრაფიულ კვლევას ეწეოდა.

1970-76 წლებში SAS-ი ომანში გადაისროლეს აჯანყებულების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც პრობრიტანული კურსის გამტარებელი სულათ სულთნის ტახტიდან ჩამოგდებას ცდილობდნენ.

ამ კამპანიის საწყის ეტაპზე SBS-ის ამოცანა იყო SAS-ის მებრძოლების მცირე ზომის ნავებით აჯანყებულთა მოქმედების ზონაში შეუმჩნევლად გადაყვანა. შემდგომში მათ ჩასაფრებული მოქმედებები და მიწისზედა პატრულირებებიც განახორციელეს.

## ახალი ამოცანები

1971 წლისთვის ბრიტანული სამხედრო ნაწილების მალაიზიიდან და სინგაპურიდან გამოყვანა დასრულდა და საგანგებო სახომალდო ასეულმა თავი ქალაქ პულში მოიყარა. საგანგებო სახომალდო ძალები პირველად აქ იქნა გამოყენებული ტერორიზმის წინააღმდეგ. 1972 წლის მაისში ოთხკაციანი ჯგუფი პარაშუტით დაეშვა სამხედრო გემ QE2-ის მახლობლად. სავარაუდოდ, გემზე ნაღმი იყო. ოპერაციამ შესანიშნავად ჩაიარა, მიუხედავად იმისა, რომ გემზე საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს, რადგან ინფორმაცია არ იყო სწორი. ამის შემდეგ ასეულმა თავისი მებრძოლები ჩრდილოეთ ირლანდიაში გადაისროლა, სადაც მათ დაევალათ ტბებისა და საზღვაო სანაპიროების პატრულირება, რათა არ დაეშვათ ქვეყანაში იარაღის უკანონო შეტანა. სპეცრაზმელები უშიშროების დაზვერვის მე-14 ასეულის მოხალისეებთან ერთად მუშაობდნენ. 1975 წლის დასაწყისში SBS-ი ჩრდილოეთის ზღვაში განლაგებულ ნავთობის პლატფორმებს იცავდა. ამავე წელს საგანგებო სახომალდო სამსახურს საგანგებო სახომალდო ესკადრონი ეწოდა. ანტიტერორისტული ჯგუფების გასაძლიერებლად 1980 წელს შოტლანდიაში გადაისროლეს სამეფო-საზღვაო ფლოტის ქვეითთა ასეული. მასში საგანგებო სახომალდო სექციაც შედიოდა, რომელსაც მეხუთე ნომერი მიენიჭა. რეზერვისტები კი, 50 მებრძოლი, SBS-ის მე-4 ასეულში შედიოდნენ.

ამავდროულად ესკადრონი აგრძელებდა სპეციალისტების სწავლება-მომზადებას. ჯერ ავსტრალიელებს დაეხმარნენ კომანდოსების ასეულის შექმნაში, ხოლო მალაიზიელებს საგანგებო სამსახურის პოლკის ფორმირება-გაწვრთნაში. შემდეგ, 1979 წლამდე, ბრიტანელი სპეციალისტები ირანელ მოცურავე მებრძოლებს ამზადებდნენ.

## ფოლკლენდის კუნძულები

1982 წელს არგენტინამ ფოლკლენდის კუნძულები თავის საკუთრებად გამოაცხადა. საგანგებო სახომალდო ესკადრონის მე-2, მე-3 და მე-6 სექციები სასწრაფოდ გაგზავნა ატლანტის ოკეანის სამხრეთში, მაიორ ჯონათან ტომსონის ხელმძღვანელობით. მე-2 სექცია მცირე ტაქტიკურ ჯგუფებს ჩაუდგა სათავეში, რომლებიც სამხრეთ ჯორჯიის მცირე კუნძულების გასათავისუფლებლად გამოიყო. ამოცანის წარმატებით შესრულების შემდეგ იგი SBS-ის ძირითად ნაწილებს შეუერთდა, ეს უკანასკნელი კი ძირითადი ძალების გადმოსხმამდე სამი კვირის განმავლობაში აწარმოებდა ფოლკლენდის კუნძულების აღმოსავლეთ და დასავლეთის ნაწილების დაზვერვას და ნიადაგს ამზადებდა დესანტის გადმოსასხდომად.

21 მაისს, როცა სან კარლოს ბეიში კომანდოსებისა და საპარაშუტო დესანტის გადასხმის დრო დადგა, SBS-ის მებრძოლები მათ წინ მიუძღოდნენ და გზას უჩვენებდნენ. SBS-ის ერთმა ჯგუფმა, რომელიც SAS-ის ნაღმმტყორცნელებთან ერთად მოქმედებდა, ხოლო ორივე მათგანს სახომალდო არტილერია უმაგრებდა ზურგს, არგენტინელების ავიაპოსტი დაიკავა და 25 არგენტინელი ტყვედ აიყვანა.

SBS-ი მტრის ზურგშიც პატრულირებდა. დასახულ წერტილებში მისასვლელად სპეცრაზმელები ვერტმფრენებს, წყალქვეშა ნავებს, ზოგჯერ კი ჩვეულებრივ ნავებს იყენებდნენ, რომლებსაც პირდაპირ ტაქტიკური დანიშნულების ხომალდებიდან უშვებდნენ წყალში.

ერთ-ერთი ასეთი ოპერაციის დროს SBS-ის ერთი ჯგუფი, რომელმაც უყურადღებობა გამოიჩინა, იმ მონაკვეთში მოხვდა, რომელსაც SAS-ის მებრძოლები აკონტროლებდნენ. ბრიტანელთა შორის შეტაკების დროს დაიღუპა სერჟანტი ჰანტი. ეს იყო SBS-ის ერთადერთი ჯარისკაცი, რომელიც სამხრეთ ატლანტიკაში ჩატარებულ საომარ ოპერაციებს შეეწირა.

ცეცხლის შეწყვეტის წინა ღამეს SBS-ის ექვსი მეომარი SAS-ის ესკადრონთან ერთად ფოლკლენდის ომის უკანასკნელ



ციდან პირდაპირ წყალქვეშ... ეს ხშირი ვარჯიშით მიიღწევა

ოპერაციაში მონაწილეობდა. ეს იყო დივერსიული რეიდი პორტ სტენლის მახლობლად, ოპერაციაში ხომალდ „Rigib Raiders"-იდან გადასხმული საზღვაო დესანტიც მონაწილეობდა. მას შემდეგ, რაც ყველა სადესანტო ხომალდი მოწინააღმდეგის ცეცხლში მოხვდა და ძალზე დაზიანდა, დივერსიული რეიდის მონაწილეებმა ოპერაციის შეწყვეტის ბრძანება მიიღეს. ფოლკლენდზე ომის შემდეგ SBS-ი კვლავ ტერორიზმთან ბრძოლის ამოცანებს დაუბრუნდა.

1987 წელს ჩამოყალიბდა საგანგებო დანიშნულების ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა SAS-ის დირექტორი, რომელსაც ბრიგადის გენერლის წოდება ჰქონდა, მოგვიანებით იგი საერთო-საგანგებო ძალების რაზმების დირექტორად დაინიშნა. მას ემორჩილებოდა SBS-ის მეთაური, სამეფო-საზღვაო ქვეითთა პოლკოვნიკი. მას მერე SBS-ი საგანგებო სახომალდო სამსახურად იქცა, მისმა ქვედანაყოფებმა კი ესკადრონების სახელწოდება მიიღეს.

საზღვაო ანტიტერორისტული ძალები გაერთიანდნენ ესკადრონ „M"-ში, რომელიც ქალაქ პულშია დისლოცირებული. ესკადრონი მთლიანად მოცურავე კანოისტებითაა დაკომპლექტებული.

## ერაყიდან ერაყამდე

1990-91 წლებში SBS-ის ერთი ესკადრონი სპარსეთის ყურეში გადაისროლეს, სადაც მონაწილეობდა ოპერაციებში „უდაბნოს ფარი" და „ქარიშხალი უდაბნოში". ესკადრონი იმ საგანგებო დანიშნულების ნაწილთა დაჯგუფებაში მოხვდა, რომელსაც ბრიგადის გენერალი ენდრიუ მასაი მეთაურობდა.

ცნობილია მხოლოდ ერთი ოპერაციის შესახებ, რომელიც SBS-მა ერაყში ფრონტის ხაზის მიღმა ჩაატარა. 1991 წლის 23 იანვრის ღამეს ოცი მოცურავე კანოისტი, ამერიკის სპეცრაზმის სამი მეომარი და ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების მემიზნე (რომელიც დასაბომბი ობიექტების კოორდინატებს გადასცემს ავიაციასა და არტილერიას) ვერტმფრენებით გადასხეს ბაღდადიდან 65 კილომეტრის მოშორებით. გაერთიანებულ ჯგუფს, რომელსაც SBS-ის ლეიტენანტი ხელმძღვანელობდა, უნდა აღმოეჩინა და გაენადგურებინა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი, რომელიც რაკეტა „სკადების" მართვის სისტემის ნაწილს წარმოადგენდა. ჯგუფმა დასახული ამოცანა წარმატებით შეასრულა და უდანაკარგოდ დაბრუნდა ბაზაზე.

სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომში მონაწილეობის შემდეგ როგორც SBS-ის ხელმძღვანელობამ განაცხადა, მათ სამსახურს ნარკოტრაფიკის აღმოფხვრის მიზნით ახლა უმთავრესად საბაჟო ქვედანაყოფების დასახმარებლად იყენებენ.

მიუხედავად ამისა, რამდენიმე ჯგუფი პატრულის შემადგენლობაში ბოსნიაში გაიგზავნა. მოგვიანებით კი ესკადრონი მთლიანად გადაისროლეს ამ რეგიონში და NATO-ს ჯარების სარდლობას დაუქვემდებარეს, რომელიც ამ მხარეს აკონტროლებს.

კოსოვოსა და სერბიის დაბომბვების დროს SBS მცირე ჯგუფი საზღვაო ქვეითთა კომანდოსების 42-ე რაზმს დაექვემდებარა, რომლის ბაზაც ადრიატიკის ზღვაში, შვეულმფრენმზიდ „ოკეანეზე" იყო.

სპეცრაზმელების ერთ-ერთი უკანასკნელი ოპერაცია 1999 წელს აღმოსავლეთ ტიმორში ჩატარდა. SBS-ის 30 მებრძოლი აეროპორტ დილიში გადასხეს ავსტრალიელ და ახალზელანდიელ სპეცრაზმელებთან ერთად.

2002 წელს SBS-ის ქვედანაყოფები სამეფო-საზღვაო ქვეითთა კონტინგენტის შემადგენლობაში ავღანეთში გაიგზავნა. შემდეგ კი, როცა ბრიტანეთმა და შეერთებულმა შტატებმა ერაყის წინააღმდეგ საომარი ოპერაციები წამოიწყეს, ისინი ბასრის რაიონში პირველები აღმოჩნდნენ, ვინც ბრძოლის დროს დაზვერვას აწარმოებდა.

## ორგანიზაცია და ურთიერთმოქმედება

1987 წლის რეორგანიზაციამდე საგანგებო სახომალდო ესკადრონის მებრძოლების რაოდენობა 150 კაცს შეადგენდა, მათგან 50 რეზერვისტი იყო. მას შემდეგ SBS-ის შემადგენლობა გაიზარდა და ახლა იგი 250 მეომარს შეადგენს. SBS-ში გაერთიანებულია 4 ესკადრონი.

ესკადრონი „C" დაოსტატებულია სამხედრო ოპერაციების მოცურავეთა და ნიჩბიანი ნავების მეშვეობით ჩატარებაში.

ესკადრონი „S" — ოპერაციებში იყენებს მცირეტონაჟიან გემებს, უმცირეს წყ-





**L-85 ტიპის ავტომატური შაშხანა ბრიტანეთის არმიის მთავარი ცეცხლსასროლი იარაღია. ის რამდენიმე ხნის წინათ „არსენალმაც“ გამოსცადა**



ალქვეშა ნავებს, წყალქვეშა მოძრაობის სხვა საშუალებებს და შორი რადიუსის მოქმედების კატარღებს.

ესკადრონი „M“ ასრულებს ანტიტერორისტულ მოქმედებს. იგი შედგება ე. წ. „შავი“, „ოქროსფერი“ და „მეწამული“ ქვედანაყოფებისაგან.

ოპერატიული ქვედანაყოფები შედგება 16 მოცურავე-კანოისტისაგან, რომელთა მოთავსებაც 8 ორადგილიან კანოეში შეიძლება, ოთხ-ოთხი კაცისგან შემდგარი პატრული ან ორი ნავის ეკიპაჟი, რომელთაგან თითოში რვა კაცი შედის.

SBS-ოპერაციების დროს გასაბერ და სპეციალურ მყარკარკასიან გასაბერ ნავებს იყენებს. შორეული სადესანტო ოპერაციებისათვის და მათ მხარდასაჭერად SBS-ი იყენებს საზღვაო დესანტის გემ „The Rigid Raiders“-ს. გარდა ამისა, SBS-ის სამსახურშია წყალქვეშა ნავი „ჰერკულესი“ და ვერტმფრენები CH-47 „ჩინუკი“, საჰაერო მხარდაჭერას ახორციელებენ სამეფო-საზღვაო ქვეითთა კომანდოსების ესკადრონები.

## მომზადება

სამეფო-საზღვაო ფლოტის ქვეითთა კომანდოსების ქვედანაყოფების რეკრუტობა მხოლოდ იმ მოხალისეებს შეუძლიათ, ვისაც სამხედრო ძალებში სამი წლის ნამსახურობის სტაჟი აქვს. კანდიდატმა აუცილებლად უნდა გაიაროს ორკვირიანი შემოწმება, რომლის დროსაც მისვარგისიანობას დაადგენენ. შემოწმებაგავლილ კანდიდატებს წინ ელით 30-კვირიანი დაწყებითი შეზღუდული კურსი კომანდოსების მომზადების ცენტრში ან თხუთმეტთვიანი საოფიცრო კურსები. მოგვიანებით კანდიდატს შეუძლია აირჩიოს რომელიმე სამხედრო სპეციალობა, მაგალითად, მეკავშირის, სნაიპერის, გამნაღმველისა ან სხვა რომელიმე.

შესარჩევი გამოცდები ორი ეტაპისაგან შედგება.

პირველი — ეგრეთ წოდებული სანაოსნო კვირაა, რომლის განმავლობაშიც კანდიდატებმა ფიზიკური მომზადების ტესტი უნდა ჩააბარონ, აუცილებელია ცურვის ტესტის გავლაც. ამავე ეტაპზე საზღვაო კომანდოსობის კანდიდატმა 600 მეტრი ცურვით 15 წუთში უნდა დაფაროს, 50 მეტრი იარაღითა და აღჭურვილობით, 25 მეტრი კი ყვინთვით. გარდა ამისა, მათ კანოეთი მოგზაურობაც მოუწევს. მასში შედის ხუთკილომეტრიანი მარში, ხმელეთზე, მთლიანი აღჭურვილობითა და კანოეთი. ბოლოს კი 30 კილომეტრიანი მარში წყალზე კანოეს ნიჩბების მეშვეობით.

მეორე ეტაპს მსუბუქი მყვინთავების კვირას უწოდებენ. ამ დროს მოწმდება კანდიდატების შესაძლებლობა, გამოდგებიან თუ არა ისინი მსუბუქ მყვინთავებად, ანუ აკვალანგისტებად. ისინი, ვინც წარმატებით გაივლიან წინასწარ შესარჩევ გამოცდებს, შესარჩევი კურსის გავლას იწყებენ, რომელიც ერთი და იგივეა როგორც SBS-ის, ისე SAS-ისათვის.

პირველი პერიოდი სამი კვირა გრძელდება. მასში შედის სახმელეთო მარში იარაღითა და აღჭურვილობით, მასთან ერთად ხდება ტოპოგრაფიისა და ადგილმდებარეობაში ორიენტირების ელემენტების შესწავლა.

შემდეგ იწყება ორკვირიანი მზადება ჯუნგლებში სამოქმედოდ, რომელიც ოთხკაციანი პატრულის ერთობლივი მოქმედების სწავლებას ითვალისწინებს.

ჯუნგლებში მოქმედების კურსი, რომელიც ბრუნეიში მიმდინარეობს, ექვსი კვირა გრძელდება. შემდეგ იწყება სხვადასხვა სპეციალური კურსის გავლა. ოფიცერთა, ანუ მეკავშირეთა კვირა, აგრეთვე მძიმე იარაღის შემსწავლელი კურსი, რომელიც ორ კვირას გრძელდება, უდაბურ ადგილზე თავის გადარჩენის ინსტრუქტორის საარმიო კურსი. ახალბედა ჯარისკაცი სწავლობს, როგორ დააღწიოს თავი დატყვევებას, წინააღმდეგობის გაწევას ტყვეობისას და ტყვეობიდან თავის დაღწევის ხერხებს. შედარებით რთულ ეტაპს წარმოადგენს უხეში დაკითხვისას წინააღმდეგობის გაწევის შესწავლა. ეს გახლავთ უკანასკნელი ფაზა, რომლის შემდეგაც კანდიდატთა დიდი ნაწილი განითესება ხოლმე.

გამოცდაგავლილი კანდიდატების სწავ-

**ორი ასეთი სწრაფმავალი მცირე კატარღა ბრიტანელმა სამხედროებმა თავის დროზე ქართული სანაპირო დაცვის სამსახურსაც აჩუქეს**





ლება ძირითადად ჰერეფორდში მიმდინარეობს, სადაც ორი კვირის განმავლობაში კურსანტებს აცნობენ ასაფეთქებელ ნივთიერებებს და ფეთქებად საშუალებებს: ნაღმებს, ყუმბარებსა და მათი მოხმარების წესებს. ერთი კვირა ეთმობა სათვალთვალო პოსტზე მოქმედების შესწავლას. ამავე დროს ჯარისკაცები გადიან საგანგებო დანიშნულების სამედიცინო სპეციალისტის კურსს, ცოდნას იღრმავებენ კავშირგაბმულობისა და ამფეთქებლის საქმეში. მსუბუქ მყვინთავთა კურსი მოიცავს წყალქვეშა ნავიგაციას, წყალქვეშა დანაღმვა-განნაღმვას და წყალქვეშა ასაფეთქებელ სამუშაოებს. კურსანტები ასევე სწავლობენ წყლისზედა ნავიგაციას, კანოეთი 55-კილომეტრიანი რადიუსში მოძრაობის კოორდინაციას, წყალქვეშა ნავიდან მტრის ზურგში გადასხდომის რთულ ხელოვნებას.

ამ ეტაპის წარმატებით დამძლევ მეომარს ენიჭება „მე-3 კლასის მოცურავე-კანოისტის" წოდება, მის მწვანე ან ცისფერი ფორმის მარცხენა მანჟეტზე კი მიაკერებენ ასოებს „SC" (Swimmer canoeist – „მოცურავე-კანოეისტი"). ეს ასოები და აგრეთვე ფრთებიანი პარაშუტი მათი ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანია. SBS-ის მებრძოლებს, ისევე როგორც ყველა ბრიტანელ საზღვაო ქვეითს, თავზე სამეფო-საზღვაო ფეხოსნის ემბლემიანი ბერეტი ახურავს.

საზღვაო ქვეითთა ოფიცრებს ფორმაზე საკვალიფიკაციო ნიშნები არ აკერიათ.

კაპრალის ნიშნის მისაღებად SBS-ის მებრძოლმა გამოცდების შედეგად უნდა მიიღოს მე-2 კლასის „მოცურავე-კანოისტის" წოდება. სერჟანტის წოდებისათვის კი პირველი კლასია საჭირო.

სერჟანტობის კანდიდატები კომანდოსების მომზადების ცენტრში, ლიმპსტონში გადიან მთავარ სამეთაურო კურსებს.

ატესტირებული მებრძოლები ოპერატიულ ჯგუფებში ირიცხებიან, მაგრამ ვარჯიშებს სამსახურის დასრულებამდე აგრძელებენ.

უკვე მომზადებული მეომრები გადიან სამხედრო-სამედიცინო დახმარების კურსს, სწავლობენ უცხო ენებს, გადაადგილების საშუალებების მართვას და ა. შ.

სასწავლო-საბრძოლო მანევრების დროს ხშირად ტარდება ერთობლივი საწვრთნელი შეკრებები. SBS-ის მეომრებს ახლო ურთიერთობები აქვთ შეერთებული შტატების SEALS-სა და დანიურ SBS-სთან.

## ტექნიკა და შეიარაღება

ფოლკლენდის კონფლიქტში SBS-ის თითოეული მეომარი შეიარაღებული იყო M-16 A2 ავტომატური საიერიშო შაშხანით, რომელსაც ლულისქვეშა ნაღმსატყორცნი აქვს. თითოს მარაგად 200 შაშხანის ვაზნა და ნაღმსატყორცნის 15 გაძლიერებული ნაღმი ჰქონდა. გარდა ამისა, სპეცრაზმელი აღჭურვილი იყვნენ საკვამლე და ფოსფორული ყუმბარებით, 9-მილიმეტრიანი „ბრაუნინგის" სისტემის პისტოლეტითა და სანადირო დანით. გარდა ამისა, SBS-ი, სიტუაციიდან გამომდინარე, იყენებს უხმო პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ „სტერლინგ 3441"-ს. დიდი ოპერაციების ჩატარებისას, როცა ძლიერი ცეცხლია საჭირო, ნაღმსატყორცნებსა და ტყვიამფრქვევებს. მაგალითად, სანკარლოსში, არგენტინული ავიაპოსტის ხელში ჩაგდებისას, SBS-ის 23 მებრძოლიდან 9 შეიარაღებული იყო ბრიტანული ვერსიის 7,62-მილიმეტრიანი FN MAG ტყვიამფრქვევით.

საიერიშო ავტომატური შაშხანა M-16A2 ლულისქვეშა ნაღმსატყორცნით დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს ბრიტანეთის სპეცდანიშნულების ძალებში. უხმო „სტერლინგის" ნაცვლად, ბოლო დროს MP-5-ის სხვადასხვა ვერსიის იარაღს ხმარობენ. ჩრდილოეთ ირლანდიაში ჩატარებული საიდუმლო ოპერაციების შემდეგ კი აღიარება პოვა – HK-53 „ჰეკლერ და კოხმა".

SBS-ისა და SAS-ის არსენალში შეუცვლელ და ძირითად იარაღად კვლავ გაძლიერებული HP35 „ბრაუნინგი" ითვლება.

სამეფო-საზღვაო ქვეითთა შენაერთებს ძველი სნაიპერული ტრადიციები აქვთ. SBS-ის სნაიპერები დღეისთვის შეიარაღებულნი არიან მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო შაშხანით – L96A1-ით.

საცეცხლე მხარდაჭერის იარაღად ითვლება ერთიანი ტყვიამფრქვევი „Jimpy", 66-მილიმეტრიანი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი და 51-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნი, რომელსაც სროლა საგანგებოდ მოდიფიცირებული კანოედანაც შეუძლია.

SBS-ი იყენებს პორტატიულ ორადგილიან კანოეს მსგავს საცურაო მოწყობილობებს. ყველაზე უკანასკნელი მოდელი, რომელიც შეიარაღებაში მიიღეს, არის „კლიპერ ანდრესი" MK13. გარდა ამისა, მათ აღჭურვილობაშია გასაბერი ნავები, გასაბერი კარკასიანი ნავები „Avon Searider". თითოეულ ნავს თან ახლავს შესაბამისი ძრავა, რომელსაც ოპერაციის დროს იმ შემთხვევაში იყენებენ, როცა მოწინააღმდეგე მათ მოქმედებას აღმოაჩენს ან სასწრაფო უკან დახევაა აუცილებელი. გასული საუკუნის სამოციან წლებში SBS-მა მყვინთავების ორადგილიანი წყალქვეშა გადამყვანის გამოცდა დაიწყო. მათ პროტოტიპებს დღესაც ფართოდ იყენებს SBS-ი.

„Draeger" LAR-V – ჩაკეტილი სუნთქვის ციკლის სისტემის აპარატია – ეს აპარატიც ფართოდ გამოიყენება საბრძოლო ოპერაციებისას.

ქვედანაყოფებისათვის, რომლებიც ძირითადი ძალებიდან დიდი მანძილის დაშორებით მოქმედებენ, კავშირგაბმულობის საშუალებების საიმედოობა აუცილებელი პირობაა. ასეთ შემთხვევაში SBS-ს მეომრები ხელმძღვანელობასთან კავშირს რადიოსადგურებ PRC-319-ის საშუალებით და PRC-320-ის ამყარებენ.

# ფრანგული ესკადრის ოპერაციები საქართველოს სანაპიროსთან




**გუდაუთის სანაპირო, 1921 წელი**

*ბოლშევიკური რუსეთი 1920 წლის ბოლოს საქართველოს დაპყრობისათვის მზადებას შეუდგა. მოსკოვი აგრესიას წითელი არმიისა და ფლოტის გამოყენებითა და ქართველი კომუნისტების აქტიური მხარდაჭერით გეგმავდა. თუ ქართული არმია სახმელეთო საზღვრებს მეტ-ნაკლებად მაინც იცავდა, ზღვისა და სანაპირო ზოლის დასაცავად საჭირო ძალები და რესურსები ქვეყანას არ გააჩნდა – საქართველოს მცირერიცხოვან და სუსტ სამხედრო ფლოტილიას ბოლშევიკების შავი ზღვის ფლოტთან ბრძოლა კი არა, ნაოსნობისა და პორტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საკმარისი ძალაც კი არ ჰქონდა.*

ამ ვითარებაში საფრანგეთის ხელისუფლებამ საქართველოს მხარდასაჭერად უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სამხედრო ნაბიჯები გადადგა.

დეკემბრის დასაწყისში თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთის ახალი კომისარი საქართველოში აბელ შევალიე. 16 დეკემბერს მან საქართველოს სატელეგრაფო სააგენტოს თანამშრომელთან საუბრისას განაცხადა, რომ ჩამოვიდა საფრანგეთის ინტერესების დასაცავად, რომელიც საქართველოს ინტერესებს აბსოლუტურად ემთხვევა. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო გარე და შიდამტრების თავდასხმის ობიექტი გახდებოდა, მაშინ საქართველოს სხვა ქვეყნები დაიცავდნენ. ამით საფრანგეთის კომისარმა თავისი მისიის არსი განმარტა. ფრანგი დიპლომატის სიტყვების უკან შავ ზღვაში მყოფი ფრანგული სამხედრო-საზღვაო ესკადრა იდგა.

ფრანგული ხომალდები შავ ზღვაში გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ 1918 წლის ნოემბრის მეორე ნახევარში შემოვიდნენ და ოდნავ მოგვიანებით ესკადრაში გაერთიანდნენ. ესკადრის შემადგენლობა მუდმივი არ იყო და ხომალდები ერთმანეთს პერიოდულად ენაცვლებოდნენ. სხვადასხვა დროს შავ ზღვაში დაცურავდნენ სახაზო ხომალდები: „ჟიუსტი“, „დემოკრატია“, „ვერნო“, „მირაბო“, „ჟან ბარი“, „პროვანსი“, „ლორანი“ და „ფრანსი“; ჯავშნოსანი კრეისერები: „ვალდეკ რუსო“, „ედგარ კინე“, „ჟიულ მიშლე“ და „დესე“; საესკადრო ნაღმოსნები, მტრალავები, ავიზოები, სატრანსპორტო გემები.

1918-20 წლებში ფრანგული ესკადრა შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ნოვოროსიისკის, ოდესისა და სევასტოპოლის რაიონებში ბოლშევიკების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში თეთრგვარდიელებს დიდ დახმარებას უწევდა.

ფრანგული სამხედრო ხომალდები სხვადასხვა მისიით, ძირითადად კი სტაციონარის მოვალეობის შესასრულებლად, ქართულ პორტებში მუდმივად იმყოფებოდნენ. გამოცდილ ფრანგ სამხედრო მეზღვაურებს საქართველოსათვის დროული და ეფექტიანი დახმარება ყოველთვის შეეძლოთ, რის აუცილებლობაც განსაკუთრებით 1920 წლის მაისის შემდეგ წარმოიშვა.

ბათუმსა და ფოთში მყოფმა რუსული გემების ეკიპაჟებმა საბჭოთა რუსეთის პორტებში თავისუფალი მიმოსვლა მოითხოვეს. ეკიპაჟები ურჩობდნენ, პორტების ადმინისტრაციას არ ემორჩილებოდნენ და ზღვაში თვითნებურად გადიოდნენ.

1920 წლის 20 აგვისტოს ბათუმში ნოვოროსიისკიდან დე-მარტინოს მფლობელობაში მყოფი ძრავიანი შხუნა „ზეინაბი“ შემოვიდა. 1-ელ ნოემბერს „ზეინაბი“ რეიდიდან მოიხსნა და ზღვაში გასვლა დააპირა, მაგრამ შორს წასვლა ვერ მოასწრო. ფრანგულმა საესკადრო ნაღმოსანმა „საქალავემ“ (მეთაური III რანგის კაპიტანი ბროსიე) ბათუმიდან 5 მილში რუსული შხუნა შენიშნა. სამხედრო ხომალდის ბრძანებებს „ზეინაბი“ არ დაემორჩილა, რასაც მისი მიმართულებით ცეცხლის გახსნა და ჩაძირვა მოჰყვა. შემდგომში ცნობილი გახდა, რომ შხუნას ანატოლიაში ქემალისტებისთვის იარაღი გადაჰქონდა და ამიტომ მეკობრულ გემად აღიარეს.

1921 წლის 13 იანვარს ბათუმის პორ-




**ბათუმის პორტი, 1921 წელი**

ტის რეიდზე ჯავშნოსანი კრეისერი „ვალდეკ რუსო“ დადგა. ამასთან დაკავშირებით, გაზეთმა „საქართველომ“ აღმოსავლეთში საზღვაო დივიზიონის მეთაურის, კონტრადმირალ დიუმენილის განცხადება დაბეჭდა, სადაც მან აღნიშნა, რომ მისი მიზანი კავკასიაში პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლა, საფრანგეთის მოქალაქეთა და საქართველოს პორტებში მყოფ კერძო მფლობელთა გემების დაცვა (ამის მიზეზი რუსეთის მოთხოვნა — ქართულ პორტებში მყოფი გემების დაბრუნება გახდა) იყო. „საფრანგეთი არ ცნობს საბჭოთა რუსეთს და შავ ზღვაზე გასვლის ნებას არ მივცემთ. ბოლშევიკები ჩვენ მეკობრეებად და კონტრაბანდისტებად მიგვაჩნია. თუ საქართველომ საფრანგეთს დახმარება სთხოვა, ადმირალი დაუყოვნებლივ მიეშველება საქართველოს“, – ამ სიტყვებით დაასრულა განცხადება ფრანგმა ადმირალმა.

დიუმენილი მეორე დღეს თბილისში ჩამოვიდა და საფრანგეთის სამხედრო მისიაში მისიის უფროსს, პოლკოვნიკ კორბელსა და სხვა ფრანგ ოფიცრებს შეხვდა.

მალე საფრანგეთს დაპირებების საქმით დამტკიცება მოუხდა. 1921 წლის 16 თებერვალს წითელმა არმიამ საქართველოს წინააღმდეგ სხვადასხვა მიმართულებით ფართომასშტაბიანი აგრესია დაიწყო. საქართველო-რუსეთის საზღვარი მდინარე ფსოუზე 19 თებერვალს წითლების 31-ე მსროლელმა დივიზიამ გადმოლახა, რომელსაც გაბოლშევიკებულ აფხაზთა შეიარაღებული რაზმები ეხმარებოდნენ. ბოლშევიკები სანაპიროს გასწვრივ განვითარებული შეტევით სოხუმისა და ბათუმის აღებას გეგმავდნენ.

საქართველოსთან შედარებით, მოწინააღმდეგეს ზღვაზე აშკარა უპირატესობა ჰქონდა — წითლებს შავ ზღვაში 40-მდე საკანონერო ნავი, მცურავი ბატარეა, შეიარაღებული გემი და კატარღა ჰყავდათ. რუსებს თურქებმაც კი გამოუგზავნეს ხომალდები. 1920 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ნოვოროსიისკში შევიდა თურქული

ფრანგული საესკადრო ნაღმოსანი „საქალავე“



საკანონერო ნავები „აიდინ-რეისი“ და „პრევეზა“. საჭიროების შემთხვევაში, დახმარების მიღება აზოვის ზღვის ფლოტილიიდანაც შეიძლებოდა. რაც მთავარია, ბოლშევიკებს სადესანტო ოპერაციების ჩატარების მდიდარი გამოცდილება ჰქონდათ, ხოლო ფოთსა და ბათუმში დესანტის გადმოსხმით საქართველოს ოკუპაცია ბევრად დაჩქარდებოდა.

ძალთა თანაფარდობას ზღვაზე ფრანგული ესკადრა შესამჩნევად ცვლიდა და ბოლშევიკებს სოჭის იქით მოქმედების საშუალებას არ აძლევდა. 18 თებერვლიდან აფხაზეთის სანაპიროსთან პატრულირებას შეუდგა ფრანგული ავიზო „დიუშაფაულტი“. ფრანგი მეზღვაურები ვითარებას აკვირდებოდნენ და აგრესიის დაწყებისთანავე საბრძოლო მოქმედებებში აქტიურად ჩაერთვნენ.

ერთი ხომალდი საკმარისი არ იყო და მალე აფხაზეთის სანაპიროსთან მიმდინარე ოპერაციებში ჩაერთო ჯავშნოსანი კრეისერები: „ერნესტ რენანი“ და „ვალდეკ რუსო“, საესკადრო ნაღმოსანი „საქალავე“, ავიზოები: „სუიპ“, „იზერი“ და „დიუნკერკი“, სატრანსპორტო გემი „რონა“.

ფრანგი სამხედრო მეზღვაურების მოვალეობაში შევიდა: სანაპირო ზოლში კრეისერობა, ქართული არმიისათვის საცეცხლე მხარდაჭერის გაწევა, დაზვერვა, სამოქალაქო გემების შემოწმება-გაცილება, ლტოლვილების გამოყვანა და სხვ.

1921 წლის 22 თებერვალს ბოლშევიკების ყუბანის მე-9 არმიის შტაბმა მოსკოვში გადასცა ანტანტის ხომალდების მიერ სოფელ პილენკოვოს (ახლანდელი განთიადი) დაბომბვის შესახებ ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „პილენკოვოსთან 21 თებერვლის 9 საათზე გაგრის მხრიდან შემჩნეულია ორი გემი (ტიპი ვერ დადგინდა), კურსით ჩრდილო-დასავლეთისკენ. 11 საათზე პილენკოვოს ნაპირს 4 ვერსით მიუახლოვდნენ და დასახლებული რაიონი მსხვილკალიბრიანი ჭურვებით დაცხრილეს. ამის შემდეგ გემები თეთრი კვამლის სიგნალიზირებით სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით წავიდნენ“.

21 თებერვალს, დამფუძნებელი კრების სხდომაზე, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ აღნიშნა ის დახმარება, რომელიც საფრანგეთის ესკადრამ გაგრასთან ქართულ ჯარებს გაუწია.

24 თებერვალს ქართული არმიის გენშტაბმა გაავრცელა ინფორმაცია გაგრის ფრონტზე ფრანგული ესკადრის საარტილერიო მხარდაჭერის შესახებ.

ფრანგული ესკადრისაგან ბოლშევიკ აგრესორებს ზღვიდან მოსვენება არ ჰქონდათ. 22 თებერვლის 00 საათსა და 20 წუთზე პილენკოვოს რაიონში საესკადრო ნაღმოსანმა „საქალავემ“,ავიზოებმა „სუიპმ“ და „დიუნკერკმა“ 138 მმ-იანი, 125 მმ-იანი და 100 მმ-იანი ყუმბარებით 31-ე დივიზიის 91-ე ბრიგადის შტაბი დაცხრილეს, შემდეგ კი ცეცხლი 273-ე პოლკის განლაგებაზე გადაიტანეს.

23 თებერვალს დაიბომბა წითლების პოზიციები გაგრასთან; 25 თებერვალს ავიზოებმა „დიუშაფაულტმა“ და „სუიპმ“ გუდაუთასთან კავალერისტთა და ქვეითთა პოზიციებს ცეცხლი გაუხსნეს; იგივე ხომალდები 1-ელ მარტს გუდაუთასთან პეტროპავლოვსკოეს რაიონს ესროდნენ; 2 მარტს ფრანგულმა ხომალდებმა ახალ ათონი-პეტროპავლოვსკოეს სანაპირო ზოლი არტილერიით დაამუშავეს; 3 მარტს, 9 საათსა და 30 წუთზე, ახალ ათონთან წითლების 274-ე პოლკის პოზიციებზე, საესკადრო ნაღმოსან „საქალავესა“ და ავიზო „სუიპს“ გრიგალისებური საარ-

ფრანგული ჯავშნოსანი კრეისერი „ერნესტ რენანი“



ფრანგული ჯავშნოსანი კრეისერი „ვალდეკ რუსო“



ტილერიო ცეცხლის მხარდაჭერით, ქართული არმიის ნაწილები კონტრშეტევაზე გადავიდნენ.

ფრანგული ხომალდების მეთაურები ადმირალ დიუმენილის ბრძანებებით მოქმედებდნენ. ცალკეულ შემთხვევაში გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლადაც იღებდნენ, თუ ამას შექმნილი მდგომარეობა ან ქართველი სამხედროებისთვის დახმარება მოითხოვდა.

საფრანგეთის ხომალდებით შეწუხებული აფხაზეთის რევკომი კავკასიის მთავარ ბოლშევიკს, სერგო ორჯონიკიძეს მოახსენებდა: „აფხაზეთის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი გამოხატავს პროტესტს აფხაზეთის საქმეებში საფრანგეთის მთავრობის ჩარევასა და იმ ბინძურ სურვილზე, რომლითაც კონტრრევოლუციურ მენშევიკურ მთავრობას აფხაზეთის საბოლოო გათავისუფლებისთვის მებრძოლი აფხაზეთის მშრომელი მასების სისხლში ჩახშობა სურს“.

ბოლშევიკების „გმირობის“ წარმოჩენის მიზნით, 4 მარტს 31-ე დივიზიის უფროსი პაშკოვსკი ლენინს ტელეგრამით აცნობებდა: „ორდღიანი შეუჩერებელი ბრძოლების შემდეგ, რომელსაც თან ახლდა მოწინააღმდეგის სამი შემოტევა და ანტანტის გემების სახომალდო არტილერიიდან მხუთავაირიანი ჭურვებით სროლა“...

რა თქმა უნდა, ფრანგებს არანაირი მხუთავაირიანი ჭურვები არ გაუსვრიათ, მაგრამ ბოლშევიკებს ტყუილი თავიანთი პროპაგანდისათვის ესაჭიროებოდათ.

რუსეთმა ფრანგული ხომალდების აქტიურობას საჰაერო შეტევით უპასუხა. 3 მარტს სოხუმის რეიდზე მდგომ საესკადრო ნაღმოსან „საქალავესა“ და ავიზო „სუირეს“ ბოლშევიკების შავი ზღვის ფლოტის ავიაციამ შეუტია. თვითმფრინავებმა ხომალდებს რამდენიმე ბომბი ესროლეს, მაგრამ უშედეგოდ.

შავი ზღვის ფლოტის საკანონერო ნავები ფრანგულ ხომალდებთან დაპირისპირებას მოერიდნენ. ბოლშევიკებმა ზღვიდან შეტევაზე უარი თქვეს და საომარი მოქმედებები მხოლოდ სახმელეთო ბრძოლებით შემოიზღუდა.

4 მარტს წითელი არმია სოხუმში შევიდა. ქალაქში დარჩენილი ქართველი სამხედროების, მშვიდობიანი მოსახლეობისა და უცხო ქვეყნების მისიების გამოყვანა ფრანგული ხომალდების დაცვით წარიმართა. ევაკუაციაში მონაწილეობდა ჯავშნოსანი კრეისერი „ვალდეკ რუსო“, საესკადრო ნაღმოსანი „საქალავე“, ავიზოები „დიუშაფაულტი“, „სუიპე“, „იზერი“, აგრეთვე რუსული სატრანსპორტო გემი „მარია“. სამხედროებისა და მოსახლეობის ევაკუაცია ოჩამჩირიდანაც მიმდინარეობდა.

წითელი არმიის შეტევის მომდევნო სამიზნე ფოთი გახდა. ქალაქიდან ევაკუაციას ფრანგული სამხედრო ხომალდები და ქართული მცურავი საშუალებები ერთად აწარმოებდნენ. 10 მარტს ფოთის პორტთან „დიუშაფაულტმა“ და „იზერმა“ ბუქსირი შეაჩერეს, რომელსაც შალანდა ჰყავდა ჩაბმული. ფრანგმა მეზღვაურებმა 80 ქართველი ლტოლვილი მიიღეს, ბუქსირს საწვავი გადასცეს, 2 ქართული იალქნიანი გემი ბუქსირზე აიყვანეს და კურსი ბათუმისაკენ აიღეს.

პორტში დარჩენილი და დაზიანებული მცურავი საშუალებები, რომელთა გამოყვანა ვერ ხერხდებოდა, განადგურდა. 11 მარტს პორტის რეიდზე დაიწვა სატვირ-



ქართველი ემიგრანტები „ვალდეკ რუსოს“ გემბანზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თო იალქნიანი გემი „დობრო“, კატარღები „სენაკი“ და „გრიგოლი“.

ფრანგი მეზღვაურების ბოლო ოპერაცია ბათუმიდან საქართველოს მთავრობის, საფრანგეთის მოქალაქეთა, ქართველი სამხედროებისა და სამოქალაქო მოსახლეობის გამოყვანა, აგრეთვე ეროვნული სიმდიდრისა და საგანძურის გამოტანა გახდა. ევაკუაცია ვრანგელის არმიის ბევრ სამხედრო მოსამსახურესაც შეეხო.

მარტის პირველი რიცხვებიდან ფრანგული სამხედრო მისია ევაკუაციით იყო დაკავებული. 10 მარტს ბათუმში სამხედრო მისიის უფროსმა პოლკოვნიკმა კორბელმა, მისიის წევრმა პოლკოვნიკმა პუადებარმა და კონსულმა ნეტემანმა სამხედრო ხომალდებისა და ეკიპაჟების მზადყოფნა შეამოწმეს.

იმ დროისათვის ბათუმში საკმაოდ რთული მდგომარეობა იყო. როგორც ქართული ჯარის მთავარსარდალი გენერალი გიორგი კვინიტაძე წერს: „რკინიგზაზე ქაოსი სუფევდა. ჯარისკაცებითა და რეზერვისტებით, ზურგის სამსახურებით, საბრძოლო მასალებით, სამხედრო ტვირთითა და პროდუქტებით დატვირთული სამხედრო ეშელონები სამოქალაქო უწყებებისა და სამინისტროების, კერძო პირების ტვირთებში იყო არეული. შეუძლებელი აღმოჩნდა საზღვარგარეთ გასატანი ტვირთის გემთსადგომთან მიტანა და გემზე დატვირთვა“. ამას თან ერთვოდა სატრანსპორტო მცურავი საშუალებების ნაკლებობა.

1920 წლის დეკემბერში რუსეთმა საქართველოს პორტებში 15 ნოემბრის შემდეგ ძველი თუ ახალი რუსეთის დროშითა და დოკუმენტებით შემოსული რუსეთის პორტებზე მიწერილი გემების დაბრუნება მოითხოვა. ბოლშევიკების პრეტენზია 35 მცურავ საშუალებას ეხებოდა. მათ შორის იყო ორთქლისა და ძრავიანიალქნიანი გემები, შხუნები, ბარჟები, მიწაზაპია და ა.შ..

რუსეთთან ურთიერთობის შემდგომი გართულების თავიდან ასაცილებლად საქართველოს მთავრობამ რუსული გემების კაპიტნებს ხელწერილები ჩამოართვა, რომ სპეციალური ნებართვის გარეშე ზღვაში არ გავიდოდნენ.

ბოლშევიკების მოთხოვნა დაკმაყოფილდა და 1921 წლის 6-7 იანვარს ბათუმში რუსეთის წარმომადგენელს აქტით 19 მცურავი საშუალება გადაეცა, მაგრამ ამით პრობლემა არ ამოწურულა. ეკიპაჟები ზღვაში გასვლას მოითხოვდნენ. თებერვლის პირველ რიცხვებში ბათუმის დატოვება „პიოტრ ველიკის“ ეკიპაჟმა მოინდომა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გემის ჩაძირვით იმუქრებოდნენ. ინციდენტის თავიდან ასაცილებლად პორტის ადმინისტრაციამ გემზე შეიარაღებული დაცვა დააყენა.

საქართველო მცურავ საშუალებებში შეზღუდული იყო. სამხედრო ფლოტილიიდან გამანადგურებელი კატარღები „პატარა კახი“, „ავთანდილი“ და „ტარიელი“ მწყობრში იყო. 1920 წლის 25 სექტემბერს ბათუმის პორტის ელინგზე დაყენებული „ფრიდონის“ რემონტი 14 დეკემბერს დასრულდა და გამანადგურებელი წყალში ჩაუშვეს. კერძო პირების არენდაში მყოფი სამხედრო-სატრანსპორტო გემები „მერანი“ და „წმინდა გიორგი“ კომერციული საქმიანობით იყვნენ დაკავებულები და ევაკუაციისათვის არ ეცალათ.

რუსეთის აგრესიის დაწყებისთანავე საქართველოს პორტებში მყოფი სამოქალაქო გემები სამხედრო ფლოტილიის დაქვემდებარებაში გადავიდა, მაგრამ გადაწყვეტილებას წინ პორტების უფროსი აღუდგა. მისი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, მთავრობის განკარგულებით, სამხედრო ფლოტილიას მხოლოდ 2 სატრანსპორტო გემი „მარია“ და „ვესტა“ დაუტოვეს, ხოლო დანარჩენები პორტების სამმართველოს დაუბრუნდა.

ფლოტილიის სარდალმა, I რანგის კაპიტანმა თაყაიშვილმა „მარიასა“ და „ვესტას“ ეკიპაჟებიდან ჩამოწერა ის მეზღვაურები, რომელთაც საქართველოდან წასვლა არ სურდათ, ისინი სხვებით შეცვალა და საიმედო ეკიპაჟების წყალობით ევაკუაციის მთელმა სიმძიმემ ამ გემებზე გადაიარა.

სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნიდა ბოლშევიკების აგიტაცია, რომლის შემდეგ რამდენიმე ეკიპაჟმა სამსახურზე უარი თქვა, გემები მიატოვა და ქალაქში დაიფანტა. ბოლშევიკური აგიტაციის გავლენით პორტში მყოფი ორთქლმავალი ბუქსირი „თავრიდა“ ზღვის ფსკერზე აღმოჩნდა.

მდგომარეობა ბათუმში 11 მარტის შემდეგ კიდევ უფრო გართულდა, როცა ქალაქში თურქი სამხედროები გამოჩდნენ. 16 მარტს სამტრედიაში საქართველოს მთავრობასა და ბოლშევიკებს შორის ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ, რაც საქართველოს კაპიტულაციას ნიშნავდა, ჩვენს მთავრობას ერთადერთი რამ — საზღვარგარეთ წასვლა რჩებოდა.

ევაკუაცია 17 მარტს, საღამოს დაიწყო. მთავრობის ბრძანებით, სახელმწიფო ხარჯებით ევაკუირება შეეძლოთ მთავრობის წევრებს, 10 პოლიტიკურ მოღვაწეს, გვარდიის 15 წარმომადგენელს, მთავარსარდლის შტაბსა და 50 ოფიცერს.

ჩასხდომის პროცესის გაკონტროლება შეუძლებელი აღმოჩნდა. სამხედროები და მოქალაქეები, ბევრად მეტი იმ რაოდენობაზე, ვისაც ევაკუაცია შეეხებოდა, „მარიასა“ და „ვესტაზე“ მოთავსდნენ. „ვესტა“ თვითმფრინავებითა და სხვადასხვა აღჭურვილობითაც დაიტვირთა. საწვავის უკმარისობის გამო „მარიამ“ გამანადგურებლები „ტარიელი“ და „ავთანდილი“ ბუქსირზე ჩაიბა. რუსულმა გემმა „ოლენმა“ ავტომობილები მიიღო. რუსულ გემებზე ვრანგელის არმიის ჯარისკაცებიც და ოფიცრებიც მოთავსდნენ.

კრეისერ „ერნესტ რენანზე“ ავიდნენ საფრანგეთის კომისარი საქართველოში შევალიე, სამხედრო მისიის ოფიცრები, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საბახტარაშვილი და სხვა პირები. ამავე ხომალდზე დაიტვირთა საქართველოს ეროვნული საგანძურის ნაწილიც.

მთავრობის დიდი ნაწილი „ლოიდ ტრიესტინოს“ კომპანიის იტალიურ სამგზავრო გემ „ფრანც ჟოზეფ კირალზე“ დაბინავდა. „კირალი“ სტამბოლი-ბათუმის ხაზზე რეგულარულად დაცურავდა და კომფორტაბელური გემი იყო.

ხომალდებსა და გემებზე ხალხის მიღება, ტვირთის ატანა ფრანგი მეზღვაურების მეთვალყურეობით მიმდინარეობდა. რეიდზე მდგომი ფრანგული სამხედრო ხომალდები ყოველი შემთხვევისათვის სრულ მზადყოფნაში იყვნენ. 17 მარტს, გვიან ღამით, საფრანგეთის მთავრობის მფარველობითა და ფრანგული ნაღმოსნების ესკორტით, გემების ქარავანმა ბათუმი დატოვა. ყველაზე ბოლოს, 18 მარტს, დილის 6 საათზე პორტიდან საესკადრო ნაღმოსან „საქალავეთი“ პოლკოვნიკი პოადუაბარი და კონსული ნეტემანი გაემგზავრნენ.

18 მარტს, დილით, ბათუმში ბრძოლები დაიწყო და ნაპირთან მიახლოება შეუძლებელი გახდა. რამდენიმე დღის შემდეგ, 21-22 მარტს, ბათუმის ახლოს საესკადრო ნაღმოსანი „საქალავე“ ისევ გამოჩნდა. ფრანგმა მეზღვაურებმა შენიშნეს, რომ ქალაქის თავზე წითელი დროშა ფრიალებდა, ხოლო სანაპიროზე წითელარმიელები იყვნენ.

ევაკუაციასთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას იძლევა ფრანგი ოფიცრის პატაკი, რომელიც მან 1921 წლის 30 მარტს კონსტანტინოპოლიდან პარიზში სამხედრო-საზღვაო შტაბს გაუგზავნა.

ფრანგი ოფიცერი წერს: „ბათუმიდან ყველა ქართული გემი ფრანგული დროშით გამოვიდა და კონსტატინოპოლში შემოვიდა. სულ 30 გემი იქნა გამოყვანილი. უმეტესობამ ბათუმი ქარავნის შემადგენლობაში 17 მარტს, სხვებმა მოგვიანებით, დამოუკიდებლად დატოვეს. მე მოვითხოვე დოკუმენტები, რომ შევამოწმო გემებისა და ტვირთის კუთვნილება, რისთვისაც შერეული რუსულ-ფრანგულ-ქართული კომისიის შექმნა იქნება საჭირო. ამის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ გემები და ტვირთი კანონიერ მფლობელებს დაუბრუნდება. განსაკუთრებით ყურადსაღებია მოხალისეთა ფლოტის შემადგენლობაში მყოფი გემები“.

რუსები თხოულობდნენ გემებს: „ილია მოროზოვს“, „დონეცს“, „ამბროსიოს“, „მარიასა“ და „ვესტას“. ფრანგი ოფიცრის ინფორმაციით, საქართველოს კუთვნილებად შეიძლებოდა ჩათვლილიყო 3 გამანადგურებელი კატარღა, მათ შორის ერთერთი ცუდ მდგომარეობაში, აგრეთვე ძრავიან-იალქნიანი გემი „მუზა“ (ყოფილი „რისკი“).

ფრანგმა სამხედრო მეზღვაურებმა თავიანთი მოვალეობა საქართველოს წინაშე პირნათლად მოიხადეს და აგრესორს ზღვაზე მოქმედების საშუალება არ მისცეს. ომის მთელმა სიმძიმემ სახმელეთო ბრძოლებზე გადაიარა, სადაც მოწინააღმდეგეს აშკარა უპირატესობა ჰქონდა, რის წყალობითაც საქართველოს დაპყრობა შეძლო.

*სტატიის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ოფიცერს, კრისტოფ ჟიტოს.*

თემურ ჩაჩანიძე

# აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალები NATO-ში შესვლის შემდეგ

სამხედრო-საზღვაო ძალები შეიარაღებული ძალების უნივერსალური სახეობაა, რომლის გამოყენება წყალზე, წყალქვეშ, ჰაერსა თუ ხმელეთზე როგორც ომის, ასევე მშვიდობიანობის დროს ერთნაირი ეფექტიანობით შეიძლება. ამასთან, ის წარმოადგენს ქვეყნის სამხედრო ძლიერების დემონსტრირების ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო საშუალებას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირე ქვეყნების საზღვაო ძალები ზღვაზე NATO-ს შემაკავებლის როლს ასრულებდნენ.

საბჭოთა კავშირი დაიშალა. აღარ არსებობს ვარშავის პაქტი. აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნები: პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია და ლიტვა NATO-ს შეუერთდნენ. შეიცვალა პოლიტიკური გარემო და წარმოიშვა ახალი სახის საფრთხეები.

ახალ გარემოში NATO-ს ახალი წევრების სამხედრო-საზღვაო ძალების ფორმირება-მოდერნიზაციისას რამდენიმე საერთო დამახასიათებელი ნიშანი გამოიკვეთა:

I – ექვსივე ქვეყანამ საბჭოთა (რუსული) პროექტების ხომალდებსა და კატარღებზე უარი თქვა. მაშინ, როცა ზემოდასახელებული ქვეყნების საჰაერო ძალების შემადგენლობაში საბჭოთა წარმოების თვითმფრინავებსა და შვეულმფრენებს ჯერ კიდევ დიდი ადგილი უკავია.

დასავლურ ტექნიკაზე გადასვლა გამოწვეულია NATO-ს ქვეყნებში მოქმედი ერთიანი სტანდარტებით სახომალდო შეიარაღებაზე, ძალოვან დანადგარებზე, ელექტრონულ აპარატურაზე, საწვავზე და ა.შ. ზღვაში საბრძოლო დავალებების შესრულებისას, როცა ხმელეთიდან დიდი მანძილით დაშორებულ ხომალდს სასწრაფოდ შეკეთება, საწვავის მიღება ან სხვა სახის დახმარება დასჭირდება, უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს;

II – სამხედრო-საზღვაო ძალების მშენებლობა წინასწარ შემუშავებული მრავალწლიანი პროგრამების შესაბამისად მიმდინარეობს. პროგრამაში გაწერილია მცურავი საშუალებების კლასები, ხომალდებისა და კატარღების რაოდენობა კლასების მიხედვით, წლები, როცა იგეგმება ძველი მცურავი საშუალებების ჩამოწერა და მათი ახლით შეცვლა, აგრეთვე სხვა ტექნიკური დეტალები. აუცილებელ პირობად რჩება საბრძოლო მცურავი საშუალებების NATO-ს მოთხოვნებთან შესაბამისობა;

III – თითოეული სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალები ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობების, NATO-ს მოთხოვნებისა და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ვითარდება. მაგალითად: რუმინეთის, პოლონეთის, ბულგარეთის საზღვაო ძალების შემადგენლობაში ამჟამად არის მრავალფუნქციური ხომალდები, რომლებსაც მოქმედება როგორც სანაპირო ზოლში, ასევე ოკეანეშიც შეუძლიათ. ბალტიისპირეთის ქვეყნები აქცენტს მტრალავ ძალებზე აკეთებენ;

IV – ექვსივე ქვეყანას მეტ-ნაკლებად განვითარებული გემთსაშენი და გემთსარემონტო სიმძლავრეები აქვს და ზოგიერთი მათგანი ამ პოტენციალს უკვე იყენებს დასახული გეგმების შესასრულებლად;

V – მიმდინარეობს სამხედრო-საზღვაო ბაზების აუცილებელი და საჭირო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა. ამის გარეშე სამხედრო-საზღვაო ძალების თითოეული კომპონენტისა თუ მცურავი საშუალების ხანგრძლივი დროით საბრძოლო მდგომარეობაში შენარჩუნება შეუძლებელი იქნება.

თუმცა NATO-ში შესვლისას აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საზღვაო ძალები სხვადასხვა მდგომარეობაში იყო.

საქართველოს მსგავსად, ბალტიისპირელებს სამხედრო-საზღვაო ძალების ჩამოყალიბება ნულიდან მოუხდათ. რუსებმა მხოლოდ ძველი და დამხმარე დანიშნულების მცურავი საშუალებები გაიმეტეს. გამონაკლისი იყო ლიტვა, რომელმაც კალინინგრადში რუსი ოფიცრებისათვის აგებული სახლების სანაცვლოდ ბალტიის ფლოტიდან ორი კორვეტი „ჟემაიტისი“ და „აუკსტაიტისი“ სრული საბრძოლო შეიარაღებით (პროექტი 1124) მიიღო.

ბალტიისპირეთის ქვეყნებს დახმარების ხელი მალე გაუწოდა გერმანიამ, შვეციამ, დანიამ და ფინეთმა. ამ სახელმწიფოებმა სხვადასხვა დროს ესტონეთს, ლატვიასა და ლიტვას 30-ზე მეტი ხომ-




**ლიტვური კორვეტი „აუკშტაიტისი“**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალდი და კატარღა უსასყიდლოდ გადასცეს, მოამზადეს ეკიპაჟები. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ხომალდების ბალტიისპირეთის პორტებში რეგულარულ მხარდასაჭერ ვიზიტებს. პირადი შემადგენლობის მოსამზადებლად ბევრს ნიშნავდა NATO-სა და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ყოველწლიური ერთობლივი სწავლებები.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ქვეყნები ბალტიისპირელებისათვის საბრძოლო კატარღების გადაცემისას ერთგვარ სიფრთხილეს იჩენდნენ და მათ შემტევ იარაღს ხსნიდნენ. ნორვეგიამ ლიტვა-ლატვიას „სტორმის“ სერიის 7 სარაკეტო კატარღა გადასცა. შვიდივე ხომალდსაწინააღმდეგო „პინგვინის“ ტიპის რაკეტების გარეშეა მიღებული.

ჩრდილოატლანტიკურ სამხედრო-საზღვაო სტრუქტურებთან ინტეგრირებისთვის გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა 1998 წლის აგვისტოს ბოლოს ბალტიისპირა ქვეყნების სანაღმო-მტრალავი შენაერთის, „ბალტრონის“ ჩამოყალიბება. „ბალტრონში“ ლიტვის საშტაბო ხომალდი, ასევე, ლატვიისა და ესტონეთის ორ-ორი მტრალავი შედის. შენაერთის მეთაურისა და შტაბის უფროსის მოვალეობას თითოეული ქვეყნის წარმომადგენელი მორიგეობით ექვსი თვით ასრულებს. ორგანიზაციულად „ბალტრონი“ NATO-ს სანაღმო-მტრალავი მუდმივი შენაერთის ანალოგიურია.

ბალტიისპირა ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალები დღეს უკვე ანგარიშგასაწევი ძალაა. მცურავი ერთეულები აღჭურვილია თანამედროვე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით, საარტილერიო სისტემებით, ნაღმების დასაყენებელი მოწყობილობებით, მტრალავი საშუალებებითა და ა.შ., ხოლო ეკიპაჟებმა კარგი საზღვაო გამოცდილება შეიძინეს.

ესტონეთის სამხედრო-საზღვაო ძალები ოფიციალურად 1994 წლის 22 აპრილს შეიქმნა და თავდაპირველად შინაგან საქმეთა სამინისტროში შედიოდა, ხოლო 1996 წლიდან შეიარაღებული ძალების დამოუკიდებელი სახეობაა.

მთავრობის მიერ შემუშავებული თავდაცვის ეროვნული ძალების განვითარების კონცეფციის მიხედვით, 2010 წლამდე სამხედრო-საზღვაო ძალებში უნდა იყოს: 2 საპატრულო ხომალდი (მოსალოდნელია პოლონეთში აგება), 2-3 მტრალავი (პროტოტიპად განიხილებოდა ბელგიური „ასტერის“ სერიის მტრალავები), 3 სარაკეტო კატარღა, საბრძოლო შესაძლებლობებით დანიურ „ვილიმოესა“ ან შვედურ „სკიპასთან“ გათანაბრებული, და 5 სადესანტო კატარღა (განზრახულია შვეციაში ყიდვა).



ლატვიური საპატრულო კატარღა „ლოდე“

2005 წლის ბოლოს ესტონეთის მთავრობამ 800 მლნ კრონა გამოყო ბრიტანეთში „სენდაუნის“ სერიის 2 მტრალავის შესაძენად. „სენდაუნები“ ბრიტანეთის ფლოტის შემადგენლობაში 1988-2001 წლებში შევიდა და თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი.

ესტონეთი იყენებს თავის გემთსაშენ სიმძლავრეებს და იქ საზღვაო ძალებისათვის დამხმარე გემებს აგებს.

ლატვიაში სამხედრო-საზღვაო ძალების დღე 10 აგვისტოს აღინიშნება და მისი ათვლა 1919 წლიდან იწყება. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელმეორედ მისი ჩამოყალიბება 1991 წლის 11 აპრილს უკავშირდება, როცა პირველ ლატვიურ ხომალდზე ეროვნული დროშა აღიმართა.

სამხედრო-საზღვაო ძალები შეიარაღებული ძალების დამოუკიდებელი სახეობაა, რომლის შემადგენლობაში შედის სანაპირო დაცვაც.

ფორმირების დროს ლატვიამ დასავლეთ გერმანიიდან და ნორვეგიიდან საპატრულო კატარღები და მტრალავები მიიღო, ხოლო პირადმა შემადგენლობამ მომზადება დასავლეთ გერმანიაში, აშშ-ში, დანიაში, შვეციასა და საფრანგეთში გაიარა.

2004-08 წლებისათვის, რესპუბლიკის ეროვნული შეიარაღებული ძალების განვითარების კონცეფციის შესაბამისად, ლატვიის მთავრობამ 2005 წლის ბოლოს ნიდერლანდთან „ალკმაარის“ სერიის 5 მტრალავის მიღების თაობაზე შეთანხმებას მიაღწია. კონტრაქტის ღირებულება 70 მლნ დოლარია. ხომალდები ამჟამად გაყიდვისწინა მომსახურებას გადიან და პირველი მტრალავი ლატვიის ფლოტს 2006 წლის ნოემბერში დაემატება. ბოლო ხომალდის მიღება 2008 წლისათვის იგეგმება. თანხის დაფარვა ეტაპობრივად, 2012 წლამდე მოხდება.

დასავლეთში მცურავი საშუალებების შესყიდვასთან ერთად ეროვნულ გემთსაშენებში ხომალდებისა და კატარღების მშენებლობაც განიხილება.

ლიტვის სამხედრო-საზღვაო ძალები არსებობას 1992 წლის 17 ნოემბრიდან იწყებს და მისი ფორმირება სკანდინავიის ქვეყნების უანგარო დახმარებით მიმდინარეობს, რომელიც დღემდე გრძელდება.

მიმდინარე წლის 7 აპრილს კლაიპედაში ლიტვის საზღვაო ძალებს ნორვეგიული 1700 ტონა წყალწყვის ნაღმგადამღობი „ვიდარი“ დაემატა. მეორე ანალოგიური ხომალდი „ვირსაიტისი“ ნორვეგიამ 2003 წლის 27 აპრილს ლატვიას გადასცა.

2005 წლის თებერვალში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ლიტვის შესაბამის უწყებას კორვეტების, „ზემაიტისისა“ და „აუსტაიტისის“ გადმოცემის თხოვნით მიმართა. აპრილში ცნობილი გახდა, რომ ლიტვამ გარიგებისაგან თავი შეიკავა და მიზეზად NATO-ს მიერ წაყენებული მოთხოვნები დაასახელა, კერძოდ, რას გულისხმობდა ისინი, არ დაუკონკრეტებიათ.

NATO-ს მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ ერთი ყოფილიყო — საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „OCA“-სა და რეაქტიული ბომბსატყორცნების მოხსნა, რაც კორვეტების მთავარი თავდაცვითი შეიარაღების გარეშე დარჩენას ნიშნავდა. საქართველოს დასავლეთი სარაკეტო შეიარაღებას არ ანდობს და მხოლოდ არტილერიით შეიარაღებული კატარღების მიღების ნებართვას იძლევა.

ბალტიისპირელებისაგან განსხვავებული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ ყოფილი ვარშავის პაქტის წევრი ქვეყნების: ბულგარეთის, რუმინეთისა და პოლონეთის საზღვაო ძალები.

ჩრდილოატლანტიკურ კავშირში გაწევრების გადაწყვეტილებამ სამხედრო-საზღვაო ძალების საბრძოლო მომზადებისა და ოპერატიული საქმიანობის პროცესის NATO-ს მოთხოვნებთან შესაბამისობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყვანა მოითხოვა; ასევე, NATO-ს წევრ და „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამაში მონაწილე ქვეყნებთან ურთიერთმოქმედების გასაუმჯობესებლად ერთობლივ სემინარებში, სწავლებათა დაგეგმვაში, ორმხრივ და მრავალეროვან სწავლებებში რეგულარული მონაწილეობა; განათლების მისაღებად NATO-ს ქვეყნების სამხედრო სასწავლებლებში ოფიცრებისა და კურსანტების გაგზავნა და ა.შ.

ამის შედეგი იყო ის პროცესები, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალებში ბოლო წლებში შეიმჩნევა.

ბულგარეთი 2004 წლის 2 აპრილიდან NATO-ს სრულუფლებიანი წევრია. ქვეყნის ხელისუფლების აზრით, ბულგარეთს პატარა, თანამედროვე და ბალანსირებული საზღვაო ძალა ესაჭიროება, რომელიც პირველ რიგში NATO-ს მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს. 2004 წელს მიღებულ იქნა შეიარაღებული ძალების რეფორმირების პროგრამა, რომლის დასრულება 2015 წლისათვის არის განზრახული. პროგრამის მიხედვით, საზღვაო ძალებისათვის პრიორიტეტული უნდა გახდეს მრავალმხრივი დანიშნულების კორვეტების მშენებლობა. მიმდინარეობს დასავლეთის ქვეყნებში აგებული ხომალდების შეძენაც. 2005 წლის ბოლოს საზღვაო ძალებს ბელგიაში 23 მლნ ევროდ ნაყიდი „ველინგენის" სერიის ფრეგატი „დრაზკი" შეემატა. ხომალდს მოდერნიზაცია ჩაუტარდა და ის აღჭურვილია „ეკზოსეტისა" და „სი სპაროუს" ტიპის რაკეტებით. „დრაზკი" პირველი საბრძოლო ერთეულია, რომელიც NATO-ს მოთხოვნებს პასუხობს.

რუმინეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მოდერნიზაციის მიზანი NATO-ს წევრი ქვეყნების საზღვაო ძალებთან სრული თავსებადობის მიღწევაა.

ბუქარესტი აქცენტს დასავლურ ტექნიკაზე აკეთებს. ბრიტანეთში 185 მილიონ დოლარად „ბროდსუორდის" სერიის ორი ფრეგატია ნაყიდი. 2004 წლის სექტემბერში რუმინეთის ფლოტს ფრეგატი „რეჯილე ფერდინანდი" (ექს. „ლონდონი") და 2005 წლის მარტში ფრეგატი „რეჯინა მარია" (ექს. „კოვენტრი") დაემატა. ღირებულებაში შევიდა ფრეგატების ახალი მართვის სისტემებითა და შეიარაღებით აღჭურვა, აგრეთვე ეკიპაჟების მომზადება.

საინტერესოა, რომ მოდერნიზაციის შემდეგ ფრეგატებზე შტატით გათვალისწინებული „ჰარპუნის" ხომალდსაწინააღმდეგო და „სი ვულფის" საზენიტო-სარაკეტო სისტემები მოხსნილია.

პოლონეთს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი სამხედრო-საზღვაო ძალები ჰყავდა, რასაც ხელს უწყობდა კარგად განვითარებული სამხედრო გემთსაშენი მრეწველობა.

1998 წელს მინისტრთა საბჭომ 1998-2012 წლებისათვის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის პროგრამა მიიღო, რომლითაც საზღვაო ძალებში აქცენტი წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო, სანაღმო-მტრალავი და საპატრულო ძალების კომპლექსურ განვითარებაზე კეთდება. დაგეგმილია 5 კორვეტის, 20-24 წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო ხომალდისა და 14 მტრალავის მწყობრში ჩაყენება.

პოლონეთის საზღვაო ძალები, ქვეყნის NATO-ში შესვლის შემდეგ, დასავლეთის სახელმწიფოებიდან მნიშვნელოვან შევსებას იღებს. აშშ-მ 2000-02 წლებში „ოლივერ ჰ. პერის" სერიის ორი სარაკეტო ფრეგატი გადასცა ხომალდსაწინააღმდეგო „ჰარპუნის" ტიპის რაკეტებითა და შვეულმფრენებით.

ნორვეგიამ „კობენის" სერიის მოდერნიზებული 5 წყალქვეშა ნავი დაუთმო, საიდანაც მეხუთე სუბმარინა ეკიპაჟების მოსამზადებლად და სათადარიგო ნაწილებისათვის იქნება გამოყენებული. პირველი წყალქვეშა ნავი მწყობრში 2004 წლის ნოემბერში შევიდა. ტრანსფერი ვარშავას 4,5 მილიონი დოლარი დაუჯდა და თანხა ეკიპაჟების მომზადებას მოხმარდა. ნორვეგიული სუბმარინები პოლონეთის საზღვაო ძალებში 2012-15 წლებამდე დარჩებიან, რის შემდეგაც უფრო თანამედროვე ტიპის სუბმარინების აგებაა გადაწყვეტილი.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს ეროვნულ გემთსაშენებში კრიზისული სიტუაცია იყო, მხოლოდ 2001 წლის დამლევს გახდა შესაძლებელი სამხედრო ხომალდების მშენებლობის განახლება.

მიმდინარეობს მრავალფუნქციური, უნივერსალური, 2100 ტონა წყალწყვის კორვეტის კლასის ხომალდების მშენებლობა. ის გერმანული პროექტის, Meko A-100 საფუძველზეა შექმნილი. კორვეტები აღიჭურვება საჰაერო, წყალზედა და წყალქვეშა სამიზნეების განადგურების თანამედროვე საშუალებებით. დაგეგმილია 6 ხომალდის აგება, მათ შორის „სლაზაკი" და „კუიავლიაკი" უკვე წყალშია ჩაშვებული.

ახალი კორვეტები NATO-ს წინაშე პოლონეთის სამხედრო ვალდებულებების ერთ-ერთი მთავარი ელემენტია და ალიანსის მომავალ საზღვაო პოტენციალშია გათვალისწინებული.

პარალელურად მიმდინარეობს ძველი ხომალდების მოდერნიზაცია. 2002-04 წლებში მოდერნიზაცია ჩაუტარდა 3 მტრალავს (პ.207 FM), რომლებიც NATO-ს სწრაფი რეაგირების საზღვაო ძალებში შემავალი პირველი პოლონური ხომალდებია. მოდერნიზაციას გადის გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში აგებული „ორკანის" სერიის კორვეტები, რომლებიც დასავლური წარმოების ხომალდსაწინააღმდეგო და საზენიტო კომპლექსებით უნდა აღიჭურვოს.

პოლონეთი უპირატესობას NATO-ს ძალებთან ერთობლივ ოპერაციებს ანიჭებს, რომლებიც შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე დედამიწის ნებისმიერ რაიონში შეიძლება მიმდინარეობდეს. ამასთან, აუცილებელ პირობად რჩება ქვეყნის სანაპირო ზოლის დაცვის უზრუნველყოფა.

პოლონეთი, როგორც ჩრდილოატლანტიკური კავშირის წევრი, ვალდებულია, რომ NATO-ს მუდმივ ოპერატიულ შენაერთებში სამსახურისათვის განკუთვნილი ხომალდები 48-საათიან მზადყოფნაში იყოლიოს. პოლონური ხომალდებისათვის შორეულ ლაშქრობებსა და საზღვაო ოპერაციებში მონაწილეობა უცხო აღარ არის. უზრუნველყოფის გემი „კონტრადმირალი ქსავერი ჩერნიცკი" 2003 წლის მარტში ერაყის კამპანიის მონაწილეა. 2005 წლის იანვარში წყალქვეშა ნავი „ბელიკი" ხმელთაშუა ზღვაში NATO-ს ძალების შემადგენლობაში დაცურავდა.

პოლონეთი, რუმინეთი და ბულგარეთი, სამხედრო-საზღვაო ძალებში ახალ მცურავ საშუალებათა მიღებასთან ერთად, ძველი ხომალდებისა და კატარღების გაყიდვით დაინტერესებულნი არიან, რაც დამატებითი დაფინანსების წყარო ხდება.

პოლონეთი 1,7 მლნ დოლარად ყიდის საბჭოთა კავშირში აგებულ სარაკეტო ფრეგატ „ვარშავას", ოღონდ შეიარაღების გარეშე. გასაყიდად გამზადებულია ორი ძველი წყალქვეშა ნავი, თითოეული 400 ათას დოლარად.

რუმინეთი და ბულგარეთი ყიდიან გასული საუკუნის 60-იან წლებში საბჭოთა კავშირიდან მიღებულ კორვეტებს, სარაკეტო კატარღებსა და სხვა მცურავ საშუალებებს. კორვეტები წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის მოძველებული საშუალებებით არის აღჭურვილი, ხოლო სარაკეტო კატარღები ასევე ძველ, „ტერმიტის" ტიპის რაკეტებს ატარებენ. ეს ხომალდები იმდენად მოძველებულია, რომ 1998 წლის შემდეგ საერთაშორისო სწავლებებში აღარ მონაწილეობენ.

ხანდაზმულ, მოდერნიზაციას მოკლებულ მცურავი საშუალებებით დაინტერესებულ ქვეყნებს შორის საქართველოც არის. გაუგებარია, თავდაცვის სამინისტრო რისთვის სჭირდება ისეთი ხომალდები, რომლებიც NATO-ს სტანდარტებს კი არა, ზღვაზე უსაფრთხო ცურვის ელემენტარულ მოთხოვნებსაც რომ ვერ დააკმაყოფილებს.

თემურ ჩაჩანიძე

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ფაშისტური გერმანიის დაპყრობითი ომის წარმოების თეორია, მოწინააღმდეგის დამარცხება უმოკლეს ვადაში, ე.წ. „ელვისებური ომი“; 6. საჯარისო შენაერთი ძველ რომში; 7. დოსტოევსკის რომანი; 9. დაწესებულება, რომელსაც ევალება თვალყური ადევნოს სამხედრო მოსამსახურეების მიერ დისციპლინის დაცვას საზოგადოებრივ ადგილებში; 12. ფეხბურთელის ამპლუა; 13. დაქირავებული მკვლელი; 16. დოლი; 18. ქართველი პოეტი; 19. „ფოლკსვაგენის“ მოდელი; 20. ისრაელის სამხედრო-საზღვაო ფლოტის კატერი; 23. ნაკურთხი წყალი; 25. აფრიკული ხანჯალი; 26. აშშ-ის თავდაცვის მდივანი; 27. თვითმფრინავის დიდი სისწრაფით ძირს დაშვება, იყენებენ მიზანში ყუმბარის ზუსტი მოხვედრების მიზნით; 28. სამხედრო ნაწილები, რომლებიც განლაგებული არიან მუდმივად ან დროებით ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში; 30. ერაყის ფულის ერთეული; 31. გამოუწვავი აგური. **შვეულად:** 1. ლოდსატყორცნი მანქანა; 2. ინგლისური ავტომობილი; 3. ცურვის სტილი; 4. სახე, რეპუტაცია; 5. ესპანური პისტოლეტის „გრან პრეცისიონის“ მოდელი; 8. საომარი მოქმედების თანდათანობითი შენელება; 9. ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ესპანელი და პორტუგალიელი დამპყრობი მე-15-16 სს-ში; 10. მტაცებელი ცხოველი; 11. „კოლტის“ მოდელი; 14. ებრაელთა რელიგია; 15. ტერორისტი თვითმკვლელი; 17. გერმანული პისტოლეტის „მენცის“ მოდელი; 21. ძველებური ზარბაზანი, რომელიც ქვებს ან ლითონის ბირთვებს ისროდა; 22. გაწმენდილი ნატეხი შაქარი; 23. დიდი გომბეშო; 24. მდინარე საქართველოში; 25. პირი, რომელმაც მეცნიერებაში ან ტექნიკაში გაიკაფა ახალი გზები; 29. ესპანური პისტოლეტი.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* **თარაზულად:** 6. ექსტრაქტორი; 7. ბერნარდელი; 10. რაიხსვერი; 11. აჩისონი; 14. არესი; 15. ბლერი; 16. კოალა; 17. ეჯიბი; 18. კლერონი; 22. იჩიტა; 23. ტრაპი; 25. ესკუდო; 29. აბე; 30. პერიკლე; 31. სეიფი; 32. პიკაპი. **შვეულად:** 1. მეგობარი; 2. ესკორტი; 3. საფერავი; 4. ეტა; 5. ურალი; 8. ლეიტენანტი; 9. ობლიგაცია; 12. ჩელენჯერი; 13. ოლიმპიკი; 14. ალკონი; 19. ექსპრესი; 20. ოკუპაცია; 21. იროკეზი; 24. პო; 26. კორტი; 27. ნოკია; 28. სპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„არსენალი“ იწყებს ახალ რუბრიკას, რომელშიც გთავაზობთ ივნისის თვეში მომხდარი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი და საინტერესო ისტორიული მოვლენების ჩამონათვალს.**

# არსენალის ივნისის კალენდარი




**1 ივნისი**

1951 წელი — დაიბადა გუჯარ ყურაშვილი — გენერალ-მაიორი.

**2 ივნისი**

1944 წელი — სამხედრო წოდება „გენერალ-ლეიტენანტი“ მიენიჭა ვასილ მჟავანაძეს.

1864 წელი — დაიბადა ვილჰელმ სუშონი — გერმანელი კონტრადმირალი.




1982 წელი — გარდაიცვალა ჯუზეპე გარიბალდი.

**3 ივნისი**

1967 წელი — ისრაელის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება ეგვიპტის წინააღმდეგ ომის დაწყების შესახებ (ე. წ. „ექვსდღიანი ომი“).

**4 ივნისი**

1854 წელი — გაიმართა ჩოლოქის ბრძოლა: რუს-ქართველთა ჯარის დიდი შეტაკება თურქების ლაშქრის წინააღმდეგ ყირიმის ომის დროს.

1918 წელი — მენშევიკურ საქართველოსა და ოსმალეთს შორის დაიდო ე. წ. „ბათუმის ხელშეკრულება“.

1777 წელი — დაიბადა ა. ერმოლოვი — რუსი ინფანტერიის გენერალი.

1808 წელი — ესპანეთმა ომი გამოუცხადა ნაპოლეონის საფრანგეთს.

1867 წელი — დაიბადა კარლ გუსტავ ემილ ფონ მანერჰაიმი — ლეგენდარული ფინელი მარშალი.

1944 წელი — ქ. რომი (იტალია) აიღო მოკავშირეთა არმიამ.

**5 ივნისი**

1900 წელი — ბრიტანელმა მარშალმა ფრედერიკ სლეი რობერტსმა აიღო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქი პრეტორია, ამით დამთავრდა ინგლის-ბურების ომი.

**6 ივნისი**

1944 წელი — ინგლის-ამერიკის ჯარები გადასხდნენ გერმანიის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე ნორმანდიაში (ფაქტობრივად, ამით გაიხსნა „მეორე ფრონტი“).

**7 ივნისი**

1971 წელი — სამხედრო წოდება „გენერალ-მაიორი“ მიენიჭა პანტელეიმონ გიორგაძეს.

1968 წელი — გარდაიცვალა ფ. ტოკარევი — ცეცხლსასროლი იარაღის რუსი კონსტრუქტორი.

**8 ივნისი**

1921 წელი — დაიბადა სუჰარტო — ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, მთავრობის მეთაური, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, გადამდგარი არმიის გენერალი.

**9 ივნისი**

1672 წელი — დაიბადა პეტრე პირველი — რუსეთის იმპერატორი.

1877 წელი — რუსეთ-თურქეთის ომის დროს საკავალერიო დივიზიის მეთაურმა, გენერალ-მაიორმა ივანე ამილახვარმა დაიმსახურა „წმინდა გიორგის“ მეოთხე ხარისხის ორდენი.

1938 წელი — დაიბადა თენგიზ კიტოვანი — პროფესიით მხატვარი, საქართველოს თავდაცვის ექსმინისტრი, სარდალი.

**10 ივნისი**

1940 წელი — მეორე მსოფლიო ომში ჩაერთო იტალია, რომელიც გერმანიას უჭერდა მხარს.

1944 წელი — გერმანელი ადმირალი ფრიდრიხ ვილჰელმ კანარისი პირველად დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან (თუმცა ჰიტლერმა მალე დანიშნა „საგანგებო დავალებათა ადმირალად“).

**11 ივნისი**

1998 წელი — საქართველოსა და თურქეთს შორის სამხედრო სფეროში ურთიერთობათა გაფართოების მიზნით ხელი მოეწერა ხელშეკრულებას: თურქეთის მხარემ 8,5 მილიონი დოლარი გამოყო საქართველოს შეიარაღებული ძალების ხელშეწყობისათვის.

1815 წელი — 11-18 ივნისს გაიმართა ვატერლოოს ბრძოლა, საფრანგეთი კოალიციასთან ბრძოლაში დამარცხდა.

**12 ივნისი**

1912 წელი — დაიბადა კონსტანტინე ცუცქირიძე — საბჭოთა კავშირის გმირი.

2003 წელი — ბრიუსელში გაიმართა NATO-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრა. მასში მონაწილეობდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე. NATO-ს ეგიდით გაფორმდა სამხედრო ხელშეკრულება საქართველოსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის თაობაზე.

1812 წელი — ნაპოლეონ ბონაპარტეს არმია რუსეთში შეიჭრა.

**13 ივნისი**

1877 წელი — ქართველებმა სოფელ ოქუმთან გამართულ ბრძოლაში ოსმალთა ჯარი დაამარცხეს.

1944 წელი — ნორმანდიაში მოკავშირეთა ჯარების გადასხმის შემდეგ ჰიტლერს იმედად ახალი იარაღი შემორჩა: თვითმფრინავი-ჭურვები „ფაუ-1“ (მათი გამოყენება 13 ივნისის ღამით დაიწყო, ხოლო 16 ივნისიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტენსიურად იბომბებოდა ლონდონი).

**14 ივნისი**

1645 წელი – ინგლისელი მხედართმთავრის, ოლივერ კრომველის კავალერიამ მეფე კარლოს პირველის მომხრეები დაამარცხა.

**15 ივნისი**

1994 წელი – სამხედრო წოდება „გენერალ-მაიორი" მიენიჭა საქართველოს უშიშროების ექსმინისტრ ჯემალ გახოკიძეს.

1094 წელი – კასტილიელთა არმიამ ელ სიდის მეთაურობით, 9-თვიანი ალყის შემდეგ აიღო და გაძარცვა ესპანეთში მავრთა მთავარი დასაყრდენი ქალაქი ვალენსია.

1815 წელი – დაიღუპა ნაპოლეონის არმიის მარშალი მიშელ ნეი (მას ბრძოლაში 5 ცხენი მოუკლეს. ცნობილია მისი შეძახილი: „შეხედეთ, როგორ ეგებება სიკვდილს საფრანგეთის მარშალი!").

1982 წელი – დასრულდა ინგლის-არგენტინის კონფლიქტი ფოლკლენდის კუნძულებზე.

**16 ივნისი**

1195 წელი – ციხექალაქ შამქორთან ქართველთა ლაშქარმა დავით სოსლანის სარდლობით სასტიკად დაამარცხა ილდეგიზიდ ათაბეგის აბუ-ბაქრის ურდო (ქართველებმა ხელთ იგდეს 12 ათასი ტყვე და დიდი ალაფი – 40 ავაზა, 20 ათასი ცხენი, 22 ათასი ჯორი და აქლემი... ბრძოლაში თავი ისახელეს დავით სოსლანმა, შალვა და ივანე ახალციხელებმა, ანტონ გლონისთავისძემ).

**17 ივნისი**

1888 წელი – დაიბადა ჰაინც გუდერიანი – გერმანელი ფელდმარშალი.

1953 წელი – აღმოსავლეთ გერმანიაში აჯანყება დაიწყო: საქმეში საბჭოთა კავშირი ჩაერია და სამხედრო ხელმძღვანელობამ ქუჩებში ტანკები გამოიყვანა, რის შედეგად 50 კაცზე მეტი დაიღუპა.

**18 ივნისი**

1918 წელი – საქართველოში პირველად შემოიღეს სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელის თანამდებობა: გენერალ-მაიორი გიორგი მაზნიაშვილი დაინიშნა შავი ზღვის სანაპირო ჯარების უფროსად და აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად.

1812 წელი – აშშ კონგრესმა ხმათა მინიმალური უპირატესობით ომი გამოუცხადა ინგლისს, რომელმაც ორი დღით ადრე ბლოკადა მოუწყო ამერიკას.

1815 წელი – პრუსიის არმიამ მარშალ გერჰარდ ფონ ბლიუხერის მეთაურობით ვატერლოოს გენერალურ ბრძოლაში გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა ფრანგებს, რამაც განაპირობა მათი დამარცხება.

1937 წელი – რუსმა მფრინავებმა კ. ჩკალოვმა, გ. ბაიდუკოვმა და ა. ბელიაკოვმა თვითმფრინავ АНТ-25-ით დაიწყეს დაუჯდომელი გადაფრენა მარშრუტით: მოსკოვი-ჩრდილოეთ პოლუსი-ვანკუვერი.

1940 წელი – ინგლისის რადიოთი გა-



1940 წ. გერმანელთა აღლუმი პარიზში



გრაფი დრაკულა

ისმა გენერალ შარლ დე გოლის ლეგენდარული მოწოდება ფრანგი თანამემამულეებისადმი.

**19 ივნისი**

1486 წელი – თურქებთან ბრძოლაში დაიღუპა ვლახეთის მმართველი გრაფი ვლად დრაკულა (მოგვიანებით იგი გახდა ვამპირებზე შექმნილი ლეგენდებისა და რომანების მთავარი გმირი).

1945 წელი – დაიბადა რადოვან კარაჯიჩი – ბოსნიელ სერბთა ლიდერი, სამხედრო დამნაშავე.

**20 ივნისი**

1941 წელი – აშშ-ში შეიქმნა სამხედრო-საჰაერო ძალები.

2001 წელი – გენერალი პერვეზ მუშარაფი პაკისტანის პრეზიდენტი გახდა.

**21 ივნისი**

1941 წელი – სსრკ არმიის შეიარაღებაში მიიღეს რეაქტიული არტილერია – გვარდიული ნაღმსატყორცნები, დანადგარი БМ-13 („კატიუშა").

**22 ივნისი**

1761 წელი – დაიბადა ვახტანგ ბაგრატიონ-გრუზინსკი – გენერალ-მაიორი (მეფე ერეკლე მეორის ვაჟი).

1940 წელი – საფრანგეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა ფაშისტურ გერმანიასთან.

1941 წელი – დაიწყო გერმანია-საბჭოთა კავშირის ომი.

**23 ივნისი**

1901 წელი – დაიბადა პ. როტმისტროვი – რუსი ჯავშანსატანკო ჯარების მთავარი მარშალი, საბჭოთა კავშირის გმირი.

1944 წელი – ქ. სპეციას (იტალია) პორტში ინგლისელმა საბრძოლო მცურავებმა ჩაძირეს მძიმე კრეისერი „ბოლცანო" (14-ათასტონიანი წყალქვეშა ხომალდი იტალიის კაპიტულაციის შემდეგ გერმანელების ხელში აღმოჩნდა).

**24 ივნისი**

1945 წელი – ქ. მოსკოვში, წითელ მოედანზე, გაიმართა საბჭოთა ჯარების გამარჯვების აღსანიშნავი აღლუმი.

**25 ივნისი**

1700 წელი – პეტრე პირველის ბრძანებულებით ჩამოყალიბდა ქართული მე-14 გრენადერთა პოლკი, რუსეთის არმიის ერთ-ერთი უძველესი შენაერთი.

**26 ივნისი**

1945 წელი – საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა იოსებ სტალინს.

1819 წელი – დაიბადა ებნერ დაბლდეი – ამერიკელი გენერალი (ბეისბოლის გამომგონებელი).

**27 ივნისი**

1609 წელი – ტაშისკარის ბრძოლაში ქართველებმა გიორგი სააკაძის სარდლობით დაამარცხეს ოსმალთა და ყირიმელთა არმია.

1945 წელი – გენერალისიმუსის წოდება მიენიჭა იოსებ სტალინს.

1838 წელი – დაიბადა პაულ მაუზერი – ცნობილი გერმანელი მრეწველი და გამომგონებელი, პისტოლეტ „მაუზერის" შემქმნელი (ძმასთან ერთად).

1936 წელი – დაიბადა ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი – აშშ არმიების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე (1993-97 წლებში), აშშ არმიის გენერალი.

1950 წელი – აშშ-მ სამხრეთ ვიეტნამში გაგზავნა 35-კაციანი სამხედრო მრჩეველთა ჯგუფი და დათანხმდა საიგონის მთავრობის თხოვნას სამხედრო და ეკონომიკური დახმარების თაობაზე.

**28 ივნისი**

1792 წელი – პეტრე ბაგრატიონს საბრძოლო დამსახურებისათვის სეკუნდ-მაიორის წოდება მიენიჭა.

1914 წელი – მოკლეს ავსტრიის ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი (რაც გახდა პირველი მსოფლიო ომის დაწყების საბაბი).

1919 წელი – ვერსალში (საფრანგეთი) ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც ოფიციალურად დამთავრდა პირველი მსოფლიო ომი.

**29 ივნისი**

2003 წელი – საჩხერის მე-16 სამთომსროლელ ბატალიონს მიენიჭა პოლკოვნიკ ბესო ქუთათელაძის სახელი.

**30 ივნისი**

1804 წელი – მდ. ზანგაზე (სომხეთი) გამართულ ბრძოლაში რუსთა და ქართველთა ჯარმა პავლე ციციანოვის მეთაურობით სპარსეთის საომარი ძალები დაამარცხა.

შეადგინა
ამირან ტალახაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩინური „სასწაული“





ჩინეთი რომ სასწაულების ქვეყანაა, ჩვენთვის, ქართველებისთვის, კარგა ხანია ცნობილია. დღევანდელი უფროსი და საშუალო თაობის წარმომადგენლებს კარგად ახსოვთ ბელურებთან დაკავშირებული „სასწაული“, როცა მილიარდიანმა სახელმწიფომ ერთ დღეში გაანადგურა ამ საწყალი ჩიტების მოდგმა, აქაოდა ბევრ მარცვლეულს ჭამენო. ამის გამო ეკოლოგიური წონასწორობა დაირღვა, კალია გამრავლდა და პირწმინდად გადაიძოვა ბრინჯისა და ხორბლის ნათესები.

მეორე სასწაული მძიმე მრეწველობაში „მოახდინეს“ — მამა-მარჩენალმა მაომ თითოეული ჩინელის ოჯახს მიზნად დაუსახა თითო ტონა თუჯისა და ფოლადის გამოდნობა. ეს „სასწაულიც“ ისევე დამთავრდა, როგორც პირველი — ერთბაშად გამეტალურგებულ ჩინელებს გაურკვეველი მასით სავსე ქვაბები და ტაშტები შერჩათ თუჯისა და ფოლადის ნაცვლად.

ეტყობა, ჭკვიანი ჩინელები დააფიქრა დაშტამპული კოლექტიური აზროვნების ამ უტყუარმა შედეგებმა და ახლებურ აზროვნებას მიანიჭეს უპირატესობა. დაუშვეს კერძო საკუთრება და ხალხს აზროვნებისა და მოქმედების თავისუფლება მიანიჭეს. შედეგმაც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა











დააყოვნა. ორ ათეულ წელზე მეტია ყველას ჩინური ეკონომიკური სასწაული აკერია პირზე. თუ სასწაული არა, მაშ სხვა რა უნდა უწოდო, როცა პარიზიდან ეიფელის კოშკის პატარა მოდელს ჩამოგიტანენ, ამოაბრუნებ და ზედ MADE IN CHINA-ს წაიკითხავ?! ასეთივე დამღა შეიძლება შეგხვდეთ ეგვიპტიდან ჩამოტანილი სფინქსის მინიატიურულ ქანდაკებაზე და ნიუ-იორკში ნაყიდ თავისუფლების ქანდაკებაზეც.

უკანასკნელი ჩინური „სასწაული“ კი უნივერსალური ყველგანმავალი ჯიპი „SAFE SUV“ გახლავთ. პირველი, რაც ამ მანქანის დანახვისთანავე თვალში გეცემათ, მისი სიმაღლეა. პასპორტის მიხედვით, გზის ჰორიზონტალური ზედაპირიდან კარტერამდე 26 სანტიმეტრია, ხოლო ჩარჩოზე მდგომი სალონიდან მიწამდე ალბათ ნახევარ მეტრზე მეტი (არ გინდა ასეთ მანქანაში ჩაჯდომა?!).

საკმარისია ჯიპს საფირმო ნიშანი „ჩინური კედელი“ ჩამოაშოროთ, რომ ხელში იაპონური „ტოიოტა“ შეგრჩებათ – ეს არის და ეს ჩინური „სასწაულის“ თავი და ბოლო. ძარას, შეღებვის მხრივ, წუნს ვერ მოუძებნი, ზუსტადაა მორგებული ბორბლების თაღების გამფართოებლებიც. ძარის ღრეჩოები მხოლოდ წინა ბამპერსა და ფარებს შორისაა ოდნავ დიდი. სხვა ადგილები უზადოდაა მორგებული. წინა მხარის ოპტიკა ხომ უკანასკნელი მოდის მიხედვით, ლინზებჩასმული მაშუქებითაა გაწყობილი.

საბარგულს გამოსაღები სახელური არ აქვს, სამაგიეროდ უკანა ნომრის ზემოთ გასაღების ღრეჩოა. მოარგებ გასაღებს, გადაატრიალებ და კარის გაღების ნაცვლად ფანჯრის მინა დაიწევა დაბლა. ახლა შეიძლება კრონშტეინზე დაკიდე-







ბული სათადარიგო საბურავის გვერდზე გაწევა, შემდეგ ხელი უნდა გადაყოთ ფანჯრიდან და კარის შიგნითა მხარეს მოძებნოთ საჭირო სახელური, დააწვეთ მას და სატვირთო მანქანის ბორტივით მძიმე კარი გაიღება.

სალონი თავისი მოწყობისა და მოხერხებულობის მიხედვით არცთუ ძვირი, ოცი წლის წინანდელი იაპონური მანქანის დონეზეა. თანამედროვე მსუბუქი მანქანის კომფორტულ სალონს მიჩვეული კაცი აქ თავს მყუდროდ ვერ იგრძნობს, თუმც „ვოლგისა“ და „ჟიგულის“ ფონზე... მანქანის იატაკის სიმაღლეზე უკვე მოგახსენეთ. ამ გაჭირვებას შესაფერისი საფეხური მოუხდებოდა, მაგრამ კარის ჭრილი ისეთი დაბალია, რომ ზორბა ტანის მგზავრს მანქანაში ჩაჯდომა უჭირს.

თუ თქვენი სიმაღლე მეტრი და ოთხმოცი სანტიმეტრია და მანქანაში ჩაჯდომა მოახერხეთ, მაშინ სავარძელი ბოლომდე უკან უნდა გადასწიოთ. თუ საჭის ამაღლებასა და ახლოს მოწევას განიზრახავთ, იგი მხოლოდ ზემოთ აიწევა, მოახლოებას კი არ მოისურვებს.

„SAFE SUV“-ს კაპოტქვეშ ოთხცილინდრიანი ლიცენზირებული 100 ცხენისძალიანი ძრავა თვლემს, რომელსაც ოდესღაც იაპონელები „ტოიოტას“ პიკაპებს უყენებდნენ. შეკუმშვის დაბალი ხარისხი 92-ოქტანიანი ბენზინის გამოყენების საშუალებას იძლევა, ხოლო მარტივი რვასარქვლიანი კონსტრუქცია და შთამბეჭდავი 2,3 ლიტრის მოცულობა გამწევუნარიანობის გარანტიას იძლევა.

გადაატრიალებ გასაღებს და თითქოს ორასმა ცხენის ძალამ გაიღვიძაო, არადა ყოველივე ცუდი ხმაურიზოლაციის ბრალია. უნებურად ლეგენდარული „ტ-34“ მოგაგონდება იმ განსხვავებით, რომ






ჭვარტლიან გამონაბოლქვს ვერ დაინახავთ.

ბორდიურზე გადასვლისას მანქანა ოდნავ შექანდა, უკანა სვლისას უზარმაზარი კუნძივით ამოშვერილ კანალიზაციის ჭის სარქველს გადაუარა – ვითომ არაფერი. შემდეგი გამოცდა მანქანას სატვირთოებისგან დანგრეულ გზასა და ქვიშის კარიერზე ელოდა.

პირველი გამოცდა SUV-მ მშვენივრად ჩააბარა, ხოლო ქვიშიან კარიერზე მოძრაობა მხოლოდ უკანა წამყვანი ხიდით სარისკოა, საჭიროა მთლიანი ამძრავის ჩართვა. ეს პროცესი კი ძველი საიმედო მეთოდით შეგიძლიათ ჩაატაროთ – თითო ბორბლის ღერძზე დროშის მსგავსი ნიშნული უნდა გადაატრიალოთ. ქალბატონების ნატიფი თითებისათვის ეს სამუშაო მეტად შეუფერებელია, ავტომატიკა და ელექტრონიკა კი სხვა მანქანებზე მოიკითხეთ. სამაგიეროდ ეს სისტემა საიმედო და გამძლეა. „SAFE SUV“-მ ისე თავისუფლად გადალახა ქვიშიანი კარიერის წინაღობები, რომ ჯავშანტრანსპორტიორსაც შეშურდებოდა.

ისეთ აღმართზე, როცა კაპოტის გარდა კაბინიდან მხოლოდ ცა მოჩანს, ავტომობილი თავდაჯერებულად მიბობღავს. ჩინური უნივერსალური საბურავები „ხანკუკ-დეინემეკი“ ფართო კბილების გამო ტალახში ღრმად არ ეფლობა.

უგზოობის პირობებში კი იყოჩაღა ჩინურმა SUV-მ, მაგრამ ასფალტზე და ქალაქის ქუჩების სქელ ნაკადში? პირველი ორი სიჩქარე ავტომობილს საშუალებას აძლევს 60-70 კმ/სთ სიჩქარეს მიაღწიოს. პატარ-პატარა ორმოებსა და გზის უსწორმასწორო ადგილებს იგი ამერიკული აუღელვებლობით ნთქავს, შემდეგ კი დინამიკა ნელდება – 100 კილომეტრი, მაქსიმუმი – 110 – ეს ის რეჟიმებია, როცა სალონში ჯერ კიდევ სიწყნარეა და თავსაც შედარებით კომფორტულად გრძნობთ. აშკარაა, რომ ეს „სასწაული“ სწრაფი სიარულისთვის არ არის შექმნილი. თუმცა მანქანებით გადატვირთულ დღევანდელ გზებზე ზოგჯერ 110 კილომეტრიც ზედმეტია.

მოკლედ, რა ვუყოთ, რომ ჩინური „SAFE SUV“ სწრაფი მანქანა არ არის. ხმაურიანია. სამართავადაც ვერ არის რიგიანი. არც სალონი აქვს საუკეთესო, უსაფრთხოების ბალიშები არ აქვს, სამაგიეროდ აქვს 2 წლის გარანტია და რაც მთავარია, იაფი ღირს, სულ რაღაც 20.450-დან 24.350 დოლარამდე. თუ თქვენ ინგლისური ანდაზის: „ისეთი მდიდარი არ ვარ, იაფფასიანი ნივთი შევიძინო“ მიმდევარი ბრძანდებით, ჩინურ „სასწაულს“ ახლოსაც არ გაეკარებით, მაგრამ გამოჩნდება ისეთიც, რომელიც იფიქრებს, ისეთი ღარიბიც არ ვარ, „SAFE SUV“ ვერ შევიძინოო და ღმერთმა ხელი მოუმართოს.

**P.S.** არსებობს ასეთივე კლასის სხვადასხვა მანქანები, რომლებსაც მეტნაკლებად მრისხანე სახელები – „ადმირალი“, უბრალოდ „დიდი კედელი“ და სხვ. ჰქვია. ისინიც დაახლოებით ისეთივე „სასწაულებია“, როგორიც „SAFE SUV“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ი22/27

# მრისხანე

# ნაზი და ლამაზი ავსტრიული პისტოლეტი STEYR M-A1




## „გლოკის“ ღირსეული მეტოქე



როდესაც „არსენალმა“ „გლოკი“ გამოსცადა, დიდხანს ვერ დააღწია თავი მიღებულ შთაბეჭდილებას. თუმცა აღმოჩნდა, რომ ავსტრიაში „გლოკის“ გარდა სხვა არანაკლებ თანამედროვე და მოხერხებული პისტოლეტების წარმოებაც შეუძლიათ.

ამჯერად „არსენალის“ ხელში ასევე ავსტრიული ფირმის Steyr-Mannlicher-ის თანამედროვე პისტოლეტი Steyr M-A1-ი აღმოჩნდა.

როგორ უნდა შეცვალო ათასჯერ „გადაღეჭილი“ პისტოლეტის დიზაინი, რომ ორიგინალურის სახელი დაიმსახუროს, ამ კითხვას ავსტრიელმა ინჟინრებმა Steyr M-A1-ით გასცეს პასუხი.

პისტოლეტის კონსტრუქციაში გამძლე და ამასთან, მჩატე (მეტალთან შედარებით) პოლიმერული მასალების ფართოდ გამოყენებით დღეს ველარავის გააკვირვებ, ამიტომაც Steyr-ი ერთი შეხედვით „გლოკს“ მოგაგონებთ, თუმცა მისი დეტალურად გაცნობის შემდეგ აზრი ნამდვილად შეგეცვლებათ.

მას „გლოკივით“ ერთი ავტომატური დამცველი სასხლეტზე აქვს (ჯერ დამცველი უნდა გამოსწიო და მერე სასხლეტი, რომ გაისროლო. ამიტომ მიწაზე დანარცხების მიუხედავადაც დატენილი პისტოლეტი არ გაისვრის). სამაგიეროდ, პისტოლეტის მარჯვენა მხარეს დამონტაჟებულია სპეციალური სახელური, რომლის



ეროვნული ბიბლიოთეკა



STEYR M-A1-ის არასრული დაშლა

მთლიანად ჩამოწევისას შესაძლებელია პისტოლეტის დაშლა, ასევე პისტოლეტის ავტომატიკის მთლიანი ბლოკირება. ხელის დამცველის ჩასართავად პისტოლეტის კორპუსის ორივე მხარეს ორი პატარა ღილაკის დაჭერისას ჩამოიწევა მცირე დეტალი, რომელიც სასხლეტის მექანიკურ ბლოკირებას ახდენს.

ასევე ორიგინალურია Steyr-ის დამიზნების მოწყობილობა, რომელიც ჩვეულებრივისგან განსხვავებით სამკუთხედისა (წინ) და ამოკვეთილი ტრაპეციის (უკან) ფორმისაა.





Steyr M-A1-ის ავტომატიკა დაფუძნებულია უკუდარტყმის ენერგიის გამოყენებაზე ლულის მცირე გადაადგილების დროს. პისტოლეტის ჩახმახი დახურული ტიპისაა.

ყველაზე მთავარი კი, რაც Steyr-ს სხვა თანამედროვე პისტოლეტებისგან განასხვავებს, მისი ტარია. ტარის დახრილობის კუთხე 111 გრადუსს უტოლდება და თითქმის იდეალურია ერგონომიკის თვალსაზრისით. მგონი, ასეთი მოხერხებული ტარი მხოლოდ ლეგენდარულ „პარაბელუმს“ თუ ჰქონდა.

ავსტრიულმა ფირმამ Steyr M-ის პირველი მოდიფიკაციები 1999 წელს გამოუშვა, მაგრამ ოთხიოდ წელში შეწყვიტა მათი სერიული წარმოება და მათ მაგივრად მხოლოდ Steyr M-A1-ის გამოშვება დაიწყო.

ბოლო მოდიფიკაციას აქვს Picatinny-ის ტიპის „რელსები“, რომელზეც შეიძლება როგორც ტაქტიკური ფარანის, ისე ლაზერის მიზანმაჩვენებლის დამაგრება.

Steyr M-A1-ის ფასი თბილისის იარაღის მაღაზიებში თითქმის 2 ათას დოლარს აღწევს.

*ირაკლი ალადაშვილი*

პისტოლეტის გამოცდაში დახმარებისთვის მადლობას ვუხდით ქალბატონ ნინო სალუქვაძეს და მის სასროლო გალერეას.

ფოტოებზე — საპატრულო პოლიციის ლეიტენანტი თინათინ თოფურია.


STEYR M9
9x19
არსენალი
STEYR

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუამი — ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია დიდი ამბიციებით და მცირე შესაძლებლობით



***23 მაისს, კიევში აზერბაიჯანის, მოლდავეთის, საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომლის თანახმადაც საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ახალი ორგანიზაცია იშვა — „სუამი — დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარებისათვის“, ასე ეწოდება ამიერიდან ტრანსფორმირებულ რეგიონულ გაერთიანებას პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელიც სულ მალე აპირებს თავისი სიტყვა თქვას მსოფლიოში.***

## რეალური აგრესიული სეპარატიზმი და ვირტუალური ანტიტერორისტული ცენტრი

როგორ არ ცდილობდნენ სუამის წევრი ქვეყნების ლიდერები დიპლომატიური ფერუმარილით შეენიღბათ პრობლემები და მხოლოდ ეკონომიკური და ენერგეტიკული პროექტების განვითარებაზე ელაპარაკათ, სუამის 4 წევრი სახელმწიფოდან 3-ში — აზერბაიჯანში, მოლდავეთსა და საქართველოში აგრესიული სეპარატიზმის შედეგად დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა. როგორც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა აღნიშნა, სეპარატიზმის გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობა სუამის ქვეყნების ლიდერებს აუცილებლად უკარნახებს უფრო ქმედით პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა სახის გადაწყვეტილებებს. ალიევის სულისკვეთება სუამის ყველა წევრი ქვეყნისათვის აღმოჩნდა მისაღები. ნიშანდობლივია, რომ სუამის ტრანსფორმაციის ისტორიულ დღეს ხელი მოეწერა ერთობლივ დეკლარაციას გაყინული კონფლიქტების თობაზე.

სხვათა შორის, ასეთი დეკლარაციები დსთ-ის წევრი სახელმწიფოების მეთაურებსაც არაერთხელ მიუღიათ. ამიტომ სუამის წევრი ქვეყნების განზრახვა მხოლოდ დეკლარაციად რომ არ დარჩეს, საქმეა საჭირო. როგორც უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ განაცხადა, სუამის შიგნით უკვე დაწყებულია მუშაობა, რათა შეიქმნას კონფლიქტის მოგვარების პრეცედენტი. უკრაინამ მოლდავეთისადმი კეთილმეგობრობის ნიშნად, გაუმკაცრა სასაზღვრო კონტროლი დნესტრისპირეთის სეპარატისტულ რეგიონს.

ჯერჯერობით სუამს ერთადერთი რეალური მიღწევა აქვს — ეს არის ვირტუალური ანტიტერორისული და ანტიკრიმინალური ცენტრი.

## რატომ აღარ არის სამხედრო თანამშრომლობა სუამის პრიორიტეტი

რეგიონული ორგანიზაციის სტატუსის ზრდის პარალელურად, აქტუალურობა დაკარგა და კიევში აღარავის უხსენებია სუამის ფარგლებში სამხედრო თანამშრომლობა, რომელსაც თავის დროზე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ნიშანდობლივია, რომ სუამის პირველი და უკანასკნელი სამხედრო სწავლება 7 წლის წინ სწორედ საქართველოში, თბილისთან ახლომდებარე კრწანისის პოლიგონზე გაიმართა, სადაც ამჟამად ამერიკელი ინსტრუქტორები ქართველ რეკრუტებს წვრთნიან. სწავლების ლეგენდა მიზნად ისახავდა მაგისტრალური ნავთობსადენის დაცვას ტერორისტული თავდასხმებისაგან, ხოლო მანევრებში საქართველოს, აზერბაიჯანისა და უკრაინის სამხედრო ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ. კრწანისის პოლიგონი შემთხვევით არ აურჩევიათ სწავლების ადგილად — ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დამაკავშირებელი ნავთობსადენის რამდენიმე მილი მოგვიანებით სწორედ ამ ადგილის შორიახლო ჩაიდო.

სუამის ქვეყნების მისწრაფებას, განევითარებინათ სამხედრო კომპონენტი, სიფრთხილით ეკიდებოდა არა მხოლოდ რუსეთი, არამედ დასავლეთიც. გარდა ამისა, დასავლეთის ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები, სუამის ჩამოყალიბების სტადიაში, გაერთიანებაში შემავალ ქვეყნებს სთავაზობდნენ, გამოენახათ რუსეთთან საერთო ენა. მოსკოვის ზეწოლის მიუხედავად, სამხედრო თანამშრომლობის გზების ძიება სუამის ფარგლებში შემდგომშიც გაგრძელდა. ყოფილი თავდაცვის მინისტრ დავით თევზაძის თქმით, შემუშავებულ იქნა სამშვიდობო ბატალიონის „საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურა, მართვის სისტემა და ტერიტორიაც, ყირიმის ნახევარკუნძული, სადაც ქვედანაყოფი დაიდებდა ბინას“.

სამხედრო თანამშრომლობას რეგიონული გაერთიანების შიგნით ახლაც კარგი პერსპექტივა აქვს. არსად დაკარგულა